

მარიამ მარჯანიშვილი

უკანონები და პოლიტიკური

ექლექტი

არარეალური ერთობები

მარიამ მარჯანიშვილი

ფემინიზმი და
პოლიტიკოსი ქალები
ამერიკის შეერთებულ
შტატებში

ქუთაისი
2008

ვუძღვნი დედაჩემს ჟურნალისტ ლალი თალაკვაძეს, რომლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება მოქალაქეობრივი გამბედაობისა და ზნეობრივი სიწმინდის მაგალითია.

წიგნის დაფინანსებისათვის მადლობას ვუხდი ჩემს ნათლიას ნანა ალექსანდრიას „საჭადრაკო დაფასთან მებრძოლს, ცხოვრებაში კი ქალურსა და მოსიყვარულეს.

რედაქტორი _ დავით გეგეშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

რეცენზენტები _ ია იაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ლელა გავრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კავშირი „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ – თავმჯდომარე.

სარჩევი

1. წინათქმა	4
2. ქალები წარსულის ლაბირინთებში	
— ლეგენდები და მითები მოგვითხრობენ	6
3. პირველი ტალღის ფემინისტები	24
4. პოლიტიკური თანასწორობა ქალებისათვის	43
5. ბრძოლა განათლებისათვის	53
6. მეორე ტალღის ფემინისტები	59
7. ქალთა სწავლების პროგრამები შეერთებულ შტატებში.....	71
8. უჩინარი ქალები.....	77
9. ძალადობა სამუშაო ადგილზე და ოჯახში	89
10. ქალის ადამიანის უფლებები.....	99
11. ქალის ადამიანის ინტერამერიკული კომისია და სასამართლო.....	114
12. ქალები არჩევნებში და გზა პოლიტიკისაკენ	127
13. პოლიტიკოსი ქალები.....	133
14. პირველი კონგრესმენი და სენატორი	137
15. მედელინ ოლ ბრაიტი – „მამის კვალდაკვალ“	143
16. კონდოლიზა რაისი „გზა თეთრი სახლისაკენ“ ¹⁵³	
17. პილარი კლინტონი „ოჯახი თუ პოლიტიკა?“	160
18. ქალი პრეზიდენტი: მითი თუ რეალობა?	170
19. ბოლოსიტყვა.....	180
20. RESUME	182
21. წყაროები და ლიტერატურა	183

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქალთა მოძრაობის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნიდან დღემდე.

საკვლევი საკითხი საკმაოდ საინტერესო და აქტუალურია, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი ხასიათის ნაშრომები სრულიად ახალია ქართული ისტორიოგრაფიისათვის და აქამდე საუნივერსიტეტო კვლევებში უმნიშვნელო ადგილი ეჭირა.

ნაშრომი საკმაოდ საინტერესოდ იკითხება. მაგისტრის მიერ დამუშავებულია ინგლისურენოვანი დიდი თეორიული მასალა, რომელიც კარგადაა თავმოყრილი, გაანალიზებული და შეკრული.

ავტორი ისტორიულ ასპექტში იხილავს ფემინიზმის მოძრაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვთავაზობს იმ საკანონმდებლო ბაზას, რომელმაც ხელი შეუწყო ქალების უფლებების დამკვიდრებას, დაწყებული პირველი ათი შესწორებიდან აშშ-ს კონსტიტუციაში დამთავრებული მე-19 შესწორებით, რომლებიც ნელ-ნელა უკვალავდნენ გზას ქალებს პოლიტიკურ ასპარეზზე.

წიგნში გამოყენებულია არა მარტო საისტორიო, არამედ ლიტერატურული მასალაც. ავტორი სიღრმისეულად საუბრობს ფემინისტური მოძრაობის ხასიათისა და მიზნების შესახებ, რომელიც ქრონოლოგიურად აქვს განხილული.

მაგისტრი ასევე საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის დღეისათვის ყველაზე გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი ქალების შესახებ და აკეთებს თავის პროგნოზს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ეს იმით არის საინტერესო, რომ 21-ე საუკუნეში შეიძლება პირველად დაირღვეს აშშ-ში პოლიტიკური ტრადიცია და ქვეყნის პრეზიდენტი მანდილოსანი გახდეს.

კვლევაში ნათლად ჩანს თუ რა გავლენა იქონია ფემინისტურმა მოძრაობამ და რა რეფორმები მოუტანა ამერიკას სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის მარიამ მარჯანიშვილისათვის პირველი სერიოზული გამოკვლევაა, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვართ არა უკანასკნელი. ქართველი მკითხველი კვლავაც გაიგონებს მის გვარს.

ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარს გზას უფრო მაღალი მწვერვალისაკენ ვულოცავთ.

დავით გეგეჭკორი _

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტის ასოცირე-
ბული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთო
ბებისა და სტრატეგიული განვითარების
სამსახურის უფროსი.

მითები და ლეგენდები მოგვითხრობენ

ქალები წარსულის ლაბირინთებში

„ქალი და მამაკაცი ერთი
თიხიდანაა მოზელილი“.

ჯლიშაბეტ კეიდი სტენტონი

კაცობრიობის შორეულ წარსულში, ქალის საზოგა-
დოებრივი მდგომარეობა ცვალებადი იყო. პირველყოფილ
ოჯა-ხში ქალი არაფრით არ განსხვავდებოდა ოჯახის წევრ
მამაკაცისაგან.

ადამიანთა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე,
უძვე-ლეს ცივილიზაციის პირობებში ქალი ოჯახის
უფროსად ითვლებოდა და ქონებაზე მემკვიდრეობა სწორედ
მისი ხაზით ვრცელდებოდა. ამ დროს ქალს უფლება ჰქონდა
და ევალებოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო მატერიალურ
და სოციალურ ტექნოლოგიების შექმნაში.

პრიმატების გაადამიანების პროცესიდან მოყოლებული
მეცნიერებმა თანდათანობით გამოიმუშავეს უფრო აწონილ-
დაწონილი შეხედულება ევოლუციაზე, როცა აღიარეს, რომ
ქალი მასში მამაკაცზე არანაკლებ მნიშვნელოვან როლს
ასრულებდა. ევოლუციის ძველი მოდელი, რომელიც
ეფუძნება „მონადირე_მამაკაცის“ ფიგურას, თვლის, რომ
ადამიანთა საზოგადოების წარმოქმნა განაპირობა მამაკაცთა
გაე-რთიანებებმა ერთობლივი ნადირობისათვის. ამ
ვარიანტის თანახმად, პირველი იარაღი იმისათვის შეიქმნა,
რომ ადა-მიანს მოეკლა თავისი მსხვერპლი და ასევე,
სუსტები და მეტოქები. ევოლუციის ალტერნატიული
მოდელი შემოგვთავაზეს მეცნიერებმა, რომლებიც არიან:
ნენსი ტენერი, ჯეინ ლანკასტერი, ლაილა ლეიბოვიცი და
ადრიენ ზილმანი.

მათი შეხედულების თანახმად: „გამართულად სიარული, რომელმაც გამოათავისუფლა ხელები, დაკავშირებული იყო არა ნადირობასთან, არამედ საკვების შეგროვებასა და გადატანის აუცილებლობასთან, რათა გაენაწილებინათ იგი სხვებისათვის. უფრო მეტიც, მან მისცა ბიძგი ტვინის მოცულობასა და პროდუქტიულობის ზრდას. რომ ეს ბიძგი გამოყენებული ყოფილიყო იარაღის შესაქმნელად, ინფორმაციის ათვისებისა და გასაზიარებლად, მისცა არა მამაკაცების გაერთიანებამ მკვლელობის მიზნით, არამედ დედებისა და შვილების გაერთიანებამ, რომელიც აუცილებელი იყო შთამომავლობის შესანარჩუნებლად“. ამ თეორიის თანა-ხმად „ძველი ადამიანის მატერიალური კულტურის პირველი ნიმუშები იყო არა იარაღი, არამედ საკვების გადასატანი და ბავშვების გადასაყვანი საშუალებები, ასევე იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა მცენარეული საკვების დასა-რბილებლად – ბავშვებს სჭირდებოდათ დედის რძე და მაგარი საკვები“.

ეს თეორია ეთანხმება იმას, რომ პრიმატები და ყველაზე პრიმიტიული ტომები ცხოვრობდნენ უფრო შემგროვებლობით, ვიდრე ნადირობით. იგი ასევე არ ეწინააღმდეგება იმ მონაცემებს, რომლებიც უჩვენებს, რომ ხორცი შეადგენდა პრიმატების, ჰომინიდებისა და პირველი ადამიანების რაციონის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს. ეს დასტურდება იმითაც, რომ ფრინველებისა და სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, პრიმატებში მხოლოდ დედა უნაწილებს შვილს თავის საკვებს. ხოლო პირველი იარაღები ჩნდება არა მოსაკლავად, არამედ შეგროვებისა და საკვების გადასატანად. და როგორც შიმპანზეთა ქცევაზე დაკვირვება უჩვენებს, მდედრები უფრო ხშირად იყენებენ ამ იარაღებს.

მაშასადამე, წერს მკვლევარი ნენსი ტენერი, „შემგროვებელი ქალი“ და არა „მონადირე მამაკაცი“, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანის სახეობის ევოლუციაში. „იმ დედათა მემკვიდრეებს, რომლებიც საკმაოდ გონივრულები იყვნენ იმისათვის, რომ

მოეპო-ვებინათ, შეეგროვებინათ და მოემზადებიათ საკვები და შემდეგ გამოეკვებათ თავიანთი შვილები, მეტი შანსი ჰქონდათ გაემარჯვათ ბუნებრივ გადარჩევაში“.

„ამ გადარჩენილ ბავშვებში იმას, ვისაც უნარი ჰქონდა დედისაგან ესწავლა, და კიდევ უფრო წინ წასულიყო, მას, ვისაც შეეძლო საკვების განაწილება სხვებისათვის, უჩნდებოდა შვილები, რომლებიც საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდნენ, რათა გაეჩინათ შთამომავლობა“.

„ეჭვი მეპარება“, – აღნიშნავს ისევ ტენერი – რომ იარაღები მცირე ზომისა და დაუცველი ცხოველების მოკვლისათვის იყო გამოყენებული. მათი დაჭერა შიშველი ხელებითაც შეიძლებოდა“. გარდა ამისა, „სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ქალებმა გამოიგონეს შეგროვების ახა-ლი ტექნიკა“. ამის წინაპირობა იყო არა მხოლოდ იარაღი, არამედ გამართული სიარულიც, ანუ ხელფეხის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა. ქალებს თავისუფალი ხელები სჭირდებოდათ საკვების მოსატანად, ბავშვების სატარებლად.

ასევე, სავარაუდოა, რომ სწორედ ქალმა ჩააგდო მიწაში პირველი თესლი, დაიწყო გარეული ცხოველების კვება და მათზე ზრუნვა, ისევე, როგორც საკუთარ შვილებზე, და ამით ისინი მოიშინაურა. ანთროპოლოგები ასევე აღნიშნავენ, რომ „განვითარებადი“ ხალხების უმრავლესობაში საბალო მეურნეობებში მიწის დამუშავებით დღემდე უპირატესად ქალია დაკავებული.

ეს ვარაუდი შემდგომში დასტურდება მრავალი რელიგიური მითით, სადაც მიწათმოქმედების გამოგონება ქალღმერთს მიეწერება. მაგალითად, ეგვიპტურ წყაროებში მი-წათმოქმედების შემქმნელად ქალღმერთ ისიდას ასახელებენ. მესოპოტამიაში ქალღმერთი ნინლილი აღიარებულია ადამიანებისათვის მიწის შესახებ ცოდნის მიმცემად.

არქეოლოგიური აღმოჩენებიც და მითებიც მრავალრიცხოვან მინიშნებებს შეიცავს მიწათმოქმედებასთან ქალ-

ღმერთის კავშირის შესახებ. ასე გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს, დაწყებული ჩათალ-ჰუიუკიდან, სადაც ქალ-ღმერთს ძლვნად მარცვლეულს მიართმევდნენ, დამთავრებული კლასიკური საბერძნეთით, სადაც ასეთივე ძლვენით დემეტრასა და ჰერას მიაგებდნენ პატივს.

ქალღმერთის კულტთან დაკავშირებული ეს, ერთ დროს საკრალურად აღიარებული საქმიანობა მირითადად ქალებთან ასოცირდებოდა. უმველეს მითებში ფეიქრობაც ქალებთან ან ქალ ღვთაებებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც ისევე, როგორც ბერძენი მოირები, ადამიანის ცხო-ვრების მაფს ართავდნენ. ეგვიპტესა და ევროპაში, ისევე როგორც ნაყოფიერი ნახევარმთვარის მიწებზე, შემორჩა იმის მოწმობა, რომ ჯერ კიდევ უმველესი დროიდან სწორედ ქალი უკავშირდებოდა: **— სიბრძნეს, სამართლიანობასა და გონი-ერებას.**

ეგვიპტეში მაატი სამართლიანობის ქალღმერთი იყო. მამაკაცთა ბატონობის დამკვიდრების შემდეგაც ეგვიპტელი ისიდა და ბერძენი დემეტრა კვლავ იმით იყვნენ ცნობილნი, რომ ადამიანებს მისცეს კანონები, და იმითაც, რომ სიბრძნისა და სამართლიანობის განსახიერებანი იყვნენ.

მესოპოტამიურ ლეგენდებში ნახსენებია ქალღმერთი, როგორც უმაღლესი ღვთაება ანდა „ზეციური დედოფალი“. შუმერული ლოცვები ადიდებდნენ დედოფალ ნანას, როგორც „ძლევამოსილ ქალბატონსა და შემოქმედს“. სხვა ფირფიტაზე ვხვდებით ქალღმერთ ნამუს სახელს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ზეცისა და დედამიწისათვის სიცოცხლის მომცემი დედა“. შუმერული და ბაბილონური ლეგენდებიც მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ შექმნა, ქალებიც და მამაკაცებიც ღმერთმა.

„ასევე ადრეულ შუმერულ რელიგიაშიც ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია ქალღმერთებს, რაც იმის დასტურია, რომ ქალთა სტატუსი ადრეულ შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებში უფრო მაღალი იყო ვიდრე, უფრო გვიანდელ ხანაში“, **— წერს პროფესორი სეგსი.**

შუმერული ფირფიტებიდან ვიგებთ, თუ როგორ ეთაყვანებოდნენ ლაგაშის ქალღმერთ ნანშეს „„მას, რომელიც იცნობს ობოლს, ქვრივს, აძლევს სამართალს გლახაკს, ხოლო სუსტს _თავშესაფარს“. ახალი წლის დღესასწაულზე იგი სასამართლოს უწყობდა კაცობრიობას. ერების მეზობლად აღმოჩენილ ფირფიტებზე, ვკითხულობთ, რომ ქალღმერთი ნიდაბა ცნობილი იყო როგორც „ის, ვინც ასწავლის თავის ნებას“. ქალღმერთის ძველი სახელწოდებები: „კანონის მიმცემი“, „სამართლიანობა და სათხოება“, „უმაღლესი მსაჯული“, აშკარად მიუთითებს კანონების რთულ სასამართლო სისტემაზე, რომელშიც ქალღმერთის მსახურ შუმერ ქურუმ ქალებს ევალებოდათ სადავო საკითხების განხილვა და სამართლის აღსრულება. მრავალი უმველესი მითი და ლეგენდა მოგვითხრობს იმავეს, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

მოსავლის მიღება და შენახვა, ტანსაცმლის წარმოების ტექნიკა, მშენებლობა უკვე წეოლითის ხანაში იყო ცნობილი. საზოგადოებებში, სადაც ქალღმერთის კულტი იყო გამეფებული ცნობილი იყო ასევე ხის, ტყავისა და ლითონების დამუშავების სულ უფრო რთული ხერხები. ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, როგორებიცაა: კანონ-მდებლობა, მართვა და რელიგია, ასევე იმ ეპოქას მიეკუთვნება, რომელსაც გიმბუტასმა „ძველი ევროპა“ უწოდა, ხოლო ჩვენ შეგვიძლია „ძველი საზოგადოება“ ვუწოდოთ. აქედან გამომდინარეობს მათთან დაკავშირებული ლოცვის, სამართლის წარმოებისა და რელიგიური რიტუალების აღსრულების იდეებიც. ცეკვა, რიტუალური დრამა, ზეპირი და ხალხური ლიტერატურა, ხელოვნება და ქალაქის დაგეგმარება, ასევე არსებობდა წინაისტორიულ ხანაში. სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობა ამ ეპოქის კიდევ ერთი მემკვიდრეობაა ისევე, როგორც მართვა, განათლება და მომავლის წინასწარმეტყველება. რადგან წინასწარმეტყველური უნარი პირველად ქალღმერთის ქურუმ ქალებთან დაკავშირებითაა ნახსენები.

ახლო აღმოსავლეთის ქალაქ ნიმრუდის არქეოლოგიურმა გათხრებმა უჩვენა, რომ მაშინაც, როდესაც უკვე მეტრძოლ იშთარს ეთაყვანებოდნენ, ქალებს ჯერ კიდევ მოსამართლეთა თანამდებობები ეკავათ.

ირლანდიის წინაქრისტიანული ლეგენდებიდან ვიგებთ, რომ კელტები თაყვანს სცემდნენ კერიდვენს –ცოდნისა და გონიერების ქალღმერთს. კანონის აღმასრულებელი ბერძენი მოირებიც და ყოველგვარი შემოქმედების შთამაგონებელი მუზებიც, ბუნებრივია, ქალები არიან. შუა საუკუნეებში ქრისტიანები სიბრძნეს ჯერ კიდევ სოფიას ქალური სახებით გამოხატავდნენ, და ღვთისმშობლის მსგავსად, თაყვანს სცემ-დნენ მას.

მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ სულიერება, განსაკუთრებით სულიერი ხილვები, რომლებიც ბერძენ წინასწარმეტყველებს ახასიათებთ, ერთ დროს ქალებს უკავშირდებოდა. მესოპოტამიის არქეოლოგიური წყაროებიდან ვიგებთ, რომ ბაბილონელი იშთარი, ინანას გამგრძელებელი, ცნობილი იყო როგორც მხედველობის განმგებელი. ის, რომელიც მისანს წარმართავს ქას წინასწარმეტყველი. ბაბილონური ფირფიტები მოგვითხრობს იშთარის ტაძრის მრავალრიცხოვანი ქურუმი ქალების წინასწარმეტყველებებზე. მათგან ზოგიერთმა პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა.

ძველ ეგვიპტეში კობრას გამოსახულება ნიშნავდა სიტყვა „ქალღმერთს“. კობრა ცნობილი იყო, როგორც თვალი – „უზაიტი“, შინაგანი ხედვისა და სიბრძნის სიმბოლო. ქალღმერთი –კობრა, სახელად, უაჯიტი, ქვემო ეგვიპტეში ქალი ღვთაება იყო ჯერ კიდევ წინადინასტიურ ხანაში. ურეუსს – თავაწეულ გველს, ხშირად ვხვდებით ეგვიპტელ მბრძანებელთა თავსაბურავებზე. გარდა ამისა, მისნის ტაძრი იდგა ქალღმერთ უაჯიტის ძველ სამლოცველოს ადგილზე ეგვიპტურ ქალაქ პერუტოში, რომელსაც ბერძნები ბუტოს უწოდებდნენ (ბერძნულ ენაში ეს სახელი ქალღმერთ – კობრას აღნიშნავს). დელფოს განთქმული სამისნო ტაძა-რი,

ასევე ქალღმერთის კულტთან დაკავშირებულ ადგილზე იყო აღმართული კლასიკურ საბერძნეთშიც, როდესაც იგი აპოლონისადმი მიძღვნილი გახდა, მისანი ისევ ქალის პირით ღაღადებდა. ეს იყო ქურუმი ქალი პითია. იგი სამკუთხა სკამზე იჯდა, რომელსაც გარს პითონები ეხვეოდნენ. ესქილესთან ვკითხულობთ, რომ ამ წმინდა სამლოცველოში თაყვანს სცემდნენ ქალღმერთს, როგორც უძველეს წინასწარმეტყველს. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ საბერძნეთის კლასიკურ პერიოდშიც კი ადამიანები ტრადიციულად ღვთაებრივ და წინასწარმეტყველურ სიბრძნეს ქალში ემებდნენ.

დიოდორე სიცილიელის ნაშრომებიდან ვიგებთ, რომ ჯერ კიდევ ჩვ. წ.-მდე I ს-ში სამართლის აღსრულებასა და მკურნალობაში უმეტესად ქალები მონაწილეობდნენ. ეგვიპტეში მოგზაურობის დროს მან აღმოაჩინა, რომ ქალღმერთი ისიდა, უაჯიტის და ხატხორის მემკვიდრე, არა მარტო კანონის დედამთავრად მიიჩნეოდა, არამედ ასევე დიად მკურნალადაც. საინტერესოა, რომ გადახლართული გველები ახლაც მედიცინის ემბლემას წარმოადგენს. ლეგენდა გვამცნობს, რომ ეს სიმბოლო ბერძენი ღმერთის – ასკლეპიოსის ატრიბუტი გველისაგან წარმოიშვა. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის წყაროები უფრო ღრმაა და იმ დროშია სამიებელი, როცა გველი ქალღმერთის სიმბოლო იყო და არა მარტო სამკურნალო, არამედ წინასწარმეტყველურ უნარსაც განასახიერებდა.

დამწერლობაც, რომლის შექმნის დროდ 3200 წელი ითვლება, ხოლო ადგილად – შუმერი, როგორც ჩანს, უფრო ძველი წარმოშობისაა და ასევე ქალთანაა დაკავშირებული. შუმერულ ფირფიტებზე ქალღმერთი ნისაბა წოდებულია ციურ მწერლად, თიხის ფირფიტებისა და დამწერლობის გამომგონებლად. ინდურ მითოლოგიაში ალფაბეტის ავტორად ითვლება ქალღმერთი სარასვატი. ძველ ევროპის არქეოლოგიურ გათხრებზე დაყრდნობით მ. გიმბუტასმა დაადგინა, რომ სქემატური დამწერლობის საწყისები ჯერ

კიდევ ნეოლითის ხანაში გაჩნდა, და ეს ცდები შუმერის მსგავსად არ უკავშირდებოდა „კომერციულ-ადმინისტრაციულ“ საჭიროებებს. უფრო სავარაუდოა, რომ კომუნიკაციის ამ ძლევამოსილი საშუალების პირველი გამოყენების შემთხვევები სულიერ სფეროს მიეკუთვნებოდა, ეს იყო ქალღმერთის კულტთან დაკავშირებული საკრალური ტექსტები.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ჩვენ თვალწინ გადაშალა ასევე აყვავების ხანგრძლივი ხანაც, როცა ჩვენი სოციალური, ტექნოლოგიური და კულტურული ევოლუცია აღმავლობის გზით მიდიოდა. ათასწლეულების მანძილზე იქმნებოდა, ცივილიზაციისათვის ძირითადი ტექნოლოგიები და იქმნებოდა ისინი იმ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცი არ დომინირებდა, სადაც არ იყო ძალადობა და იერარქია.

ჩვენგან განსხვავებული ორგანიზაციის საზოგადოებები, მაგალითად, ჩინეთში ქალ ღვთაებებს მა ციუს და ხუან ინს დღემდე თაყვანს სცემდნენ, როგორც გულუხვ და კეთილ ქალღმერთებს. ანთროპოლოგი სანგრენი აღნიშნავს, რომ „ხუან ინი ჩინეთში აშკარად ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა“. ამის ანალოგიურად ძალიან გავრცელებულია მარიამ ღვთისმშობლის კულტი. თუმცა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ თეოლოგიაში მას არაღვთაებრივი პერ-სონაჟის სტატუსი აქვს, მისი ღვთაებრივი ბუნება იმპლიციტურად აღიარებულია მის სახელში „ღვთისმშობელი“. ასევე იმაში, რომ მიღიონობით ადამიანი ნუგეშისა და დახმარებისათვის ყოველდღიურად ლოცვას აღავლენს მის მიმართ. უფრო მეტიც, ქრისტეს დაბადების, სიკვდილისა და აღდგენის ამბავი საოცრად მოგვაგონებს უფრო ადრეულ „მისტიკურ კულტებს“, რომელთა ცენტრს წარმოადგენდნენ დედა ღვთაება და მისი ვაჟი, ან როგორც დემეტრასა და კორას შემთხვევაშია _ მისი ქალიშვილი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყველაზე ადრეული წარმოადგენები ღვთაებრივ ძალაზე, განსახიერდებოდნენ ქალის და არა მამაკაცის სახით. როდესაც ჩვენმა წინაპრებმა დაიწყეს მუდმივი შეკითხვების დასმა

(სად ვიყავით, სანამ დავიბადებოდით? სად მივდივართ, როდესაც ვკვდებით?) მათ უნდა შეემჩნიათ, რომ სიცოცხლე ქალისაგან ჩნდება. მათთვის ბუნებრივი იყო სამყარო წარმოედგინათ დედის სახით, რომლის სხეულიდანაც ჩნდება ნებისმიერი სიცოცხლე და სადაც, მცენარეთა ციკლის მსგავსად, ყველაფერი ბრუნდება სიკვდილის შემდეგ, რათა კვლავ დაიბადოს.

ასევე ბუნებრივია, რომ ისეთ საზოგადოებებს, სადაც სამყაროს განმგებელ ძალაზე ამგვარი წარმოდგენა არსებობდა, განსხვავებული სოციალური სტრუქტურა უნდა ჰქონოდა, იმ საზოგადოებებთან შედარებით, სადაც თაყვანს მამა ღვთაებას სცემდნენ, რომელსაც ხელთ ეღვა ან ხმალი ეპურა. სავსებით ლოგიკურია, თუ დავასკვნით, რომ ქალებს არ ეკავათ დაქვემდებარებული მდგომარეობა იმ საზოგადოებაში, სადაც სამყაროს განმკარგავი ძალა ქალის სახით იყო წარმოდგენილი. ასევე ნათელია, რომ ისეთ „ქალურ“ თვისებებს, როგორიცაა ზრუნვა, თანაგრძნობა, არა ძალადობა, ძალიან მაღალი ღირებულება უნდა ჰქონოდა ამგვარ საზო-გადოებაში.

ამასთან, არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავასკვნათ, რომ იქ, სადაც მამაკაცები არ იმორჩილებდნენ ქალებს, ქალებს დაემორჩილებინათ მამაკაცები.

არქეოლოგიის მონაცემების თვალსაზრისით, სამოთხის ბალის ამბავი ხალხის მეხსიერებას ეფუძნება. ბალი ალეგორიული აღწერაა ნეოლითის ხანისა, როდესაც ადამიანებმა პირველად დაიწყეს მიწის დამუშავება და ასე შექმნეს პირველი „ბალი“. კაენისა და აბელის ამბავი ნაწილობრივ ასახავს რეალურ დაპირისპირებას მესაქონლეობასა (რომელთა სიმბოლოც აბელია, რომელიც მსხვერპლად სწირავდა ცხვარს) და მიწათმოქმედებას შორის (რომელთა სიმბოლოც კაენია და რომელიც ღმერთს სწირავს ნაყოფს თავის მიწიდან და რომელიც იაპვემ, მეცხვარეთა ღმერთმა უარყო). ამის მსგავსად, ედემის ბალისა და სამოთხიდან გაძევების მითებიც ნაწილობრივ რეალური

ისტორიული ფაქტებიდან მომდინარეობს. ეს ამბები ასახავს იმ კატაკლიზმურ კულტურულ გარდაქმნებს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ მამაკა-ცთა ბატონობის დამკვიდრებასა და მის თანამდევ გადასვლას მშვიდობისა და პარტნიორობიდან ბატონობასა და ბრძოლაზე.

XIX საუკუნეში, იმ პერიოდს, როდესაც ქალებს ჰქონდათ უპირატესობა ამ საზოგადოებას „მატრიარქატი“ უწოდეს. იმ საზოგადოებათა კულტურული ევოლუცია, სადაც თა-ყვანს სცემდნენ სამყაროს მაცოცხლებელ და მასაზრდოებელ ძალებს, და რომელთა სიმბოლოსაც დღემდე თასი ან გრალი წარმოადგენს, შეწყდა.

პრეისტორიულ ჰორიზონტზე ჩნდებიან პლანეტის პერიფერიებიდან მოსული დამპყრობლები. მათ თან მოაქვთ სოციალური ორგანიზაციის სრულიად განსხვავებული ფორმა. როგორც მარია გიმბუტასი წერს კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, ეს ადამიანები ეთაყვანებოდნენ მახვილის მომაკვდინებელ ძალას, იმ ძალას, რომელიც კი არ აძლევს, არამედ ართმევს სიცოცხლეს, იმ ძალას, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია ბატონობის ურთიერთობის დამყარება.

საუკუნეების მანძილზე მამაკაცები ომობდნენ, ხოლო მახვილი მამაკაცურ სიმბოლოდ რჩებოდა. წინაისტორიულ საზოგადოებაში, სადაც თასი, განასახიერებდა მაცოცხლებელ და მასაზრდოებელ ძალას და რომელსაც უმაღლესი ღირებულება ჰქონდა დასახლებული იყო, როგორც ქალებით, ასევე მამაკაცებით. პრობლემის არსი გაჩნდა მაშინ, როცა მახვილის ძალა გაიდიალიზა, რომ ვაჟკაცობა გახდა იგივე, რაც ძალადობაა. მამაკაცთა დომინაციის საზოგადოებებში ყველაფერი, რაც ქალთან იყო ასოცირებული აღიქმებოდა მეორე ხარისხოვნად. ქალებს დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოართვეს მართვის სადავეები.

საბოლოოდ, ქალი ჩამოაცილეს გადაწყვეტილების მიღების სფეროს და მისი ფუნქციები საოჯახო საზრუნავით

შემოფარგლეს. მშვენიერი სქესი კარგა ხანს ვერ შეეგუა პოზიციების დაკარგვას. ლეგენდებს ამორძალთა ამბოხზე რეალური საფუძველი გააჩნია. ამამონებს ქართულ ლიტერატურაში ამორძალებს უწოდებდნენ.

ბერძნულ მითოლოგიით ამორძალებმა მეომარ ქალთა ტომებმა, რომელთაც იარაღის უკეთ ხმარების მიზნით მარჯვენა ძუძუ ამოშანთული ჰქონდა, ათენზე ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყვეს.

ამორძალთა ფენომენი სრული უფლებით შეიძლება მივიჩნიოთ აგრესიული ფემინიზმის ისტორიულ პირველსახედ.

როგორც ჩანს, ქალთა ამბოხი კარგა ხანს გაგრძელდა. მათ საკუთარი ქალაქ-სახელმწიფოებიც კი დაარსეს კაბადოვიაში. მათი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო მდინარე თერმოდოტის გასწვრივ აშენებული თემისკირა.

„მეამბოხე“ ქალები მაქსიმალურად შეზღუდეს და საბოლოოდ პოზიციები, ასე განაწილდა: მამაკაცი ბატონი, შემოქმედი. ქალ-ყმა, შემსრულებელი.

მარადიული დუეტი ქალი და მამაკაცი თავის ასახვას პოულობდა მითოლოგიაში, ეპოსში, ფოლკლორში, ლიტერატურაში, ფერწერაში...

შუმერულ ეპოქაში გილგამეშის შესახებ ჯერ კიდევ ცოცხლობს მატრიარქალური გაგება, სადაც შემორჩენილია ქალური საწყისის კონსტრუქციული გავლენა. მზეთუნახავი შამხათი ესტუმრება ნახევრად მხეც ენრდუს, რომელიც ტყეში განმარტოებით ცხოვრობს. იგი თავს შეაყვარებს და გილგამეშის დაუმინებელი მტერი მის უერთგულეს მეგობრად გარდაიქმნება. მხეც-კაცი ენრდუ-ქალური კეთილის-მყოფელური გავლენით გაკეთილშობილდება და სიკეთი-საკენ წარიმართება.

მრავალ უძველეს რელიგიაში სწორედ ქალური საწყისია უზენაესი მამაკაცური საწყისის სამყაროს შექმნისაკენ მამოძრავებელი მთავარი სტიმული. მაგალითად, ძველ ეგვიპტური ამონი და მისი მეუღლე მუტი, რომელთა გარეშე ქმნის პროცესი არ დაიწყებოდა. ინდუიზმში ქალური

საწყისი შაქტი არის შინაგანი შემოქმედებითი არსი, რომელიც მამაკაცს _ღვთაებას აქტივობისაკენ უბიძებს. კრიშნასთვის ეს არის რადხა, ბრაჰმასთვის _ ლაქშმი, შივასთვის _ჰარვატი.

ეზოთერიკაში სულიწმინდა დედური საწყისია და მამაღმერთი, სწორედ, მისი ძალით ქმნის სამყაროს.

ქალური საწყისი ნელ-ნელა დესტრუქციულ დატვირთვას იძენს. ეს უკვე ბერძნულ მითოლოგიაშიც შეინიშნება. უკეთილშობილესი და უბრძნესი ქალლმერთი ათენა ზევსის თავიდან იბადება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა – ყოველივე სიკეთე მხოლოდ მამაკაცური საწყისიდან მომდინარეობს.

დესტრუქციული დატვირთვის მიმანიშნებელია ისიც, რომ ბერძნულ მითოლოგიაში უკვე აშკარად სჩანს ქალი – ღვთაებების მიმზიდველი ამპლუის შეცვლა. მაგალითად, კირკე ღორებად აქცევს მამაკაცებს. მინოსის ავხორცი მეუღლე პასიფაე ხარს შეიყვარებს და მისგან მინოტავრს ნახევრად პირუტყვ მამაკაცს გააჩენს. აქედან, კარგად ჩანს თუ როგორ მოდის – მამაკაცური საწყისის გაუკულმართება ქალურის მხრიდან.

ჩვენ შორსა ვართ იმ დასკვნისაგან, რომ ზემოთ მოყვანილი მითები და ლეგენდები ქალთა როლისა და უპირატესობის მტკიცებულების უტყუარ არგუმენტად გამოვიყენოთ, მაგრამ მათში სიმართლის მარცვალი მაინც შეიმჩნევა.

შემთხვევითი როდია, რომ მრავალ რელიგიურ სისტემაში ადამიანთა ქომაგი ღმერთი სწორედ მამაკაცის სახით იშვა (იესო, ბუდა, კრიშნა).

ქალთა დისკრიმინაცია ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა. ქრისტიანობა ჯერ კიდევ რჩება, მამაკაცთა რელიგიად, რომელიც ქალთა დისკრიმინაციის გამომწვევ სტერეოტიპებს უჭერს მხარს, რასაც შემდეგი წარმოდგენებიც ემსახურება:

1. უპირველესად, ესაა „ღმერთის სახე“, როგორც მამაკაცის. სინამდვილეში „ძველ აღთქმაში“ ღმერთს სქესი არა აქვს. მთელი ისტორიის მანძილზე ევლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავადვე განმარტავდნენ წმინდა წერილს.

ღმერთის ხსენებისას მხოლოდ მამრობითი სქესის ნაცვალსახელს ხმარობდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სული წმინდა) შედგება და ა.შ. ყოველივე ამან საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოშვა ღმერთის, როგორც მამრობითი სქესის რწმენა.

2. მეორე ისტორიას ქალის დამორჩილებული მდგომარეობის განჩინებისას წარმოადგენს ბიბლიური ამბავი – „ადამის ნეკნიდან“ მისი სამსახურისათვის ევას შექმნა.

3. მესამე, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქალი წარმოდგენილია ორი ჰიპოსტაზით _ევასა და წმინდა მარიამის სა-ხით. პირველში განსახიერებულია ბოროტება და ადამის შეცოდებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება. მეორეში _ აბსოლუტური უმანკოება, მარადიული ქალწულობა. ქრისტიანულ თეოლოგთა აზრით _ მემავეობა – სექსუალური ბოროტებაა, ხოლო _ ქალწულობა სექსუალური სიწმინდე.

4. მეოთხე, მამაკაცთან შედარებით ქალი უფრო დაბალი ბუნების „ღვთიური მტკიცებულებაა“ (რასაც ქალის დამორჩილებული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს).

ქრისტიანული ეკლესიის მსახურებმა ამოიკითხეს პავლე მოციქულის მიმართვებში, რომ ქალს ეკრძალება თავსაბურავის გარეშე ლოცვა, მაშინ, როცა „ქმარმა არ უნდა დაიფაროს თავი თავსაბურავებით, რადგან იგი არის ღვთის ხატი და დიდება, ცოლი კი ქმრის დიდება, რადგან, ქმარი კი არ არის შექმნილი ცოლისაგან, არამედ ცოლია შექმნილი ქმრისათვის“.

ასევე პირველ მიმართვაში ტიმოთისადმი ნათქვამია: „ქალი მდუმარედ უნდა სწავლობდეს ყოველგვარი მორჩილების ქვეშ, ხოლო ქალს ნებას არ ვაძლევ იბატონოს

ქმარზე, არამედ დუმდეს უნდა, რადგან ჯერ ადამია შექმნილი, შემდეგ კი ევა“.

„ნეკნიდან შექმნა“ ქალზე სერიოზული თავდასხმის საფუძველი გახდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბიბლიაში ნათქვამია, რომ „შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო, მეშვიდე დღეს გამოსახა ღმერთმა ადამი (კაცი)“. მას შემდეგ რაც ღმერთმა შექმნა ადამი, მას უკვდავი სული შთაბერა. თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა, გაუჩენ შემწეს, მის შესაფერს. უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰვარა ადამს და რა დააძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ევა ადამს მიჰვარა“.

საკითხმა აქვს თუ არა ქალს სული, სამღვდელოებაში დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი ეჭვსაც კი გამოთქვამდა, არის თუ არა ქალი ადამიანი.

585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და დიდი დისკუსიის შემდეგ, მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით, ფორმალურად სცნეს, რომ ქალს აქვს სული. ასეთი „გმირული“ აღიარება შესაძლებელი გახდა საღმრთო წერილის წყალობით, სადაც მითითებულია, რომ მე ღვთისა, იესო ქრისტე, იმავ დროულად იყო ადამიანის შვილი, ვინაიდან მისი დედა ადამიანი იყო.

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების მიუხედავად შემდგომშიც სულიერი მამები ეჭვქვეშ აყენებდნენ ქალის ფენომენს და საუკუნეთა შემდეგ ამ საკითხის განხილვას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ. მათი აზრით ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მოწიფულობაში _ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს. ქალი მორჩილებისაგან თავისუფალი არასოდეს უნდა იყოს _ამბობს ინდოელების „მანუს კანონები“.

„მადლობელი ვარ უფალო, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე“, _იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოდოქსი იუდე-ველი.

„ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს“, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი ვითარცა ქრისტე-ეკლესიის“, – გვარიგებს ბიბლია.

„ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაპმა უბოძა უპირატესობა პირველთ მეორეებზე“, – გვიმტკიცებს ყურანი.

ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი, ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. ტრადიციულად რელიგიური მოძღვრებები საყოველთაოდ აშუქებენ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიან მდგო-მარეობას, ამიტომ სრულიად გამართლებული ჩანს იმის მტკიცება, რომ რელიგია უსქესო არ გახლავთ. იგი წარმოშობით მამრობითი სქესისაა.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, როდესაც რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ქალებს საბოლოოდ დაეხშოთ გზა.

„დროზე თუ არ მივიღე ზომები, არავინ იცის, რას მოიმოქმედებენ ეს ძალაუფლებისმოყვარე, ვერაგი არსებები“, – გაიუღერა მაღალი ტრიბუნიდან ძველ რომში. 208 წელს კართაგენის საეკლესიო კრებამ ქალებს წერა-კითხვის სწავლა აუკრძალა „სატანის მოკავშირის“ ხელში განათლება მეტად სახიფათო იარაღიაო. „ქალი ჯოჯოხეთის კარიბჭეა“ – წერდა ტერტიულიანე.

ყველა ეს შიში იმის მაუწყებელია, რომ სუბიექტი ობიექტში აშკარად ფარულ მუქარას გრძნობს. სწორედ, ამ საფუძველზე ყალიბდება „მტრის ხატი“.

„ბოროტება ქალის შეგნებული არჩევანია“. აქედან გამომდინარე საბოლოოდ, მამაკაცები თავად შეაძრწუნა მონსტრმა, რომელიც მათ ქალის სახით საკუთარი ხელით შექმნეს.

ქალთა უფლებრივი შეზღუდვის მიზეზს როგორც შუა საუკუნეებში, ასევე მას შემდეგ დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ როგორც კანონმდებელი ანუ

სამართლის სუბიექტი ისე კანონდებული ანუ სამართლის ობიექტი გახლდათ მამაკაცი. ზოგადად, სამართალი იქმნებოდა მამაკაცების მიერ მამაკაცებისათვის.

გვიანი შუა საუკუნეებიდან ევროპელ საზოგადოებასა და მოაზროვნებს გაცხარებული კამათი ჰქონდათ სქესთა რაობაზე, ქალისა და მამაკაცის ადგილსა და როლზე საზოგადოებაში. ჯოვანი პიკომ თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „მამაკაცის ღირსების შესახებ“ 1486 წელს აღნიშნა, რომ ღმერთი ესაუბრებოდა მხოლოდ ადამს. ამიტომ მამაკაცებს უფლება ეძლეოდათ თავისუფლად განესაზღვრათ თავიანთი ბუნება და ეცხოვრათ საკუთარი სურვილების შესაბამისად. მამაკაცის ღირსების პოსტულატი დაუპირისპირდა მველ პაპ ინოკენტ III-ის დროინდელ „ადამიანური ცხოვრების საცოდაობის პოსტულატს“, რომელიც ქალებს, სახავდა, როგორც ევას შთამომავლებს, რომლებსაც წვლილი მიუძღვით მამაკაცთა დაცემაში, აიგივებდა მათ სექსუალობასა და ცოდვასთან. აუგუსტინე ცოლ-ქმარს შორის სქესობრივ ცხოვრებასაც კი, ცოდვად სთვლიდა. სულის გადა-რჩენისათვის მებრძოლ მამაკაცებს უნდა დაეცვათ თავი ქალე-ბისაგან, ხოლო სულის გადარჩენისათვის მებრძოლ ქალებს საკუთარი თავისაგან.

არისტოტელე „ქალებს ბუნების შეცდომას უწოდებდა“, ტომა აქვინელი მათ დაუსრულებელ მოუმთავრებელ მამრებად იხსენიებს. ამგვარი მოაზროვნეებიც კი სქესთა საკი-თხზე წერისას აღიარებდნენ, რომ „ქალებს დიდი როლი მხოლოდ საოჯახო საქმეებში აკისრიათ. თუმცალა ოჯახის თავი და მეურვე მაინც მამაკაცია და ქალებს საერთოდ არაფერი ესაქმებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

შუა საუკუნეების მწერლების უმეტესობა მამაკაცები იყვნენ და ამიტომ ისინი მამაკაცებს, პრივილეგირებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებდნენ. მხოლოდ მცირე რიცხვი მოაზროვნების (რამდენიმე მამაკაცი, უმეტესად კი ქალები) იცავდნენ ქალთა ინტერესებს. მართალია, გალეაცო ფლავიო კაპრამ 1525 წელს დაწერა ნაშრომი „ქალთა

აღმატებულობისა და ღირსების „შესახებ“, მაგრამ ამის მიუხედავად გვიანი რენესანსის ნაშრომთა უმეტესობა მაინც ქალთმომულე, მიზოგენური ტექსტებია.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1595 წელს ანონიმმა ავტორმა პირველად გერმანიაში ლათინურად გამოაქვეყნა „ახალი მსჯელობა ქალების წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი ადამიანები არ არიან“. ამ ნაშრომმა ფრიად დააინტერესა მაშინდელი საზოგადოება. იგი ითარგმნა და გამოიცა სხვა ევროპულ ქვეყნებში. ნაშრომის სათაური გვაძლევს საშუალებას ავტორის შეხედულებით გავიაზროთ თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება სქესთა თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის მიმართ. ეპოქისათვის დამახასიათებელ მსჯელობის თემატიკა ნათლად მიგვანიშნებს, რომ ქალებს როგორც კატეგორიასა და ჯგუფს იუდეოქრისტიანული კულტურა უკეთეს შემთხვევაში მოიხსენიებდა განსხვავებულად, ხოლო უმეტეს შემთხვევაში დაბალი დონისა და განვითარების ადამიანებად. ხშირად კი, მათი ადამიანობაც კითხვის ნიშნის ქვეშ ექცეოდა.

ზემოთხსენებული შუა საუკუნეობრივი დებატები კარგი წინამძღვრებია იმის გასააზრებლად, თუ ვის ხელში იქმნებოდა კანონმდებლის ძალაუფლება, ანუ ვის ჰქონდა ძალა-უფლება დაეწესებიათ სამართალი და მოეწესრიგებიათ ურთიერთობები ადრეულ ეპოქაში.

მონარქიული წყობილებისას სამართლის წყაროები ემსახურებოდა არსებული წყობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მაგრამ ასევე არეგულირებდა საზოგადოებრივ ურთი-ერთობებს, სადაც ხშირად ქალი მამაკაცის საკუთრებად ცხადდებოდა, რომელსაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ეძლეოდა ქმართან გაყრის უფლება, ეკრძალებოდა განათლების მიღება და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

... და ქალები ადამ და ევადან მოყოლებული ყოველ-დღიურად იტანდნენ იმ დისკრიმინაციას, რომელსაც

გაბატონებული მამაკაცები სხვას, რომ თავი დავანებოთ ყოველწლიუთში ასე ამკობდნენ სიტყვიერად: „ბატის ტვინა“, „შტერუკა“, „დაბნეული ჭუკი“, „ქალია რა უნდა მოთხოვო?“, „ქალის ჭკუა თხამ შეჭამა“ და სხვა.

უფლება აყრილ ქალებს ამ „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენლებს მამაკაცთა ყურით დასაჭერად ისღა დარჩენოდათ ოსტატურად გამოეყენებინათ თავისი საბედისწერო არგუმენტი სექსუალური მიმზიდველობა, ქალური „ეშმაკობანი“ და კეკლუცობა.

„ფარული ქალური მმართველობის“ დამყარების მიუხედავად, მაინც „დაპყრობილი“ და ფეხქვეშ გათელილი ისე იყო ქალური ღირსება, რომ თვით პროგრესულად მოაზროვნე შექსპირიც კი ვერ აცდა საუკუნის მანძილზე ძვალრბილში გამჯდარ აზრს და განაცხადა: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“...

ისტორიულად ქალებს არ ეძლეოდათ თავიანთი პიროვნებისა და სათქმელის პირდაპირი, სიტყვიერი თუ წერილობითი გზით გადმოცემის საშუალება – განათლების, საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის აკრძალვის გამო. ამიტომ ქალები თავიანთ პრობლემებზე ან დუმილს მიმართავდნენ ან ჯადოქრობას, მკითხაობას, ხილვების ქონას და ა.შ. რისგამოც ინკვიზიცია მათ სასტიკად უსწორდებოდა.

რეფორმაციის პერიოდში, XVI საუკუნეში, ქრისტიანობაში მოხდა რადიკალური ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო ფეოდალიზმის ნიადაგზე ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვით და განვითარებით. რომელმაც თან მოიტანა კეთილისმყოფელ გარდაქმნათა სიო, თუმცა ჯერ კიდევ სუსტი და ხანმოკლე.

ქალთა მოძრაობის დაწყებას ბიძგი მისცა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და ფემინისტი დე გუჟის სიტყვებმა: „ქალებო, გაიღვიძეთ... აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ბუნების ძლევამოსილი იმპერია უკვე აღარ არის

გარემოცული ცრურწმენით, ფანატიზმით, განსმჯამდელი შეხედულებითა და სიცრუით“...

ქალთა მოძრაობის სიომ ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა, რომელმაც XVIII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციით მოიტანა ადამიანის უფლებათა ახალი ლოზუნგი:

„თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა“.

ქალებს ერთი რამ კარგად ესმოდათ, რომ „ქალი და კაცი ერთი თიხიდან იყო მოზელილი“.

ფემინიზმი პირველი ტალღის ფემინისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში

„მხდალ სიცოცხლესა და უუწარობას თანმხლები მამაკაცის გარეშე გაიარო ქუჩაში, გაცილებით სჯობია ხშირი შეურაცხყოფის ატანა ან გარიყულად სიკვდილი.

ქალის ყველაზე კარგი მცველი და ის ვინც მას ყოველთვის მოემსახურება — მისი გამზედაობაა, რომელიც მან გამოცდილებიდან უნდა შეიძინოს, ხოლო გამოცდილებას საზოგადოებრივი ცხოვრება იძლევა“.

ელიზაბედ კუიდი სტენტონი, 1851 წ.

„დამარცხება შეუძლებელია“

სიუზან ბ. ენთონი 1906 წ

„ფემინიზმი“ — ფრანგულად feminism — ლათინურად femuna — ქალს ნიშნავს.

„ფემინიზმი“ — პოლიტიკური მოძრაობა და დოქტრინაა, რომელიც ჩაისახა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ფემინიზმი“ — ნიშნავს ქალთა უფლებების დაცვას, ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობას.

მსოფლმხედველობისა და იდეების მიხედვით არსებობს მრავალი სახის ფემინიზმი: რადიკალური, ლიბერალური, ეკოფემინიზმი, მარქსისტულ-სოციალისტური და სხვა.

ყველა სახის ფემინიზმის გამაერთიანებელი ღერძია ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობის მოთხოვნა. რაც

ყველაზე მთავარია საზოგადოებისათვის და თვით ქალებისათვისაც ცნობიერების ამაღლება, სქესთა შორის არსე-ბული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზების: ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების შესწავლა და გაანალიზება.

ფემინიზმის ისტორიაში მკვეთრად გამოიყოფა პირველი და მეორე ტალღის ფემინისტები, ვარაუდობენ ასევე მესამე ტალღის ფემინისტებსაც.

პირველი ტალღის ფემინისტებმა თვალსაჩინო აქტიურობა XIX საუკუნეში დაიწყეს (თუმცა XVIII საუკუნეშიც არსებობდა ქალთა უფლებისათვის ბრძოლის მომენტები).

პირველი ტალღის ფემინისტები თავიანთ ამოცანად ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების ანუ არჩევნებში (აქტიური და პასიური) მონაწილეობის უფლებების მოპოვებას ისახავდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ქალების ჩართვა აუცილებელი იყო კანონშემოქმედებით პროცესებში, ვინაიდან ეს იყო ემანსიპაციის (უფლებრივად გათანასწორება) უმთავრესი ამოცანა.

პირველი ტალღის ფემინისტთა საქმიანობა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ქვაკუთხედია. თუმცა ისტორიამ დაგვანახა, რომ პოლიტიკური უფლებების მოპოვება საკმარისი არ აღმოჩნდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

XIX საუკუნის ამერიკასა და ევროპაში მცხოვრებ ქალებს ეკრძალებოდათ: განათლების მიღება, როცა მათი ძმების განათლებაზე ოჯახები დაუცხრომლად ზრუნავდნენ.

ქალებს ეკრძალებოდათ ხმის ამოღება საჯარო შეკრებებზე, და თუ ასეთი ინციდენტი მოხდებოდა, ეკლესია და საზოგადოება ჰკიცხავდა უღირსი აქტივობისათვის.

ქალების მემკვიდრეობით მიღებული ქონება გათხოვებისას ავტომატიურად ქმრის საკუთრება ხდებოდა და ქალიც მამის გავლენიდან ქმრის გავლენაში, საკუთრებაში გადადიოდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალებს უწევდათ იმ კანონებისადმი მორჩილება, რომლის ავტორებიც თვითონ არ იყვნენ, და ვერც იქნებოდნენ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები, უფლება საკანონმდებლო ორგანოში მოსვლისა, რომ შეეცვალათ კანონები და შეექმნათ ისეთი კანონები, რომლებიც მათ ინტერესებსაც დაიცავდნენ.

არსებული უუფლებო მდგომარეობის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, თუ რატომ განიხილავდნენ პირველი ტალღის ფემინისტები ანუ ქალთა მოძრაობის ადრეული ლიდერები არჩევნებში მონაწილეობის უფლებების მოპოვებას ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პანაცეად (უებარ საშუალებად).

ის გზა, რომელიც ქალებმა გავლეს ხმის უფლებისათვის, რათა არჩევნებში მონაწილეობის უნივერსალური (აქტიურიცა და პასიურიც) უფლება მოეპოვებინათ განსხვავდებოდა სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით.

სინამდვილე ყოველთვის იდეალის განხორციელებას გულისხმობს. და, როცა უარვყოფთ და ვცვლით მას, ეს ნიშნავს, რომ მასში განხორციელებული იდეალი აღარ გვაკმაყოფილებს და ამიტომაც უნდა შეიქმნას უკეთესი.

სწორედ, ქალებმა ადამიანური, ბუნების შესაბამისი და არა ზებუნებრივი იდეა დაისახეს მიზნად თანასწორობის მოსაპოვებლად.

ქალის უფლებების იდეა პირველად დაიბადა საფრანგეთში, 1789 წლის რევოლუციის დროს. რევოლუციამ ერთიანად გააცხარა პარიზელ ქალთა პოლიტიკური აქტივობა. ისინი მედგრად ამოუდგნენ მხარში მეუღლეებს და თავიანთი სოციალური კლასის შესაბამისი პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის დაიწყეს ბრძოლა. ბაზარში მომუშავე ქალები ითხოვდნენ: თავიანთი უფლებების დაცვას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, გადასახადების შემცირებას.

ფრანგული არისტოკრატიული კლასის წარმომადგენელი ქალები მოითხოვდნენ სამოქალაქო უფლებების გაზრდას:

ხმის უფლებას, წარმომადგენლობას ხელისუფლებაში, თანა-
სწორობას ქორწინებისას და გაყრის პროცესის წამოწყებას.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ქალთა
მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლ-
დათ პარიზელი სცენარისტი ქალი ოლიმპია დე გუჟი,
რომელმაც დაწერა „ქალთა უფლებების დეკლარაცია“.

„თანაბარი უფლებები აქვთ ან ყველა ადამიანს ან არავის“,
—წერდა დე გუჟი. მან ეროვნულ ასამბლეას წარუდგინა
რადიკალური რეფორმის პროგრამა, სადაც აღნიშნავდა, რომ
„აუცილებელია კანონით იყოს უზრუნველყოფილი სქესთა
სრული თანაბარუფლებიანობა, დასაქმების ფართო
შესაძლებლობები ქალებისათვის, სასკოლო განათლების
ხელმი-საწვდომობა გოგონებისათვის და ისეთი თეატრის
შექმნა, სადაც მხოლოდ ქალებისათვის და ქალების
მონაწილეობით დაიდგმებოდა სპექტაკლები“.

ოლიმპია დე გუჟი ითხოვდა ქალთა გენერალური
ასამბლეის დაარსებას, რომელიც წამოჭრიდა ქალთა
საკითხე-ბსა და პრობლემებს და იმუშავებდა ამ პრობლემის
გადასაჭრელად მამაკაცების გენერალურ ასამბლეასთან.

იგი ითხოვდა ასევე სიტყვის სრულ თავისუფლებას ქალე-
ბისათვის. ასამბლეაში გამოსვლისას მან განაცხადა: „Women
has the right to mount the scaffold; she must equally have the right to
moust the rostrum“ —ქალს ხარაჩოზე (ბარიკადებზე) ასვლის
უფლება თუ აქვს, მას ასევე ტრიბუნაზე ასვლის უფლებაც
უნდა ჰქონდეს!“.

ოლიმპია დე გუჟის მრწამსის საფუძველს წარმოადგენდა
რწმენა იმისა, რომ „ადამიანის უფლებები უნდა ეხებოდეს
და ვრცელდებოდეს თანაბრად ყველაზე, გამონა-კლისის
გარეშე. ქალებს ბუნებისაგან მინიჭებული აქვთ იგივე
გონებრივი შესაძლებლობები, რაც მამაკაცებს და ამი-ტომ
მათ უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი უფლება მიიღონ
განათლება და განაგონ საკუთარი ბედ-ილბალი.

ქალები თავიანთი ინტელექტით არ ჩამოუვარდებიან
მამა-კაცებს და მიუღებელია მათი უფლებების შეზღუდვა

სქესის საფუძველზე“. „თამამი აზრებისათვის“ 1793 წელს რობესპი-ერის ბრძანებით დე გუჟს გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს.

ამ ქმედებამ ინტელექტუალური ქალები აიძულა საკუთარი ტკივილის საგნად განეცადად დე გუჟის მძიმე ხვედრი და სხვადასხვა დროის ფილოსოფოსთა და პოლიტიკოსთა მიერ მოცემული ქალური ბუნების ინტერპრეტაციები (აზრის ახსნა-განმარტება).

ქალთა უფლებებისა და თანასწორობის მოპოვებისათვის საფრანგეთში დაწყებულ მოძრაობას გამოძახილი მოჰკვა ევროპის მეორე სახელმწიფოში დიდ ბრიტანეთში. საფრანგეთისაგან განსხვავებით აქ ქალთა უფლებისათვის ბრძოლაში ხმა აიმაღლა მამაკაცმა ჯონ სტიუარტ მილმა, ინგლი-სელმა ეკონომისტმა, ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ.

დიდ ბრიტანეთში ახლადშექმნილმა ქალთა ხმის უფლებისათვის მებრძოლმა კომიტეტმა 1865 წელს მოამზადა პეტიცია ლორდთა პალატისათვის, რომელსაც ორ კვირაში 1 500-მა ქალმა მოაწერა ხელი. თემთა პალატას პეტიცია ჯონ სტიუარტ მილმა წარუდგინა. მილი ითხოვდა გაუთხო-ვარი ქალებისათვის მიეცათ აქტიური ხმის უფლება იგივე პირობით, რა პირობითაც 1832 წლის დიდი რეფორმის აქტით ეს უფლება უშუალოდ „მამაკაც-მოქალაქეებს“ ჰქონდათ. მილი უბრალოდ ითხოვდა აქტში სიტყვა „კაცი“ შეცვალად „პიროვნებით“.

მილს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. „თემთა პალატის წარმომადგენლებს გაუკვირდათ, როგორ ითხოვა ამგვარმა საპატიო ჯენტლმენმა ხმის უფლება იმათთვის ვინც წესით ოჯახის თავს, მამაკაცს უნდა ემორჩილებოდეს, ვინაიდან ის მასზე დაბლა მდგომი განვითარებისა და შესაძლებლო-ბების ადამიანს წარმოადგენს“.

1869 წელს ჯონ სტიუარტ მილმა გამოაქვეყნა შრომა „ქალთა დაქვემდებარება“ *The subjection of women*, რომელშიც მან აღნიშნა, რომ „ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა ისტორიულად დიდი ხნის მანძილზე

არსებობდა. თავისთავად იგი არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც გაამართლებდა ამ მდგომარეობის შენარჩუნებას მომავალ-შიც“. მიღი ამ ნაშრომში საუბრობს „ქორწინებაში მყოფ ქალთა უუფლებობაზე. ასევე ქალთა შესაძლებლობაზე და უნარზე ხარისხიანად შეასრულოს ის მრავალი სამუშაო, რომლის შესრულებაც მათ ტრადიციულად და ხშირად კანონითაც კი ეკრძალებოდათ“.

XIX საუკუნის ქალთა მომრაობისათვის ეს ნაშრომი და თავად ჯონ სტიუარტ მილის მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავდა არა მარტო თვით ქალებისათვის, არამედ ზოგადად საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმირების დასაწყებად და ქალთა ემანსიპაციის არგუმენტების გასამყარებლად.

მიღის ნაშრომი „ქალთა დაქვემდებარება“ თითქმის ყველა ევროპულ ენაზე გადაითარგმნა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ეს ნაშრომი მაინც ითვლებოდა აუცილებელ საკითხავად ყველა განათლებული ადამიანისათვის, როგორც ქალების ასევე მამაკაცებისათვის. დებატები ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებისთანავე დაიწყო, მაგრამ ცნობილია, რომ „დაშნას გადაამტვრევ, იდეას კი ვერ აღმოფხვრი“.

სწორედ, ქალთა თანასწორობისა და თავისუფლების ძლიერმა აზრმა და იდეამ სულ უფრო და უფრო მეტი რეზონანსი ჰქონა და მან ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გადაინაცვლა. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინტელიგენციამ, რომელიც ახალ კონტინენტზე დაიბადა და იგი გახდა გამომხატველი ჩამოყალიბების სტა-დიაში მყოფი ნაციონალური ცნობიერებისა.

XIX საუკუნეში, ამერიკაში ქალებს ბედმა მრავალი სირთულე და დამცირება არგუნა. მათ აღვვეთილი ჰქონდათ როგორც ხმის უფლება, ასევე სკოლებში სწავლა და უმაღლესი განათლების მიღება. ქალები არ დაიშვებოდნენ საზოგადოებრივ შეკრებებზე და აგრეთვე მათ არ შეეძლოთ კერძო საკუთრების ფლობა.

ბევრი ქალისათვის შეერთებულ შტატებში მიმდინარე სოციალური რეფორმით ცხადი გახდა საზოგადოებაში მათი დაჩაგრული მდგომარეობა. კოლონიური დროიდან მოყოლებული გაუთხოვარ ქალებს მინიჭებული პქონდათ ის მრავალი კანონიერი უფლება, რაც გააჩნდათ კაცებს. ტრადიცია კი მათ ადრე გათხოვებას მოითხოვდა. კანონის თვალსაზრისით გათხოვებისას ქალები თავის ინდივიდუალობას ფაქტიურად კარგავდნენ. მათ არ პქონდათ კენჭის ყრის უფლება. მე-17-18-ე საუკუნეებში ქალების განათლება მხოლოდ კითხვით, წერით, მუსიკით, ცეკვითა და ქარგვით შემოიფარგლებოდა.

ამგვარი უუფლებობის მიუხედავად შეერთებულ შტატებში ქალთა კავშირების საკმაოდ ძლიერი და ვრცელი ქსელი მაინც შეიქმნა.

მიწერ-მოწერის, პირადი მეგობრობის, ოფიციალური შეხვედრების, ქალთა გაზეთებისა და შემოქმედებითი მოღვა-წეობის წყალობით, ქალები ცდილობდნენ თავიანთი სოციალური სტატუსი როგორმე შეეცვალათ.

ამერიკელებს რევოლუციაში მოპოვებული წარმატებებით გაუჩნდათ საშუალება ლეგალური ფორმა მიეცათ თავისი იდეალებისათვის. 1776 წლის 10 მაისს კონგრესმა გაატარა რეზოლუცია, რათა ერთი წლის ვადაში შტატების კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მომხდარიყო.

„ხმის მიცემის დემოკრატიულმა სისტემამ შეერთებულ შტატებში გაათანაბრა და ერთი ღირებულებითი ცენზი მიანიჭა ყველა ადამიანს განურჩევლად ერის, სოციალური მდგომარეობის თუ წარმოშობისა. ამ სისტემამ ისინი ერთი და იგივე სიძლიერით ჩააბა საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ამერიკაში არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიეცათ ზანგებსაც კი არსებებს, რომლებიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ ცხოველებთან იყვნენ გათანაბრებულნი. აშკარად ჩანდა, რომ კონსტიტუციები, მართალია, იცავდნენ ხალხის ბუნებრივ უფლებებს და რაც

მთავარია, არ იცავ-დნენ ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას _თანასწორობას.

ქალებს არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებანი, რითაც ისინი მოკლებულნი იყვნენ სოციალური აქტივობის მექანიზმს“.

სწორედ, ამიტომ ადარებდნენ ინტელექტუალური ამერიკელი ქალები საკუთარ თავს მონებს და დაუინებით მოითხოვდნენ რადიკალურ რეფორმებს. კერძოდ: 1. მონათა განთავისუფლებას; 2. ქალთა მიმართ ოსტრაკიზმის (განდევნა) შეწყვეტას და ხმის უფლებების მინიჭებას; 3. განათლების; 4. ქალთა ფინანსური შევიწროების აღკვეთას.

მათ, კარგად ესმოდათ, რომ დემოკრატიულ იდეათა მქადაგებელი ფილოსოფია ადამიანებს არ ანსხვავებდა წარმოშობის მიხედვით, და ყველა რანგის ადამიანს, თუ რეალურად არა, თეორიულად მაინც ერთ სიბრტყეში განიხილავდა. ამიტომაც, ამერიკელ ქალებს სურდათ თავადაც აქტიურად ჩაბმულიყვნენ დემოკრატიული სახელმწიფოს შექ-მნისა და განვითარების საქმეში.

ამერიკაში ქალთა თვითშეგნების გამოღვიძება დაიწყო ფრენსის რაიტის ჩამოსვლით. იგი წარმოშობით შოტლანდიელი იყო. 1820-იან წლებში, იმ დროს, როდესაც შეერთებულ შტატებში ქალებს საზოგადოებრივ ადგილებში ხში-რად ლაპარაკსაც კი უკრძალავდნენ, ფრენსის რაიტი ქალთა უფლებებისათვის იბრძოდა. მგზნებარე ლექტორი, უურნალისტი აუდიტორიის წინაშე არა მხოლოდ სიტყვით გამოდიოდა, არამედ ახერხებდა კიდეც მსმენელთა შოკირებას თავისი შეხედულებებით.

ქალთა პოლიტიკური უუფლებობის განცდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაამწვავა მონობის წინააღმდეგ დაწყებულმა კომპანიამ. ამერიკელ ქალებს მოუხდათ ზრუნვა, როგორც საკუთარ კეთილდღეობაზე, ისევე ზოგადსა-ყოველთაო განსაზღვრებით, — ზრუნვა სხვის კეთილდღეობაზე. აქ, იგულისხმება მონათა განთავისუფლების საკითხი.

1840 წელს ლონდონში გაიმართა მსოფლიო ყრილობა მონობის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ ამერიკელი მონობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების წევრები: ფემინისტი ელიზაბეტ კეიდი სტენტონი და მგზნებარე აბოლიციონისტი ლუკრეცია მოტი. დელეგატმა ქალებმა კონფერენციის დაწყების პერიოდში აღმოაჩინეს, რომ ისინი იქ არასასურველნი იყვნენ. მათ აუკრძალეს ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის უფლება და საერთოდ, ავანსცენაზე გამოჩენაც კი.

პროტესტის ნიშნად კეიდი სტენტონმა და ლუკრეცია მოტმა ყრილობის დარბაზი დატოვეს სხვა დელეგატ ქალბატონებთან ერთად. სწორედ, მაშინ კეიდი სტენტონს გაუჩნდა იდეა, რომ ქალთა უფლებებისადმი მიმღვნილი ყრილობა ჩატარებიათ, სადაც დააყენებდნენ მოთხოვნებს ქალებისათვის სოციალური, სამოქალაქო და რელიგიურ უფლებების შესახებ.

კეიდი სტენტონს მხარი მაშინვე დაუჭირა ლუკრეცია მოტმა, მაგრამ ყრილობის ჩატარებას სასტიკი დაბრკოლებები შეუქმნეს.

ამის შემდეგ გავიდა 8 წელი და ამ ორმა ქალმა 1848 წელს მოახერხეს ქალთა უფლებებისადმი მიმღვნილი პირველი ყრილობის ჩატარება, რომელიც შესდგა სენეკა ფოლსში ნიუ-იორკის შტატში.

ამ ყრილობაზე კეიდი სტენტონმა წარმოადგინა „ყრლობის დეკლარაცია“, რომელიც შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“ ეფუძნებოდა.

კეიდი სტენტონის „ურთიერთობათა დეკლარაცია“ ქალთა უფლებების დარღვევის 18-პუნქტიან ჩამონათვალს შეიცავდა. მათ შორის იყო: გათხოვილი ქალებისათვის შვილებზე უფლებების ჩამორთმევა. თუ ისინი უთანხმოების გამო დატოვებდნენ ქმარს ან განქორწინებას ისურვებდნენ. შვილებზე უფლებების ჩამორთმევა განქორწინებისას განპირობებული იყო იმით, რომ ქალებს არ შეეძლოთ მათი რჩენა პროფესიის უქონლობის გამო. ასევე ქალს არ შეეძლო

თავისი ქმრის წინააღმდეგ სასამართლოში მიეცა ჩვენება. ქალის საკუთრებაში არსებული ქონება გათხოვების შემდეგ ავტომატიურად ქმრის ხელში გადადიოდა, ხოლო ფაბრიკაში მომუშავე გათხოვილ ქალებს მთელი ხელფასი ქმრებისათვის უნდა მიეცათ და სხვა.

ყრილობის მონაწილეებმა ერთდროულად დაუჭირეს მხარი ყველა იმ რეზოლუციას, რომელიც ქალთა უფლებების დარღვევის 18 პუნქტიან ჩამონათვალში იყო მოცემული.

ყრილობის დელეგატებმა მხოლოდ არჩევნებში ქალთა მონაწილეობის საკითხზე შეიკავეს თავი. შავკანიანი აბოლიციონისტის ფრედერიკ დუგლასის მგზნებარე სიტყვის შემდეგ მათ არჩევნების თაობაზეც მიიღეს რეზოლუცია. თუმცა დამსწრეთა უმრავლესობისათვის ქალის კენჭისყრაში მონაწილეობის იდეა მიუღებელი იყო.

სენეკა ფოლსში ჩატარებული ყრილობის მუშაობისას გამოიკვეთა კეიდი სტენტონის სახე არამარტო, როგორც ქალთა უფლებებისათვის მებრძოლის არამედ, როგორც მჭერ-მეტყველი ორატორის და მწერლისა.

მან კარგად იცოდა, რომ ხმის უფლებების გარეშე ქალები ვერასოდეს მიაღწევდნენ თავიანთ საწადელ მიზანს _თანასწორუფლებიანობას მამაკაცებთან_. სტენტონის აზრით, წარმატების საწინდარი იყო მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის შეცვლა და არაპარტიული აქტიურობა.

სენეკა ფოლსში ჩატარებულ ქალთა პირველ ყრილობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა შტატებში ფემინიზმის განვითარების საქმეში. ყრილობამ შეაგნებინა ქალებს ის უსამართლობა, რომელსაც ისინი განიცდიდნენ და მომავალი ცვლილებების საქმეში კატალიზატორის როლი შეასრულა.

დეკლარაციას, რომელიც სენეკა ფოლსში გამართული დისკუსიების შედეგი იყო, ხელს ყრილობის წევრი 68 ქალი და 32 მამაკაცი აწერდა. დეკლარაცია ქალებსა და მამაკაცებს

კიდევ ერთხელ უფლებრივი თანასწორობისაკენ მოუწოდებდა.

„ჩვენ მიგვაჩნია აშკარა ჭეშმარიტებად ის, რომ მამაკაცი და ქალი თანასწორულ უფლებიანად შეიქმნენ და მათ შემოქმედმა მიანიჭა ძირითადი და თანდაყოლილი უფლებები, რომელთა შორის არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“, – ნათქვამია დეკლარაციის შესავალში.

შეერთებულ შტატებში ზედიზედ ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი სხვა ყრილობებიც ჩატარდა. ქალთა პოლი-ტიკური და სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლას უკვე სხვა ქალებიც ჩაუდგნენ სათავეში და ეს იყო ქალთა პირველი ყრილობის დიდი რეზონანსი პირველი ტალღის ფემინისტთა ბრძოლის საქმეში. მეტად საინტერესოა ქალთა უფლებებისათვის მგზნებარე მებრძოლისა და ლიდერის კეიდი სტენტონის მოღვაწეობის გზა. თავისი ცხოვრების 86 წლიდან მან 50 წელი ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას მიუძღვნა. იგი იყო 7 შვილის დედა და ქალთა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში ერთხელაც არ დაუხევია უკან. ქმრის გარდაცვალების შემდეგ სტენტონმა კიდევ უფრო გააღრმავა ქალისა და მამაკაცის თანასწორულ უფლებიანობისათვის პრობ-ლემების კვლევა და ანალიზი.

1895 წელს გამოვიდა ელიზაბეტ კეიდი სტენტონის ნაწარმოები „ქალის ბიბლია“, რომელიც ეხებოდა იუდე-ისტურ-ქრისტიანულ ტრადიციებში დაკანონებულ ანტიფე-მინისტურ გადახრებს. იგი წლების განმავლობაში იყო ყოველკვირეული გაზეთის „რევოლუშენის“ თანარე-დაქტორი, ასევე ქალთა ხმის უფლებების ეროვნული ასოციაციის (NWSA) პრეზიდენტი.

თავის ადრინდელ ნაწარმოებებს სტენტონი ფსევდონი-მით ბეჭდავდა. მოგვიანებით კი საკუთარი გვარით აქვეყნებდა. ამ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია თანაავტორებთან ერთად გამოქვეყნებული „არჩევნებში ქალთა ხმის

უფლებებისათვის მოძრაობის ისტორიის“ სამ ტომეული (1881-1886).

გულწრფელი იუმორითაა განმსჭვალული მისი ავტობიოგრაფიაც.

სიკვდილამდე კითხულობდა სტენტონი საჯარო ლექციებს სხვადასხვა შტატებში ისეთ საჭირობოროტო თემებზე, როგო-რიცაა განქორწინება, ქალთა უფლებები და რელიგია, „არჩევნებში ქალთა მონაწილეობის თაობაზე“ და სხვა. მან მისი ხელმოწერილი მოთხოვნა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს.

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლაში ელიზაბეტ სტენტონს გვერდში ედგა დაუცხრომელი ფემინისტი სიუზან ენთონი (1820-1906), რომელმაც ამ საქმეს ნახევარი საუკუნე შეალია. ისინი ერთმანეთს 1851 წელს „მონობის გაუქმებისათვის“ მებრძოლთა წრეებიდან შეხვდნენ. მათი ისტორიული მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. სიუზან ენთონს „საფრაჯისტების“ (ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლი რადიკალური დაჯგუფება) მოძრაობის ნაპოლეონსაც უწოდებდნენ, თავისი ორგანიზატორული და ტაქტიკური ნიჭის გამო.

ამ ორი დაუცხრომელი ფემინისტების ცხოვრება ისე იყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ სტენტონი წერდა: „მე ვქმნიდი მეხს, ის კი ესროდა მათ!“.

1886 წელს ელიზაბეტ სტენტონმა, ლუკრეცია მოტმა და სიუზან ენთონმა თანამოაზრებთან ერთად დაარსეს „ამერიკის თანაბარი უფლებების ასოციაცია“, შემდგომში „ეროვნულ ქალთა ხმის უფლებების ასოციაცია“, რომელიც ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოდა. „ასოციაცია“ _ასევე მუშაობდა გაყრის, გარდაცვალების, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებიდან ამერიკაში ფემინისტური მოძრაობა ენთუზიაზმით იყო აღსავსე და სულ უფრო მეტ და მეტ შტატებში იზრდებოდა

ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების მიცემის
მომხრეთა რიცხვი.

1902 წელს სიუზან ენთონი ინგლისს ეწვია. იგი ცხო-
ვრობდა ქრისტაბელ პანკჰურსტთან „მანჩესტერში. მისი
ამერიკაში გამგზავრების შემდეგ მასპინძელმა განაცხადა:
„გაუსაძლისია იმაზე ფიქრიც კი, რომ ქალთა კიდევ ერთმა
თაობამ უნდა დახარჯოს თავიანთი ცხოვრება ხმის
უფლებების თხოვნით. ჩვენ დროის კარგვის უფლება არ
გვაქვს, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ“.

ქალთა უფლებებისა და მონათა თავისუფლებისათვის
სხვადასხვა შტატებში აქტიურად იბრძოდნენ ფემინისტები
ერნესტინ როუზი, ლიდია ჩაილდი და დები გრიმკები.

პოლონელი ემიგრანტი ერნესტინ როუზი ნიუ-იორკის
შტატში ცდილობდა გაეტარებია კანონი, რომლის თანახმად
გათხოვილ ქალებს მიეცემოდათ უფლება საკუთარი ქონება
თავიანთ სახელზე გაეფორმებიათ. ამ ტიპის ერთ-ერთმა
პირველმა კანონმა „მერილენდის ქალების საკუთრების
აქტმა“ „მაგალითი მისცა სხვა შტატების საკანონმდებლო
ორგანოებს მიეღოთ მსგავსი კანონები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიდია ჩაილდმა (1802-
1880) პირველმა გამოსცა „საბავშვო ჟურნალი“. მან 1893 წელს
პირველმა გამოაქვეყნა ანტიმონათმფლობელური წერილი
„სიტყვა ამერიკელთა იმ კლასის ინტერესთა დასაცავად,
რომელსაც აფრიკელებს ემახიან“. მასვე ეკუთვნის 1855 წელს
დაწერილი სტატია „ქალთა ყოფა სხვადასხვა ერებსა და
ეპოქებში“, რომელიც ქალების მამაკაცებთან თანასწორუფ-
ლებიანობისა და მოღვაწეობის აღიარების ისტორიული
მნიშვნელობის მოთხოვნაა.

ლიდია ჩაილდის თაოსნობით დაარსდა ასევე ქალთა
კერძო სკოლა. სამხრეთ კაროლინის მდიდარ მონათმფ-
ლობელის არისტოკრატიული ოჯახიდან იყვნენ ანტიმონათ-
მფლობელური საზოგადოების პირველი ლექტორი ქალები
ანგელინა გრიმკე (1805-1879) და სარა გრიმკე (1792-1873).
შავკანიანებისა და ქალთა უფლებების დასაცავად ისინი

ჩრდილოეთის შტატებში გადასახლდნენ, სადაც თავიანთი სიტყვებით, ესეებითა და ლექციებით თანაბრად ებრძო-დნენ და ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდნენ რასობრივ და სქესობრივ დისკრიმინაციას.

„სახლის საქმე ისეთივე შრომა და საქმეა, როგორც სხვა ნებისმიერი. მამაკაცებმა ააგეს და გამოიგონეს ქალის ბუნება, რომელსაც სინამდვილეში ჩვენ ვერასოდეს შევიცნობთ თუ არ მოვაშორეთ არსებული შეზღუდვები. მხოლოდ თავისუფლებისა და თანაბარუფლებიანობის, თანაბარი აღზრდისა და განათლების პირობებში გახდება შესაძლებელი, მამაკაცისა და ქალის ნამდვილი სახისა და ბუნების დანახვა“, – ასე სწამდა ამ აზრების ავტორს ფრანგ ჯენი დე' ჰერიკოს, რომელიც 1863 წელს ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა. იგი ქალთა პრობლემებზე ინგლისურ ენაზე აგრძელებდა წერას.

ცნობილია, რომ შეერთებულ შტატებში ფემინიზმის ფუძე-მდებელი და ლიდერები იყვნენ ინტელექტუალური ქალები. დროთა განმავლობაში ფემინიზმის დოქტრინამ საზოგა-დოების დაბალ ფენებშიც შეაღწია და ამ ფილოსოფიისა და პოლიტიკური მოძრაობის ბევრი აქტივისტი გამოავლინა. მათ შორისაა ნიუ-იორკში მონად დაბადებული სოჯონერ თრუსი (1797-1883). სამი ათეული წელი იგი სოფელ-სოფელ მარტოდ დაეხეტებოდა და ზეციურ ძალთა მიერ შთაგონებული სიმართლეს ავრცელებდა. მღეროდა საეკლესიო ჰიმნებს (გოსპელს) და აბოლიციონისტურ იდეებს ქადაგებდა.

ერთ მოძვართან ერთად თრუსი ცდილობდა მემავი ქალები ქრისტიანული ცნებებისაკენ შემოებრუნებია. მალე იგი ქალთა ხმის უფლებისათვის მოძრაობაში ელიზაბეტ სტენტონის ხელშეწყობით ჩაება.

ამბობენ, რომ მან ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ ყრილობაზე მკერდი გაიშიშვლა, რათა იქ მყოფთათვის დაემტკიცებინა, რომ მართლა ქალი იყო და არა კაცი, როგორც ამბობდნენ. ხოლო მამაკაცებს, რომელნიც ქალებს სუსტი

სქესის წარმომადგენლად მიიჩნევენ, მან თავისი ლეგენდა-რული სიტყვებით უპასუხა:

„მე მითოხნია და დამითესავს, მოსავალი დამიბინავებია ისე, ვერც ერთი კაცი რომ ვერ მაჯობებდა. მაშ, მე ქალი, არა ვარ? მე იმდენს ვმუშაობ და იმდენს ვჭამ (თუ ვიშოვე), რამდენსაც კაცი მოერევა. მათრახის სიმწარეც მიგემია და განა, მე, ქალი არა ვარ? მე ცამეტი შვილი ვშვი. საკუთარი თვალით ვუყურე, როგორ ყიდნენ მათ მონებად. და, როცა ჩემმა დედობრივმა ტკივილმა ამოხეთქა, იესოს გარდა, ეს ხმა არავის გაუგია. მაშ, მე ქალი არა ვარ?!“.

თავიდანვე ინტელექტუალური ქალები დაჟინებით მოითხოვდნენ რადიკალურ რეფორმებს. კერძოდ, მათი უპირველესი მოთხოვნა იყო მონათა განთავისუფლება, რაც ფემინისტთა ინტელექტუალური პოტენციის გამოხატვის სათავე გახლდათ.

შავი მონების არაადამიანურმა, ენით გამოუთქმელმა წამებამ აღაშფოთა მთელი მოწინავე კაცობრიობა. მათ შორის ამერიკის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. მათ რიცხვს ეკუთვნოდა მწერალი ქალი ჰარიეტ ბიჩერ სთოუც.

ჰარიეტ ბიჩერის მთელი ოჯახი მონათმფლობელობის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. თვითონ მწერალი ქალის სიტყვით, მათი სახლი არა ერთხელ გამხდარა სამხრეთიდან გამოქცეული მონების თავშესაფარი. აქ კი თავისუფალ ჩრდილოეთში გაზრდილი ჰარიეტი პირისპირ შეეჯახა მისთვის სრულიად უცნობ ახალ სოციალურ საკითხებს.

XIX საუკუნის შუა წლებში ამერიკაში მონათმფლობელობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრთა წინააღმდეგობა საგრძნობლად გამწვავდა. 1850 წელს გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით ჩრდილოეთის შტატების მოსახლეობას ევალებოდა, გაეცა და მძებნელი პატრონებისათვის დაებრუნებინა გაქცეული ზანგები. ასეთი კანონის გამოცემამ სავსებით სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია იმ ადამი-ანებში, რომლებსაც სამარცხვინოდ მიაჩნდათ მონათმფლობელობა და იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

სწორედ, ამ ამბავმა მისცა ბიძგი ბიჩერ სთოუს, შეექმნა თავისი შედევრი „ბიძია თომას ქოხი“.

ამ ნაწარმოებით მწერალმა გვიჩვენა მონობის მთელი საშინელება, თვალნათლივ დაგვანახა, რომ ამ სისტემას მხოლოდ უბედურება და ტანჯვა მოჰქონდა მიღიონბით ადამიანისათვის. მან გამოააშკარავა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერი, რომელიც დემოკრატიულობისა და თანასწორობის სიმბოლოდ იყო აღიარებული, უმაგალითო უსამართლობას სჩადიოდა.

ამერიკელი აბოლიციონისტები მიესალმნენ ბიჩერ-სთოუს რომანს, როგორც საპროგრამო პოლიტიკურ დოკუმენტს.

როდესაც მონათა განთავისუფლების საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გამართული ომის დროს ჰარიეტ ბიჩერ-სთოუ პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლნს წარუდგინეს, მან უთხრა:

„მაშ, თქვენ ხართ ის ჰატარა ქალი, რომელმაც ასეთი დიდი ომი ატეხა?“.

ბიჩერ-სთოუ ამტკიცებდა, რომ ადამიანის სინდისი და ჰატიოსნება არ უნდა ურიგდებოდეს რასობრივ ჩაგვრასა და ზიზღს. „ძალა არ შემწევს მოგითხოვთ, აღვწერო ან, თუნდაც წარმოვიდგინო ყველა ის საშინელი დრამა, რომლებიც ყოველდღიურად თამაშდება აქვე, ჩვენს გვერდით ამერიკელთა დახმარებით“.

მონა ქალის გულის მწარე ამონაკვნესია ჰარიეთ იაკობსის ავტობიოგრაფიულ რომანში „მონა გოგონას ცხოვრების ფათერაკებში“. „თავს თუ ნებაყოფლობით თმობ, ნაკლებად იხრწნები, ვიდრე ძალადობისას“, – წერს გულწრფელად ჰარიეთი.

ბატონს გამოქცეულმა მონად დაბადებულმა ქალმა თავი ჩრდილოეთს შეაფარა. იგი შიშისაგან ბებიამისის სარდა-ფში იმალებოდა. გაჭირვება და ოთხკედებულში ყოფნა იმან გადაატანინა, რომ ჭერი გახვრიტა და ჭუჭრუტანიდან თვალყურს ადევნებდა საკუთარ შვილებს. ბოლოს იგი ნიუ-იორკში გაიპარა და ფემინისტსა და აბოლიციონისტ ემი

ფოუსტს დაუმეგობრდა. სწორედ, მისი შთაგონებით დაწერა ჰარიეთმა თავისი ავტობიოგრაფიული რომანიც.

მონათა ნაამბობის ჟანრის ნაწარმოებებს მიეკუთვნება ჰარიეთ უილსონის რომანი, „ჩვენი ნიგი“. ჰარიეთი აფრიკელი წარმოშობის პირველი ამერიკელი გახლდათ, ვისი წიგნიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბეჭდა. ნაწარმოებში რეალისტურადაა მოთხრობილი თეთრი ქალისა და შავი მამაკაცის ქორწინების დრამა, ასევე შავკანიანი მსახურის მძიმე ცხოვრება მდიდარ თეთრკანიან ქრისტიანის კარზე.

ამერიკა და მისი ერი ღმერთისაგან ხელდასმულნი მოწოდებული იყვნენ დიდი საქმეებისათვის. დრომ მოიტანა და გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა მონობის გაუქმება, ამ სამარცხვინო ლაქის ჩამოშორება.

კონგრესმა მიიღო კონსტიტუციის მეთერთმეტე შესწორება და 1870 წელს რატიფიცირებული მეთოთხმეტე შესწორებით დადგინდა, რომ შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ მოქალაქეებს არ შეეზღუდებათ და არ წაერთმევათ ხმის უფლება რასის, კანის ფერისა ან ადრეული საქმიანობის გამო“.

მიუხედავად, ამ ცვლილებებისა სამხრეთის შტატები ისევ რჩებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭაობად, რომელსაც რასიზმი და ცრუმორწმუნეობა მართავდა.

უსამართლობასა და არათანაბარუფლებიანობაზე პირველად აღიმაღლეს ხმა აფრიკელი წარმოშობის ამერიკელებმა, რომელთაც თამამად გამოთქვეს თავისი აზრები ქადაგებებში, პოეზიასა თუ სასიმღერო ნაწარმოებებში.

ამ პერიოდის მწერალ ქალთა შემოქმედებიდან ყურადღებას იპყრობს იულია ქეთერის რომანი „გამოფიტული მიწა“. ამ ნაწარმოებში მწერალი დრამატულად აღწერს ნიჭიერი ქალების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელ-თაც სურთ დამლიონ სამხრეთში ქალისათვის დამახასიათებელი მძიმე ოჯახური ცხოვრების წესი. უსიტყვოდ მორჩი-ლება და ოჯახზე დამოკიდებულება.

XX საუკუნის დასაწყისიდან 70-იან წლებამდე ზანგთა სრული თანასწორობის საკითხი ისევ პრობლემად და ღია ჭრილობად რჩებოდა, ვიდრე 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტმა“ წინ არ წამოსწია თანასწორობის ფასეულობა იმით, რომ აკრძალა დისკრიმინაცია და ყველას მიანიჭა თანაბარი უფლება.

მანამ არნახული ძალით გაიზარდა შავკანიანთა მოძრაობა ადამიანთა უფლებებისათვის. 1950-1960-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უფლებების საკითხი პოლიტიკურ დღისწესრიგში დადგა. ამან გამოიწვია კონგრესში იმ ძალთა გაერთიანება, რომლებიც ცდილობდნენ მიეღოთ ახალი კანონები, რასობრივ თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

შავკანიანთა ეკონომიკური კვლევის ცენტრის უფროსი რ. ბრაუნი 1974 წელს წერდა: „უკანასკნელი 20-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მოვლენად იქცა შავკანიანთა თვითშეგნების განვითარება. მათში საკმაოდ შეიგრძნობოდა რასობრივი სიამაყე და თვითდაჯერებულობა“.

ბრაუნის აზრს ადასტურებდა 1957 წელს მარტინ ლუთერ კინგის დახმარებით „სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელების კონფედერაციის“ შექმნა, რომელიც კოორდინირებას უწევდა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლას.

კინგი ატარებდა მშვიდობიან აქციებს, რათა დღის სინათლეზე გამოეტანა რასობრივი პრობლემები. ამის შემდეგ მან მოუწოდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ. 1963 წლის აგვისტოში კინგმა მოაწყო მარში ვაშინგტონისაკენ, რათა ეჩვენებინა მხარდაჭერა სამოქალაქო უფლებების მოძრაობისადმი.

250 ათასზე მეტმა ადამიანმა, თეთრ კანიანმა და შავკანიანმა, ერთად მოიყარა თავი ლინკოლნის მემორიალთან. ამ მასობრივ დემონსტრაციაში, რომელსაც იყენებდნენ დაინტერესებული ჯგუფები, პოლიტიკის შემმუშავებლებზე

გავლენის მოსახდენად აქტიურად მონაწილეობდა „ქალთა ეროვნული ორგანიზაცია“, რომელმაც მიიზიდა ათასობით ქალი.

ისინი მხარს უჭერდნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას. ამის შემდეგ იყო, რომ კონგრესმა მიიღო სამოქალაქო უფლებათა აქტი. ეს იყო ყოვლისმომცველი აქტი და ცდა იმისა, რათა ბოლო მოღებოდა რასობრივ დისკრიმინაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შავკანიანთა გამარჯვება კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ ფაქტმაც, როდესაც პირველად ამერიკის ისტორიაში ჯიმი კარტერის პრეზიდენტობისას, საბინაო მშენებლობისა და ქალაქების განვითარების მინისტრად დაინიშნა ზანგი ქალი, იურისტი, სამართლის პროფესორი პატრიცია ჰარისი, რაც ხაზს უსვამდა პრეზიდენტის დადებით პოზიციას ზანგთა უფლებების დაცვისადმი.

მართალია, მდაბიონნი, უქონელნი და შავკანიანები ყველანი გათანაბრდნენ და სოციალური აქტივობის ერთნაირ ბერკეტებს ფლობდნენ, მაგრამ რატომ უნდა ყოფილიყო მას მოკლებული ქალი-არსება, რომელიც სოციალურ ცხოვრებაში ერთი სოციალური წრის კაცებისათვის ბევრად უფრო ახლობელი, გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ათასობით და ათიათასობით სხვა სოციალური წრის წარმომადგენელი.

ეს იყო რეალური დისბალანსი, რომელიც უნდა გამოსწორებულიყო და რომელიც საბოლოო ჯამში, ადრე თუ გვიან ყველგან გამოსწორდა, იმ თანასწორობის ფილოსოფიით, რომლითაც შენდებოდა და შენდება ახალი დროის სოციალური სხეული და რომელმაც თავისი ლოგიკა სქესთა შორის სოციალურ ურთიერთობაში გაავრცელა.

ამდენად, შეიძლება ითქვას რომ ადრეული პერიოდის ფემინისტური მოძრაობები თავის არსში წარმოადგენდა გარკვეულ ისტორიულ სამართლიანობისა და ერთგვარი ლოგოსის ხმას, გალაშქრებას ისტორიულ-სოციალური დისბალანსის წინააღმდეგ, რომელმაც ბუნებრივია საბოლოოდ დადებითი შედეგი გამოიღო და ქალური გაერთიანება გაათანაბრა კაცებთან.



ქალების უფლებებისათვის აქტიური მებრძოლნი მე-19 საუკუნეში: ელიზაბეტ კეიდი სტენტონი (ზის) და სუზან ბ. ენტონი.

პოლიტიკური თანასწორობა ქალებისათვის

„ქალებმა უნდა ისწავლონ თავის გათავისუფლება ცრურწმენისა და ტრადიციული დამოკიდებულებების ხუნდებისაგან. მათ უნდა ისწავლონ თავის აღმოჩენა და საკუთარი ტალანტისა და ძალის განვითარება. უნდა ისწავლონ თავიანთი ინიციატივების, უნარებისა და ნიჭის გამოყენება და აღმასების მსგავსად უნდა იმგვარად დაიხვეწონ, რომ ელვარება და ბრწყინვალება დაიწყონ“.

ანი რ. იაგრუ

გაერთიანებული ერების ქალთა სტატუსის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე.

ფემინიზმი შეერთებული შტატების ისტორიის სხვადასხვა მომენტში მრავალი სოციალური მოძრაობის წიაღში ვითარდებოდა. იგი ყოველთვის წინ უსწრებდა დროს. ფემინიზმი უპირისპირდებოდა დროის გაბატონებულ მოსაზრებებს და ითხოვდა იმავე უფლებებს ქალებისათვის, რაც მამაკაცებს გააჩნდათ. ამით ფემინიზმი აფართოებდა მის საზღვრებს და მოქმედებათა არეალს.

ამერიკელი ფემინისტები გამოეყვნენ ახალ მემარცხენეებს და მათ მხოლოდ ქალთა ჯგუფები შექმნეს. ქალთა გათავისუფლების მოძრაობაში ფემინისტებმა პრიორიტეტი დემოკრატიას, სპონტანურობასა და რადიკალიზმს მიანიჭეს. მათ ერთი რამ კარგად ესმოდათ, რომ არსებულ სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის პირობებში, ქალთა სრულ თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობაზე ჯერ წარმო-

დგენაც კი შეუძლებელი იყო მანამ, ვიდრე არ მოხდებოდა ამ სტრუქტურის ნგრევა.

1878 წელს ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ერთ-ერთმა ლიდერმა სიუზან ენთონმა დაარწმუნა კალიფორნიელი სენატორი იმაში, რომ საჭირო იყო საკანონმდებლო ინიციატივა კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად. იგი ხაზს უსვამდა, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიკვეცოს მხოლოდ სქესის საფუძველზე“.

ამ კუთხით შესწორება კონსტიტუციაში მრავალჯერ წამოაყენეს, მაგრამ მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ყოველთვის ჩააგდეს. თუმცა, რამდენიმე შტატმა, უმთავრესად, ცენტრალურ დასავლეთსა და დასავლეთში, მაინც მოახერხა შეზღუდული უფლებებით არჩევნებში ქალების მონაწილეობის უფლების მოპოვება. 1800-იანი წლების ბოლოს და 1900-იანი წლების დასაწყისში ქალები თანასწორი ხმის უფლების მოსაპოვებლად მანიფესტებსა და დემონსტრაციებს მართავდნენ. ზოგჯერ ისინი ძლიერ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ. მათ შეკრებებს არა მარტო მამაკაცები არბევდნენ, არამედ ქალებიც, რომლებიც ქალთა უფლებების გაზრდის წინააღმდეგნი იყვნენ.

საერთოდ, 1869 წლამდე ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება არც აშშ-ში და არც სხვა რომელიმე ქვეყანაში. ხმის მიცემის უფლების მოპოვებისათვის ქალებმა ორგანიზება დაიწყეს 1800-იანი წლების შუახანებში. „საფრეჯისტებად“ ცნობილ ამ პირველ ფემინისტებს თავიდან დიდი გავლენა არ მოუხდებოდათ პოლიტიკაზე. პირველ გამარჯვებას მათ მია-ღწიეს 1869 წელს, როდესაც ვაიომინგმა, ჯერ კიდევ ტერიტორიის სტატუსის მქონემ, მისცა მათ ხმის უფლება. არც ერთ სხვა შტატს არ გადაუდგამს ასეთი ნაბიჯი 1893 წლამდე. ამ წელს კოლორადოს შტატმა მიანიჭა ქალებს ხმის უფლება.

1896-1918 წლებში კოლორადოს მიბამა 12 სხვა შტატმა. მათი უმრავლესობა დასავლეთით იყო განლაგებული, სადაც მიწის პირველ ამთვისებლებს შორის ქალის როლი საკმაოდ ხშირად სცილდებოდა მის ტრადიციულ როლს ოჯახში. ქალების მოძრაობა ხმის მიცემის უფლებისათვის ქვეყნის მასშტაბითაც გაძლიერდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა გელსკაუტების გოგონათა მოძრაობა, რომლის მიზანი იყო ბავშვთა ფიზიკური აღზრდა, სპორტული ორგანიზაციის წევრობა და ბოისკაუტებთან გათანაბრება.


1908 წელს უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ორეგონის შტატის კანონს, რომელიც ზღუდავდა ქალთა სამუშაო დროს. ეს გადაწყვეტილება ვითომ იცავდა „სუსტ სქესს“. სინამდვილეში, ქალები მოწყვეტილნი იყვნენ ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც დამატებით დროს და ანაზღაურებას მოითხოვდა. ამ კანონით ქალებს კვირაში მხოლოდ 48 საათის განმავლობაში ეძლეოდათ მუშაობის უფლება.

ფემინისტებისათვის ნათელი იყო, რომ პოლიტიკური თავისუფლებისა და საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის გარეშე თანასწორობა არასოდეს მიიღწეოდა. ამიტომ კონსტიტუციაში ცვლილებისათვის 1900-იანი წლების დასაწყისში არჩევნებში ქალების მონაწილეობის უფლებისათვის მოძრაობა პოლიტიკურ ბრძოლად გადაიქცა.

საბოლოო გამარჯვებას ქალებმა 20 წლიანი დებატებისა და გაცხარებული ბრძოლის შედეგად „ელის პოლის“ თაოსნობით მიაღწიეს. შეერთებული შტატების კონსტიტუციაში XIX შესწორებით ქალებს მიენიჭათ პოლიტიკური თავისუფლება და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. რატიფიკაციის შემდეგ 1920 წელს ამერიკელმა ქალებმა პირველად მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა. ამ წელს ამერიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა ბორენ ჰარდინგი, რომლის გამარჯვებაში, სწორედ ქალებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი. ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ

ფორმით მიენიჭა, რომელიც პირველად სიუზან ბ. ენთონმა წამოაყენა. ამ გამარჯვების შემდეგ პირველი ტალღის ამერიკელი ფემინისტები 1848 წელს ქალთა პირველ ყრილობაზე წარმოდგენილ „ურთიერთობათა დეკლარაციას“ დაუბრუნდნენ. მათ, იქ, დასმული, კერძოდ, განქორწინების გაადვილების, მემკვიდრეობისა და შრომის ანაზღაურების საკითხების გადაჭრისათვის ბრძოლის დაწყება წამოაყენეს.

1913 წელს შეერთებულ შტატებში პირველი ლედის ჯეინ ადამსის ხელმძღვანელობით შეიქმნა „ქალთა მშვიდობის პარტია“, რომელიც სულ მალე შეუერთდა ევროპელ თანამოაზრე ქალებს და იგი მშვიდობისა და თავისუფლებისათვის „ქალთა საერთაშორისო ლიგად“ გადაიქცა. დღესაც „ქალთა საერთაშორისო ლიგა“ აქტიურად იბრძის მსოფლიოში მშვიდობისა და სამართლიანობისათვის.



სურათზე მოცემულია კონსტიტუციის შესწორება,
სადაც შეერთებული შტატების კონსტიტუციაში მე-19 შესწორებით
ქალებს მიენიჭათ პოლიტიკური თავისუფლება და კენჭისყრაში
მონაწილეობის უფლება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 1919 წელს მთავრობათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ პარიზში, რათა დაეარსებინათ ერთა ლიგა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ასევე ესწრებოდნენ კონფერენციას და შეკრებილ საზოგადოებას სთავაზობდნენ თავიანთ მოსაზრებებს ლიგის დამფუძნებელი დოკუმენტის შესახებ.

ქალებმა იმთავითვე გაიაზრეს ერთა ლიგის მანდატის მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქალთა ორგანიზაციები უკვე კარგა ხანია იბრძოდნენ და ეხმარებო-დნენ ერთა თანაცხოვრების მშვიდობიან გზებს. ამას გარდა, ქალების ენთუზიაზმი ამგვარი მთავრობათაშორისო ორგანიზაციის მიმართ გამომდინარეობდა მათი რწმენიდან, რომ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და გაძლიერება დიდადაა დამოკიდებული მთავრობათა გადაწყვეტილებებზე და პოლიტიკაზე. ერთა ლიგა, სწორედ, მთავრობებზე ზემოქმედების საშუალებას იძლეოდა.

ერთა ლიგაში ქალები განსაკუთრებით ლობირებდნენ მათთვის აქტიურ საკითხებს, ისეთებს როგორებიც იყო ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გარდა გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე და არჩევნებში მონაწილეობის უფლებების მოპოვება. უფრო კონკრეტულად, ქალები ითხოვდნენ, რომ ერთა ლიგას თავისი წევრი სახელმწიფოებისათვის ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების მიცემა აუცილებელ პირობად წაეყენებინა.

ასევე ითხოვდნენ, უცხოელზე გათხოვილი ქალისათვის თავისი ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნების უფლებების მინიჭებას, ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის და სახელმწიფოს მხრიდან პროსტიტუციის ხელშეწყობის აღმოფხვრას. ქალების მოთხოვნა იყო ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო და ჯანსაღი ბიუროს შექმნა და შეიარაღების შენელება.

ამ წინადადების ზეგავლენით ერთა ლიგის დამფუძნებელ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ლიგის წევრ ქვეყანას მოეთხოვებათ ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა შრომის ადამიანური პირობების უზრუნველყოფა და ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღმოფხვრა.

მაშინ, როდესაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუცია იწერებოდა ქალებმა ამერიკული და ბრიტანული პროფესიული კავშირებიდან მოითხოვეს დოკუმენტებში დაეფიქსირებინათ 8 საათიანი სამუშაო დღე, ბავშვთა შრომის აღმოფხვრა, სოციალური დაზღვევის გაძლიერება, პენსიები და საკრედიტო შეღავათები.

და, რაც ყველაზე უმთავრესია: თანაბარი შრომის სანაცვლოდ თანაბარი ანაზღაურება ქალებისა და მამაკაცებისათვის. მათ ასევე მოითხოვეს მინიმალური ანაზღაურება სახლის საქმისათვის. ქალთა ამ შემოთავაზებებს რადიკალიზმის გამო თავაზიანი უარი ეთქვა.

1935 წელს ლიგის ასამბლეამ მიმართა მთავრობებს და ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციებს, თხოვნით შეესწავლათ ქალების მდგომარეობა თავიანთი გავლენისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში.

1937 წელს ლიგამ დაარსა ქალთა სამართლებრივი სტატუსის შემსწავლელი კომიტეტი, რომელსაც დაევალა „სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ვრცელი გამოკვლევის ჩატარება.

კომიტეტი ფუნქციონირებდა 1938-1940 წლებში (მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო დაიშალა. მან სამჯერ მოახერხა შეკრება). ერთა ლიგის ამ კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატებიდან მონაწილეობდა დოროთი ქენონი. იგი იყო ასევე პირველი დელეგატი აშშ-დან გაეროს კომისიაში ქალთა სტატუსის შესახებ 1947-1950 წლებში.

ერთა ლიგის მიერ 1938 წელს გამოცემული მემორანდუმი ექსპერტების კომიტეტს ავალებდა ყურადღება გაემახვილებინათ სხვადასხვა ქვეყნებში სამართლებრივ სტატუსზე, თუ რამდენად მიუწვდებოდათ ქალებს ხელი:

- განათლებაზე;
- საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე;
- სამოქალაქო და სამართლებრივი თანამდებობების დაკავებაზე;
- სამართლებრივ და ადგილობრივ საბჭოებში გაწევრიანებაზე;
- საპარლამენტო თუ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე;
- ქონების მემკვიდრეობით მიღებაზე, ფლობაზე, განკარგვაზე, მართვაზე;
- მეურვეობაზე;
- ქორწინებასთან დაკავშირებულ უფლებებზე.

კომიტეტს ასევე ევალებოდა გადახედა შრომითი სამართლისათვის ქალებთან მიმართებაში, ხელფასებისათვის, დაზღვევებისა და პენსიებისათვის, ასევე ქალების მიმართ სისხლის სამართლებრივი რეგულაციებისათვის.

ცნობილია, რომ ერთა ლიგა პირველი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილების შედეგად შეიქმნა. იგი მიზნად ისახავდა მსოფლიო უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვას. მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა, რის გამოც ერთა ლიგა ჩამოყალიბდა მეტად სუსტ ორგანიზაციად. მან ვერ შეძლო თავისი მისიის შესრულება და ვერ დაიცვა მსოფლიო ახალი ომისაგან, ამიტომაც მალე დაიშალა.

ერთა ლიგამ ქალთა უფლებრივ საკითხებში, კერძოდ, ლიგასთან დაარსებულმა ქალთა სამართლებრივი სტატუსის შემსწავლელმა კომიტეტმა, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებითა და ანა-ლიზით, უდიდესი პროგრესული ნაბიჯი გადადგა ქალების უფლებების აღიარებისა და დაცვის გზაზე.

ერთა ლიგის ქალთა კომიტეტის მემორანდუმი გახდა სწორედ მოგვიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალების უფლებებზე მიღებული დოკუმენტების

მთავარი საკითხი და გაეროში ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის ჩამოყალიბების წინა პირობა.

აქვე უნდა მოვიყვანოთ ასევე ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის ისტორია. 8 მარტს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. ამ დღეს ასევე აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ქალთა საერთაშორისო დღის დაწესების იდეა, პირველად, მეოცე საუკუნის დამდეგს გაჩნდა. 1909 წელს, ამერიკის სოციალისტური პარტიის დეკლარაციის საფუძველზე, შტატებში პირველად „ქალთა ეროვნული“ დღე 28 თებერვალს აღინიშნა. 1913 წლამდე ქალთა დღეს თებერვლის ბოლო კვირას აღნიშნავდნენ. ქალთა მოძრაობის ღვაწლის დასაფასებლად – 1910 წელს კოპენჰაგენში სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრაზე გადაწყდა ქალთა დღის დაარსება. პირველად ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს ევროპის სხვა-დასხვა ქვეყნებში ქალებმა გამართეს მსვლელობა I მსოფლიო ომის წინააღმდეგ.

ამ მოვლენის შემდეგ ქალთა საერთაშორისო დღე მსოფლიოს მასშტაბით 8 მარტს დამკვიდრდა.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, სოციალურ, პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ამერიკელთა წეს-ჩვეულებებში, ყოფაში. 20-იანი წლებში ძველი დოგმების წინააღმდეგ ბრძოლამ ფართო მასშტაბიანი ხასიათი მიიღო. ამას დიდად შეუწყო ხელი ქალის როლის გააქტიურებამ. ფაქტიურად, ამ დეკადაში დაიწყო ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ახალი, თანამედროვე სტანდარტის ჩამოყალიბება (რამაც 60-იან წლებამდე გასტანა).

პირველ მსოფლიო ომში ამერიკელი მამაკაცების გაწვევამ ბევრი ვაკანსია გააჩინა, რაც ლოგიკურად ქალებმა შეავსეს. მოსამსახურე ქალი კი საკუთარ თავში გაცილებით უფრო დარწმუნებული და თამამი იყო. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ის ამაყად შედიოდა სასადილოში კაცების გვერდით ერთ ჭიქა არალეგალურ სასმელს მიირ-

თმევდა, სახალხოდ აბოლებდა სიგარეტს, ქანცის გაწყვეტა-
მდე ცეკვავდა ბარებსა და რესტორნებში. ვიქტორიანული
შეზღუდვებისაგან განთა-ვისუფლებულ ქალებს უკვე აღარ
აკმაყოფილებდათ ტრადიციული, ძირითადად ვალსის
ტიპის ცეკვები, საჭირო იყო იმ დროს უსაზღვროდ
პოპულარული ჯაზის რიტმების ფეხის აწყობა და ასე გაჩნდა
ფოქსტროტი, ჩარლზსტონი....

ახალმა საზოგადოებრივმა ნორმებმა საგრძნობი კვალი
დატოვა ამერიკელი ქალის ტანისამოსზე და ზოგადად, მის
გარეგნობაზე, თუ ჯერ კიდევ 1919 წელს რიგით ამერიკელ
ქალს კოჭებამდე ქვედაბოლო, შიგნით კი კორსეტი ეცვა, 20-
იანი წლების ბოლოსაკენ კაბის სიგრძე მუხლს მიუახლოვდა.

1920 წლამდე კაბის სიგრძე ქალის სიმაღლის 10% იყო,
1927 წელს – 25 %-ს მიაღწია, კორსეტი კი თითქმის საერთოდ
გამოვიდა ხმარებიდან, მუქი ბაბის გრძელი წინდები
თხელმა ნეილონის გამჭვირვალე ან ფერადმა კოლგოტკე-ბმა
შეცვალა, ერთი სიტყვით, 20-იანი წლების ამერიკელი ქალი
მაქსიმალურად ცდილობდა გათანაბრებოდა და დამსგავ-
სებოდა მამაკაცს.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ რაც უფრო დიდი იყო
მიმსგავსების ხარისხი, მით უფრო მეტ კოსმეტიკურ საშუა-
ლებას იყენებდა ქალი. სწორედ, ამ პერიოდში გაჩნდა
„კოცნა-გამძლე“ პომადები, ტონალური კრემები და სხვა
თანამე-დროვე კოსმეტიკური საშუალებები.

20-იანი წლების ქალები დაუფარავად უზიარებდნენ
ნაცნობ მამაკაცებს თავიანთ პირად სექსუალურ გამოც-
დილებას. ეს სულისკვეთება აიტაცა და წარმატებით
გამოიყენა კინო ინდუსტრიამ და პრესამ.

გაჩნდა ჟურნალის ახალი ტიპები. ე.წ. „გამხელები“, სადაც
მოთხოვნებილი იყო რომანტიკული ისტორიები, სასი-
ყვარულო წარმატებები და წარუმატებლობები, გაყრით,
ღალატით... ქვეყანაში ამ ჟურნალების ბუმი იყო. იგივე
წარმატებით გამოიყენა სქესის პოპულარული თემა კინო
ინდუსტრიამ. გაჩნდა ფილმები სათავგადასავლო, სექს-

კომედიები, ახალგაზრდობის თანამედროვე ცხოვრებისა და სექსუალური თავგადასავლების ამსახველი.

კინოს მსგავსად, ამერიკულ მასობრივი კულტურის განვითარებაზე სპეციფიკური გავლენა იქონია 20-იანი წლების რადიომ. რადიო პროგრამებშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სექსის თემას მოდური სიმღერების სახით. სექსის თემის უსაზღვრო პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ზიგმუნდ ფროიდის შრომებს. ამერიკელმა ახალგაზრდებმა ფროიდი მოიშველიეს თავისუფალი სექსუალური ცხოვრების აუცილებლობის დასამტკიცებლად. გავრცელდა აზრი, რომ ფროიდის მიხედვით უმჯობესია თავისუფლად გამოხატო შენი სექსუალური ენერგია, რადგან მისი შეზღუდვა უბრალოდ საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

სწორედ, ეს გაიხადეს მაშინდელმა ახალგაზრდებმა ცხოვრების კრედოდ. 20-იანი წლების ბოლოსაკენ ქალთა 47%-ს ქორწინებამდე სექსუალური კავშირი ჰქონდა, თუმცა ძირითადად მხოლოდ მომავალ მეუღლეებთან.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ამერიკელთა შეხედულებები ქორწინებაზე: თუ ადრე ოჯახის მეთაურად მამაკაცი ითვლებოდა და მას ევალებოდა ცოლ-შვილის რჩენა, გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ქალს შვილების აღზრდა, შინა-ური ცხოველების მოვლა და საოჯახო საქმეების კეთება, 20-იანი წლებიდან დაიწყო ფუნქციების თანაბარი განაწილება.

ასეთ ახლებურ პრინციპებზე აგებული ოჯახები უფრო მეტად იყვნენ ბედნიერნი, ვიდრე ძველი ტრადიციების მიმდევარი წყვილები. ერთ დროს მყარი სოციალური წარმონაქმნი _ოჯახი თანდათან კარგავდა თავის ფუნქციებს, მისი დანგრევა-შენარჩუნება უშუალოდ წყვილის ინდივიდუალურ ნებაზე გახდა დამოკიდებული და არა სოციალურ გარემოზე, რამაც დანგრეული ოჯახების რაოდენობა გაზარდა.

ბრძოლა განათლებისათვის

„ბრძოლა განათლებისათვის ერწყმის
ბრძოლას დემოკრატიისათვის. ჩვენ
უნდა ვიყოთ დემოკრატიის დიდი
არსენალი“

პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი, 1941.

პირველი ტალღის ფემინისტებმა თანასწორუფლე-
ბიანობისათვის ბრძოლაში იმთავითვე გააცნობიერეს ქალის
წიგნიერებისა და განათლების დიდი როლი. სხვას, რომ თავი
დავანებოთ, განათლებული დედის როლი ფასდაუდებლად
იქნა მიჩნეული ბავშვების აღზრდაში.

ამერიკელმა რეფორმატორმა ქალებმა მონობის გაუქმებისა
და პოლიტიკური თავისუფლების შემდეგ, მესამე საკითხად,
ქალებისათვის საყოველთაო განათლების მიღების უფლება
წამოაყენეს.

ისტორიულად, ქალებს განათლებისა და საზოგადოებაში
სიტყვით გამოსვლის აკრძალვის გამო, არ ეძლეოდათ
თავიანთი პიროვნებისა და სათქმელის პირდაპირი გზით,
სიტყვიერად გადმოცემის საშუალება.

ქალები თავიანთი სათქმელის გახმაურებას, ამიტომაც
ცდილობდნენ არა სიტყვიერად, არამედ შემოქმედებითი
ფორმებით. როგორიც იყო: ხალიჩების ქსოვა, კერვა, ქარგვა,
სახლის მორთვა, კულინარია...

ზოგჯერ ისინი მათი გარემოცვისათვის შეუფერებელ,
უჩვეულო ფორმებსაც იყენებდნენ, ეს იყო: ჯადოქრობა,
მკითხაობა, ხილვების ქონა და ა.შ. ამის გამო ინკვიზიცია
ქალებს სასტიკად უსწორდებოდა.

შუა საუკუნეებში მაღალი წრისა და მდიდარი ოჯახის
წევრი ქალი, გაცილებით მეტი პრივილეგიითა და
უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე ღატაკი და დაბალი
ფენის წარმომადგენელი მამაკაცი.

ზემოთ თქმულს თუ რასობრივ მახასიათებელზე გადავიტანთ, დავრწმუნდებით, რომ ამერიკის ფერადვანიანი მოსახლეობა –კაცი და ქალი, ისტორიულად, გაცილებით მეტ დისკრიმინაციასა და უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე დაბალი ფენის თეთრკანიანი ქალები.

და, ამიტომაც, გასაკვირი არ არის თუ რატომ მისცეს რეფორმატორმა ფემინისტებმა უპირატესობა თანასწორუფლებიანობის საქმეში მონობის გაუქმებას.

ამერიკის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლების სისტემის საფუძვლის ჩაყრას. 1787 წლის კონსტიტუციაში არაფერი იყო ნათქვამი სახალხო განათლებაზე. ეს კარგად ესმოდათ პირველ კოლონისტებსაც და ამიტომაც იყო, რომ მათ დაიწყეს ზრუნვა იმაზე, თუ ძველი ევროპული კულტურული მემკვიდრეობიდან რა და როგორ შეენარჩუნებინათ.

ამ პრობლემაზე კოლონიალიზატორებს დიდხანს არ უყოყმანიათ და უკვე 1647 წელს, მასაჩუსეტსის ყურის კოლონიაში ამოქმედდა „ye olde deluder satan“ –აქტი, რომლის თანახმად: ყველა პატარა ქალაქს თავის კმაყოფაზე უნდა აეყვანა სკოლის მასწავლებელი, რომელიც წერა-კითხვას, არითმეტიკას და რელიგიას ასწავლიდა. ხოლო შედარებით უფრო დიდ ქალაქებში, რომლის მოსახლეობა 50 ოჯახს აღემატებოდა, უნდა შეექმნათ გრამატიკის სკოლები, სადაც ბავშვებს უნივერსიტეტისათვის მოამზადებდნენ. 1636 წელს მასაჩუსეტსის შტატებში დაარსდა ჰარვარდის კოლეჯი.

მასაჩუსეტსის კოლონიის მაგალითს ახალი ინგლისის ყველა კოლონიებმა მიბაძეს. ვირჯინიაში ჩამოყალიბდა უილიამისა და მერის კოლეჯები. საუნივერსიტეტო სკოლა გაიხსნა კონექტიკუტში და შემდეგ კი იელის კოლეჯი.

მთავრობა სულ უფრო და უფრო ზრდიდა სკოლების სისტემას. პირველი სკოლა პენსილვანიაში 1683 წელს დაარსდა, სადაც კითხვას, წერას და საბუღალტრო ანგარიშებს ასწავლიდნენ. ფილადელფიაში ბევრი კერძო სკოლა გაიხსნა, რომელშიც ენებს, მათემატიკასა და საბუნებისმეტ-ყველო

საგნებს ასწავლიდნენ. აქვე, უფროსებისათვის ღამის სკოლებიც არსებობდა.

არც ქალები იყვნენ მთლად უყურადღებოდ დატოვებული. მათი განათლება ოჯახში გამოსაყენებელი საქმიანობის შესწავლით შემოიფარგლებოდა. მდიდარი ფილადელფიელის ქალიშვილებს კერძო მასწავლებელი ასწავლიდა ფრანგულს, მუსიკას, ცეკვას, გრამატიკას და ზოგჯერ ანგარიშწარმოებასაც კი.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი: ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო რეგიონში, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, ახალ ინგლისში, ყველაზე განათლებული კოლონისტები პურიტანისტები იყვნენ.

პურიტანისტებს კარგი განათლება ჰქონდათ. უმეტესობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ და განათლება სჭირდებოდათ კიდევ ღვთის ნების აღსასრულებლად.

პურიტანთა განმარტებით, „კარგი წიგნი ოჯახში ღვთის სინათლისა და სითბოს დამაკვიდრებელიაო“. სწორედ, პურიტანები იყვნენ დაინტერესებული ყველაზე მეტად სწავლა-განათლების საკითხებით, კოლონიებში სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების გახსნით.

„ახალ სამყაროში“ კოლონისტების თვითმმართველობის დროს მიღებული პირველი დოკუმენტი „მეიფლაუერის შეთანხმება“ პურიტანისტების თაოსნობის დროს დაიწერა, რომელიც შემდეგ თავისუფლების დეკლარაციის წინამორბედი გახდა.

პურიტანისტთა ქადაგებებს შრომისმოყვარეობასა და განათლებაზე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა სამხრეთ ამერიკის კოლონიებში. აქ ერთობ მოდაში იყო ცხენზე ჯირითი და ნადირობა. განათლებული სამხრეთელები „ძველი სამყაროს“ არისტოკრატების კლასიკურ იდეალს განასახიერებდნენ.

კულტურული რევოლუციის შედეგის დანახვას დრო სჭირდებოდა. რევოლუცია ადამიანის სულიერი მდგომარეობის სარკეა. იგი ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების

თანაზიარობაში იბადება და ვითარდება. 50 წელი დასჭირდა ამერიკას, სრული კულტურული დამოუკიდებლობისათვის და განათლების რეფორმისათვის.

XVIII საუკუნის ბოლოს აშშ-ში კვლავინდებურად არ არსებობდა განათლების მწყობრი სისტემა. იგი ატარებდა ძირითადად კერძო ხასიათს. მისით სარგებლობა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ. საყოველთაო განათლება კი ფასიანი სისტემის პირობებში შეუძლებელი იყო. ამერიკელი განმანათლებლები ბენჯამინ ფრანკლინი და თომას ჯეფერსონი იბრძოდნენ უფასო განათლების შემოღებისათვის, რადგან კარგად იცოდნენ, რომ უფასო განათლების შემოღება იყო უმთავრესი ფაქტორი განათლების სახელმწიფო სისტემის შექმნაში. 1779 წელს მიღებულ ბილში „ცოდნის საყოველთაო გავრცელების შესახებ“, ჯეფერსონი ითვალისწინებდა ორსაფეხურიანი სკოლის შემოღებას, სწავლების 3 წლის ხანგრძლივობით. XIX ს-ის პირველ ნახევარში თითქმის ყველა შტატში მიიღეს კანონი „უფასო დაწყებითი განათლების შესახებ“. უფასო სწავლებამ განაპირობა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა რიცხვის ზრდა. სწავლების მსურველთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები.

„არც ერთ ქვეყანაში ქალები ისე ენერგიულად და ისე ჭკუით არ მოჰკიდებიან თავიანთ საქმეს როგორც ამერიკაში. ამიტომაც მათ ბევრი უფლება მაღით წაართვეს კაცებს. ნიუ-იორკის სასოფლო სკოლებში სულ 26 000 მასწავლებელია და იმათში 21 000 ქალი. მასაჩუსეთსში 4 000 მასწავლებელში 2 500 ქალია. ასე, რომ მთელი სახალხო განათლება თითქმის მარტო ქალების ხელშია. ამერიკაში მაღიან ბევრი ისეთი საშუალო სასწავლებელი და სკოლაა, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ. ხშირად 15-16 წლის ახალგარდა ქალი და 18-20 წლის ყმაწვილკაცი ერთად სხედან“, – წერდნენ გაზეთ „დროების“ ფურცელზე.

1930-იან წლებში ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების მსგავსად, ქალთა სასწავლებლებშიც არსებობდა

მკვეთრად გამოკვეთილი სოციალური სტანდარტები და ნორმები. მაგალითად, თუ ქალი სტუდენტი გადაწყვეტდა სტუმრად სწვეოდა „ფრათერნით ჰაუსს“, მას თან უნდა ხლებოდა ე.წ. „ჩეპერონი“ (უფროსი ზედამხედველი ქალბატონი). არსებობდა ერთი განსაკუთრებული წესი, რომელიც გოგონებს უფლებას არა აძლევდა ბიჭებისათვის პაემანი და ენიშნათ. ისინი ცეკვის საღამოზე მხოლოდ 11 საათსა და 45 წუთამდე უნდა დარჩენილიყვნენ. ქალები ასე თუ ისე ამ ნორმებს ემორჩილებოდნენ.

ფემინისტებს ესმოდათ, რომ თავისუფალი ნების გამომუდავნება ცოდნაშია. ცოდნა განათლებაა. განათლება კი თავისუფლებაა. თავისუფლება თავისთავად ზნეობრივი კატეგორიაა.

ბრძოლა განათლებისათვის ერწყმის ბრძოლას დემოკრატიისათვის. დემოკრატია კი მოითხოვდა განათლების სისტემის ტრანსფორმაციას. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინტელიგენციამ, რომელიც ახალ კონტინენტზე დაიბადა.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩაბმულმა ამერიკელმა ქალებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, ერთს ყურადღება მიმართეს ისეთ შემთხვევებზე, რომლებშიც ქალების როლი შეზღუდული იყო. ამერიკელთა სასწავლო-დაწესებულებებში მამაკაცი კოლეგების მიერ უგულვებელყოფილი იყო ქალების როლი სასწავლო გეგმის შედგენაში.

ფემინისტთა მოძრაობამ გააკრიტიკა მამაკაცების მიერ დამკვიდრებული კანონები და გამოკვეთა არა მარტო ქალავტორთა იგნორირების საკითხი, არამედ გამოააშკარავა არსებითად მამაკაცური მიდგომა მეთოდოლოგიისა და შემოთავაზებულ საგანთა არჩევითობის საკითხებში.

იმ ქალთა კოლეჯებში, რომლებსაც სათავეში მამაკაცი რექტორები და საბჭოს წევრები ედგნენ, მათემატიკა და ზუსტი მეცნიერება არ ისწავლებოდა.

ასე, რომ ქალები განწირულნი იყვნენ არასრულფასოვანი განათლების მიღებისათვის. ასეთი განათლება კი არ აძლევდა ქალებს ხელს, რომ გამხდარიყვნენ ამერიკული საზოგა-დოების სრულფასოვანი წევრები. ამასთან, ქალთა სამსახური უკეთ განათლებული მამაკაცების ქვეშევრ-დომობით იზღუდებოდა.

სულ მოკლე ხანში, აკადემიებში კვლევითი მუშაობის, პროფესიული ორგანიზაციებისა და ქსელების დაარსება-გაფართოება დაიწყო. ამით ქალებს მოქმედების არეალის გაფართოებისა და ვითარების შეცვლის საშუალება მიეცათ.

ფემინიზმის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო უფლებათა მოთხოვნილების ზეწოლით, შეერთებული შტატების კონგრესმა 1972 წელს მიიღო კანონი „საგანმანათლებლო სისტემაში შესწორებათა შეტანის აქტის“ IX მუხლი, რომელიც ფედერალურ საგანმანათლებლო პროგრამებში კრძალავდა სქესზე დამყარებულ დისკრიმინაციას. ეს კი ამერიკელ ქალებს განათლების მიღების თანაბარ გარანტიებს აძლევდა. 1990-იანი წლების ბოლოს შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-9-ე მუხლი არა მარტო თანაბარი განათლების მიღების გარანტიას აძლევს ქალებს, არამედ იგი უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანაბარ შესაძლებლობებს.

2000 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი – „აშშ-ს საერთაშორისო განათლების შესახებ“. კანონის ძირითადი მიზანია: გაზარდოს მეტი უცხოენებისა და სხვადასხვა ქვეყნების კულტურების მცოდნე მომავალი თაობა. ეს კი ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას განათლება უცხოეთში მიიღონ.

განათლება დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს ამერიკულ ყოფაზე. ყველა დემოკრატიული ფასეულობა და მათ შორის ლოზუნგი საყოველთაო უფლებების შესახებ განათლებაზე, დღეს, შეერთებულ შტატებში პრაქტიკულად განხორციელებულია.

მეორე ტალღის ფემინისტები

ფემინისტთა პირველ ტალღას, რომელიც XX საუკუნის ოციან წლებში დასრულდა, მოჰყვა მეორე, რომლის დასაწყისად ზოგიერთი მკვლევარი 1949 წელს მიიჩნევს, ანუ წელს როდესაც ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნე ქალმა სიმონ დე'ბოვუარმა გამოაქვეყნა თავისი წიგნი „მეორე სქესი“. მკვლევართა სხვა ნაწილი არ ეთანხმება ამ თარიღს იმ მოსაზრებით, რომ თავად სიმონ დე ბოვუარი არ მიიჩნევდა თავის ნაშრომს ფემინისტთა მეორე ტალღის აგორების სათავედ და ამ არგუმენტს ამყარებს იმით, რომ მეორე ტალღის ფემინისტთა აქტივობა სამოციან წლების დასაწყისიდან გახდა თვალსაჩინო. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა წიგნის დაწერიდან 27 წლის შემდეგ სიმონ დე ბოვუარის უურნალისტ ჯონ გერასისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელიც 1976 წელს უურნალ „სოსიათის“ (Societu) იანვართებერვლის ნომერში დაიბეჭდა.

„გერასი: უკვე თითქმის ოცდახუთი წელი გავიდა „მეორე სქესის“ გამოქვეყნების შემდეგ. ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით ამერიკაში, მიიჩნევს ამ წიგნს თანამედროვე ქალთა მოძრაობის დასაბამად. თქვენ...

ბოვუარი: მე ასე არ ვფიქრობ. თანამედროვე ფემინისტურ მოძრაობისათვის (70-იანი წლები), რომლებიც მძლავრად სულ რაღაც ხუთი ექვსი წლის წინ დაიწყო, თავდაპირველად ნაკლებად ცნობილი იყო ეს წიგნი. უკვე შემდეგ, მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, მოძრაობის ზოგიერთმა ლიდერმა გამოიყენა წიგნი თავიანთი თეორიების საფუძვლად. „მეორე სქესს“, არავითარ შემთხვევაში მიუცია ბიძგი და ქალთა მოძრაობის საწყისი არ ყოფილა. ამჟამად, ქალთა მოძრაობაში ჩართული ქალების უმეტესობა 1949-50 წლებში ანუ, როცა წიგნი გამოვიდა ახალგაზრდები იყვნენ, ასე რომ იგი მათზე გავლენას ვერ იქონიებდა. მე მსიამოვნებს ის, რომ მათ იგი მოგვიანებით აღმოაჩინეს. რა თქმა უნდა, ზოგიერთ უფროს

ქალს _მაგალითად ბეტი ფრიდანს, რომელმაც თავისი წიგნი „ქალურობის მისტიკა“ (The feminine Mistique) მე მომიძღვნა წაკითხული ჰქონდა წიგნი და მან შესაძლოა გარკვეული გავლენაც კი იქონია მის შემოქმედებაზე, მაგრამ სხვებზე ამას ვერ ვიტყვით. მაგალითად, ქეით მიღერი ერთხელაც არ ახდენს ჩემს ციტირებას თავის წიგნში. ეს ქალები შესაძლოა გახდნენ ფემინისტები იმ მიზნების გამო, რომლებსაც მე აღვწერ ჩემს „მეორე სქესში“, მაგრამ მათ ეს მიზეზები საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაში აღმოაჩინეს და არა ჩემს წიგნში“.

ფემინისტთა მეორე ტალღა, განსაკუთრებით სამოცდაათიან წლებში გამოირჩეოდა რადიკალიზმით. ფემინისტები ცდილობდნენ რევოლუციური იდეების აგიტაციითა და ზოგადად რევოლუციის გზით დაემხოთ პატრიარქალური საზოგადეობა, რომელიც მათი აზრით, მხოლოდ მამაკაცებს აძლევდა ხელს და ქალებს იმონებდა. ქალთა დისკრიმინაცია უნივერსალურია, _ამბობდნენ მეორე ტალღის დასაწყისში ფემინისტები.

მეორე ტალღის ფემინიზმი არ უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი უნიფიცირებული მოძრაობა, რომელიც სხვადასხვა დროსა და სივრცეში ერთგვარად მიმდინარეობდა. პირიქით, მეორე ტალღისათვის დამახასიათებელია აზრთა რადიკალური სხვაობა თვითონ ფემინისტებს შორის, განსაკუთრებით ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში. მოსაზრებანი განსხვავდებოდა ასევე დასავლურ და აღმოსავლურ, ჩრდილოურ და სამხრეთელ ქალთა ჯგუფებს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფემინისტები ერთიანდებიან ქალთა უფლებების და ზოგადად საზოგადოებაში მათი მდგომარეობის გაანალიზებისა და გაუმჯობესების ირგვლივ. თუმცა, მეორე ტალღის პოსტმოდერნისტმა ფემინისტებმა წარმოქმნეს ქალებისა და ქალთა პრობლემების უნიფიცირების, გაერთიანების პრობლემების საკითხი. ვინაიდან ქალები როგორც ინტერსთა ჯგუფი დიფერენ-

ცირებულია ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი. ე.ი სოციალურ-კულტურული მახასიათებლის მიხედვით. ამ-გვარად, მნიშვნელოვანია ქალთა შორის განსხვავებების დანახვა და ასე ბრძოლა ფემინიზმის პოლიტიკური მიზ-ნების მისაღწევად.

1950-1960-იანი წლების მანძილზე გათხოვილ მომუშავე ქალთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ 1963 წელს მომუშავე ქალების ანაზღაურება საშუალოდ მამაკაცთა ანაზღაურების მხოლოდ 63 პროცენტს შეადგენდა, ამ წელს ზეტი ფრიდანის მიერ გამოქვეყნებულმა წიგნმა, „ქალთა მისტიკურობა“, სადაც მძლავრად იყო გავრცელებული საშუალო ფენებში გამეფებული ცხოვრების სტილი, მილიონობით ქალს მისცა სტიმული გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება. ავტორის მტკიცებით ხშირად ქალებს არ გააჩნდათ საკუთარი თავის გამოხატვის სხვა საშუალება, გარდა „ქმრების პოვნის და ბავშვების გაჩენისა“. ფრიდანი მოუწოდებდა მკითხველს ახალი როლისა და პასუხისმგებლობისაკენ, საკუთარი პიროვნული და პროფესიული ინდივიდუალობის მოპოვებისაკენ, რომელიც გაბატონებული მამაკაცთა საზოგადოების მიერ შემოთავაზებულისაგან განსხვავებული იქნებოდა.

1960-იანი 1970 წლების ქალთა მოძრაობის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის. მისი წევრები ძირითადად საშუალო ფენებიდან იყვნენ გამოსულები და ამდენად, გამოირჩეოდნენ მეამბოხე სულიკვეთებით, რომელიც დამახასიათებელი იყო 1960-იანი წლების საშუალო ფენების ახალგაზრდობისათვის. მოძრაობის აღმოჩენების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1960 წლებში სექსუალური რევოლუცია, რომელიც, თავის მხრივ, დაიწყო ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოგონების და ფართოდ გაყიდვის შედეგად.

ცვლილებები გამოიწვია აგრეთვე კანონმდებლობის რეფორმამ. 1964 წელს სამოქალაქო უფლებების ბილის გამო გამართულ დებატებზე კონსერვატორები ცდილობდნენ არ დაეშვათ მისი მიღება იმ შესწორების შემოთავაზების წყა-

ლობით, რომლითაც დისკრიმინაცია სქესობრივ ნიადაგზე, როგორც რასობრივზე, კანონგარეშედ ცხადდებოდა. ჯერ შესწორების, მხოლოდ შემდეგ თვით ბილის მიღებამ მისცა ქალებს კანონიერი იარაღი თავიანთი უფლებების დასაცავად.

ქალებმა თვითონ მიიღეს ზომები თავის ხვედრის გასაუმჯობესებლად. 1966 წელს 28 პროფესიონალმა ქალმა (მათ შორის ბეტი ფრიდანმაც) შექმნა „ქალთა ეროვნული ორგანიზაცია“, რომლის „სამოქმედო მიზანს შეადგენდა ამერიკელი ქალების ჩაბმა ამერიკის საზოგადოების ცხოვრებაში“.

მომავალი წლისათვის 1000 ქალი შეუერთდა მოძრაობას. 4 წლის შემდეგ ორგანიზაციის წევრების რიცხვმა მიაღწია 15000 და სხვა მსგავსი ორგანიზაციები ეხმარებოდნენ ქალებს თავიანთი დაჩაგრული როლის გაცნობიერებაში და მათი გადაწყვეტილების განმტკიცებაში გაეუმჯობესებინათ საკუთარი მდგომარეობა.

60-70 წლებში ფემინისტური ჯგუფების პოზიციების წინააღმდეგ იბრძოდნენ ლიბერალები _ფილის სკლაფლის „არწივების ფორუმი“. ისინი დიდხანს და თავგამოდებით იბრძოდნენ „თანასწორი უფლებების“ შესწორებისა და სხვა ფემინისტური ჯგუფების პოზიციების წინააღმდეგ.

თანასწორი უფლებებისათვის ქალთა მოძრაობამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, როცა 1963 წელს კონგრესმა მიიღო „თანასწორი ანაზღაურების აქტი“. ეს აქტი მოითხოვდა, რომ ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას ანაზღაურება თანასწორი ყოფილიყო, როგორც კაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. თუმცა, შტატების პროტექციონისტული კანონები ჯერ კიდევ ზღუდავდნენ ქალებს იმ სამუშაოთი, რომელზედაც მამაკაცები, ჩვეულებრივ, არ თანხმდებოდნენ. იქ, სადაც სამუშაო დანაწილებული იყო სქესის მიხედვით, თანასწორი ანაზღაურება ლიტონ დაპირებად რჩებოდა. იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყვნენ პროტექციონისტული შეზღუდვებისაგან, ქალები სამუშაოზე აყვანის

ერთნაირ შესაძლებლობებს საჭიროებდნენ. ეს შესაძლებლობა მათ მიიღეს 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქციითა“ და მომდევნო კანონმდებლობით. სპეციალური კომისია, რომელიც ამ კანონის შედეგად შეიქმნა, უფლებამოსილია იმოქმედოს სქესზე დამყარებული დისკრიმინაციის გამო (ანუ სექსიზმი) დაზარალებულთა სახელით.

პრეზიდენტის მომდევნო ბრძანებები და კანონმდებლობა „ქალთა უფლებების შესახებ“ მოტივირებული იყო სამოქალაქო უფლებათა მოთხოვნების ზეწოლით, ისევე როგორც ქალთა მოძრაობის აღორძინებით, რომელიც ჩაცხრა XIX შესწორების მიღების შემდეგ. ერთ-ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კანონი იყო 1972 წლის „საგანმანათლებლო სისტემაში შესწორებათა შეტანის აქტის“ IX მუხლი, რომელიც ფედერალურ საგანმანათლებლო პროგრამებში კრძალავდა სქესზე დამყარებულ დისკრიმინაციას. შემდეგი მხარდაჭერა ქალებისათვის გაჩნდა 1972 წლის „საშემოსავლო აქტის“ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათებს ბავშვების მოვლაზე გაწეული ხარჯების გამო. ამ აქტის საფუძველზე მცირებლოვანი ბავშვების მშობლებს ეძლეოდათ დახმარება ისე, რომ ქალებს ჰქონოდათ, შესაძლებლობა დარჩენილიყვნენ მომუშავეთა შტატში.

„პროტექციონიზმის“ თითქმის საუკუნოვანი ხელშეწყობის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო სქესზე დამყარებულ განსხვავებებს. 1971 წელს მან გააუქმა ერთი შტატის კანონი, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა მამაკაცებს ქალებთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ კი პიროვნება ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოახერხა მემკვიდრის დასახელება, მისი ქონება გადაეცემოდა ოჯახის წევრ მამაკაცს. ორი წლის შემდეგ მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ წარსული ეპოქის პატრიარქი მუშაობდა „ქალების არა კვარცხლბერკზე ასაყვანად, არამედ მათ გალიაში ჩასასმელად“ (Frontiero,

1970). ისინი კიდევ უფრო წინ წავიდნენ ზოგიერთი იმ კანონის გაუქმების საქმეში, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქალებს მათი სქესისათვის დამახასიათებელი „ტრადიციული როლის შეცვლაში“. 1976 წელს უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ გამოუშვა ასეთი კანონების გადახედვის სამუშაო პრინციპი: სქესზე დამყარებული განსხვავებები გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ისინი ემსახურებიან რაიმე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მიზანს (Grand, 1976).

ქალები ვერ სარგებლობდნენ იგივე უფლებებით, რითაც კაცები. სქესზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც „პროტექციონიზმის“ პოზიციიდან იცავს ქალებს, ჩაწნულია ამერიკის ცხოვრების საკანონმდებლო ქსოვილში. ასეთმა „პროტე-ქციონიზმმა“ შეზღუდა ქალთა საშუალება გაეწიათ სოციალური და ეკონომიკური კონკურენცია კაცებისათვის თანასწორ საწყისებზე. უზენაესი სასამართლო ყოყმანობდა, გაევრცელებინა თუ არა XIV შესწორების პრინციპები რასობრივი სფეროს მიღმა. თუკი კონსტიტუციის ინტერ-პრეტაცია ასეთ შეზღუდვას გულისმობს, მაშინ ის შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ კონსტიტუციური შესწორებით.

შესწორება „თანასწორი უფლებების შესახებ“ (Equal Rights Amendment - ERA) პირველად 1923 წ. წამოაყენა ქალთა ეროვნულმა პარტიამ, ქალთა ერთ-ერთმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც არ დაიშალა XIX შესწორების მიღების შემდეგაც. ERA აცხადებდა, რომ „ამ კანონით არ შეიძ-ლება უარყოფილ ან შეკვეცილ იქნას თანასწორუფლებიანობა, სქესობრივი განსხვავებიდან გამომდინარე“. ქალთა უფლებების მხარდაჭერთა ეროვნულმა კოალიციამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა კონგრესში შესწორების გასაყვანად 1972 წელს. შესწორების რატიფიკაციისათვის მათი მომხრეების განკარგულებაში შვიდი წელი იყო. საჭირო იყო სულ ცოტა 38 შტატის კანონმდებელთა თანხმობა. 1977 წლისათვის სულ სამი შტატის რატიფიკაცია იყო საჭირო, რომ შესწორება დამტკიცებულიყო. ამ დროს კი სამმა შტატმა

გააუქმა რატიფიკაცია უპრეცენდენტო გადაწყვეტილებით. კონგრესმა გააგრძელა რატიფიკაციის ვადა. ამან საქმეს ვერ უშველა. შესწორება თანასწორი უფლებების შესახებ არ იქნა მიღებული. 1982 წლის 1 ივლისისათვის ის მხოლოდ 35 შტატში დაამტკიცეს.

რატომ ჩავარდა შესწორება? ამან სწრაფად დარაზმა ოპონენტები იმ ქალთა ჩათვლით, რომლებიც ადრე მხარს უჭერდნენ ქალთა უფლებების გაფართოების კანონებს. ოპოზიციის გამლიერების კვალობაზე, განსაკუთრებით კი იმ ქალების მხრიდან, რომელთაც სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ტრადიციული როლი, შტატების კანონმდებლებმა ჩათვალეს, რომ შესწორება გარკვეულ რისკს შეიცავდა.

კონსტიტუციის შესწორების რატიფიკაცია განსაკუთრებულ უმრავლესობას მოითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მხოლოდ კარგად გაერთიანებული უმცირესობა, რათა არ ასრულდეს უმრავლესობის ნება.

მარცხის მიუხედავად, მოძრაობამ შესწორების რატიფიკაციისათვის სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. მან აამაღლა ქალთა ცნობიერება მათი სოციალური მდგომარეობის შესახებ, ბიძგი მისცა „ქალთა უფლებების ეროვნული ორგანიზაციის“ და სხვა დიდი ორგანიზაციების შექმნას, ხელი შეუწყო ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში და გავლენა იქონია ძირითად კანონებზე, რომლებიც ქალებს შეეხებათ (Mansbridge, 1986).

სხვა კანონებს, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას შეეხება, უსწრაფესად ღებულობდნენ, რაც შესწორების რატიფიკაციის მარცხის სრულიად კონტრასტულ სურათს წარმოადგენს: ქალთა უფლებების დამცველ კანონმდებლობას, ფაქტობრივად, არ გააჩნდა გამოკვეთილი ოპოზიცია. მაგრამ, თუკი რასობრივი დისკრიმინაციის მოშლას წლები დასჭირდა, ასევე მოითხოვდა დროს სქესზე დამყარებული დისკრიმინაციის მოშლაც.

ფემინიზმა, ანუ ქალების უფლებების და ინტერესების დასაცავად წარმართულმა მუშაობამ, თავის მწვერვალს მიაღ-

წია 1970-იან წლებში. უურნალისტმა გლორია სტეინემ და რამდენიმე სხვა ქალმა დაარსეს ახალი „უურნალი Mis“, რომლის გამოსვლა დაიწყო 1972 წელს და 1976 წლებში გაიყიდა 850 000 ცალი. ცნობარი „ჩვენი სხეული, ჩვენ“, რომელიც ეხებოდა ქალთა ჯანმრთელობის საკითხებს.

უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია აშშ-მ ქალთა უფლებების, რეპროდუქტიული დაცვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საქმეში, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში არალეგარულად იყო. აშშ-ის ყველა შტატში ქალებს არ ჰქონდათ საიმედო, სათანადო და მყარი გარანტიები, რათა ეწარმოებინათ შობადობის კონტროლი. სურათი შეიცვალა XX საუკუნის შუა წლებში, როდესაც 1960 წელს კვების მომარაგების და მედიკამენტების სამმართველომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბები მოიწონა და აქედან მოყოლებული ქალებს მიეცათ საშუალება ეფექტური საშუალებებით ეწარმოებინათ შობადობის კონტროლი. 1973 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ქალებს ეძლეოდათ არჩევის უფლება. აქედან გამომდინარე 1973-1990 წლებში სიკვდილიანობა აბორტებისაგან 10-ჯერ შემცირდა.

70-იანი წლების ფემინისტთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ, მათ საზოგადოებას აუხილეს თვალი ისეთ საშინელ მოვლენაზე, როგორიცაა გაუპატიურება. 1975 წელს გამოვიდა სიუზან ბრაუნმილერის წიგნი „ჩვენი ნების წინააღმდეგ: ქალები და გაუპატიურება“, რომელიც აღიარებულია გაუპატიურების ყველაზე ღრმა და ფართო კვლევად. ეს წიგნი არის პოლიტიკის ისტორიის, გაუპატიურების სოციოლოგიისა და კანონში ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის უნიკალური დოკუმენტი. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვეთა აზროვნებაზე და სერიოზულად დააფიქრა კანონმდებლები. გაუპატიურების ახლებურმა გაგებამ საბოლოო ჯამში შეცვალა ამერიკული კანონმდებლობა და არასწორი აქცენტები საზოგადოების

სტერეოტიპებზე, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო ამ საზარელი დანაშაულის გამართლება, მიზეზებისა და დანაშაულის მოძალადიდან მსხვერპლზე გადატანა.

ამ წიგნის გამოსვლამდე და იმ ცვლილებებამდე, რომლებიც ფემინისტთა დისკუსიის შემოტანას მოჰყვა, ამერიკაში მოქმედ კანონმდებლობაში გაუპატიურება განმარტებული იყო, როგორც დანაშაულებრივი და ძალადობრივი სექსუალური კავშირი იმ ქალებთან, რომელიც არ არის მოძალადის ცოლი. გაუპატიურების გამო, ქმარს, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ყაიძულებდა ცოლს სექსუალური კავშირის დამყარებაზე, არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. ასეთი მიდგომა ისევე ძველია, აღნიშნავს ავტორი, როგორც კრიმინალური გაუპატიურების თავდაპირველი განმარტება. იგი ბიბლიური წარმოშობის უჩვეულო ფრაზის „უკანონ სქესობრივი კავშირისა“ _სინონიმი იყო. ჩვენს ბიბლიურ წინაპრებს, გვიყვება ბრაუნმილერი, ქორწინების გარეშე ყოველი სქესობრივი კავშირი „უკანონდ“ მიაჩნდათ, ქორწინებაში კი – „კანონიერად“. ამგვარად, კანონის განვითარებასთან ერთად აზრი იმის შესახებ, რომ ცოლის გაუპატიურების გამო შესაძლებელია ქმრის დასჯა, წარმოუდგენელი იყო, რადგან თვლიდნენ, რომ კანონი იცავს ქმრის და არა ცოლის ინტერესებს. მე-17 საუკუნის კანონის დამცველები განუმარტავდნენ თავიანთ თანამედროვეებს, რომ „ქმარი არ შეიძლება დამნაშევე იყოს ცოლის გაუპატიურების გამო, რადგან ცოლ-ქმრულ ურთიერთშეთანხმების და კონტრაქტის მიხედვით ცოლმა ჩააბარა თავისი თავი ქმარს და იგი უკვე ამაზე უარს ვეღარ იტყვის. სხვა სიტყვებით საქორწინო კონტრაქტის მიხედვით ქმარს ჰქონდა კანონიერი უფლება დაემყარებინა ცოლთან სექსუალური კავშირი, ძალის გამოყენებითაც კი, ყოველთვის, ცოლის სურვილის წინააღმდეგაც“.

ამგვარი აზროვნების მემკვიდრენი ვართ, ჩვენ, თანამედროვე ადამიანები და რაოდენ ძნელია ამ აზროვნების წესის

და პრაქტიკის აღმოფხვრა, როდესაც მას, ფაქტიურად, კანონიც და ტრადიციაც უმაგრებს მხარს.

ავტორი ამგვარ აზროვნებას უპირისპირებს სწორედ მოაზროვნე ქალის საღ აზრს, რომლის თანახმად, იძულებითი სექსუალური კავშირი არ წარმოადგენს ცოლ-ქმრობაში ქმრის უფლებას, რადგან ეს „უფლება“ თანასწორობასა და ადამიანურ ღირსებას უარყოფს. ქმარსა და ცოლს შორის თანხმობა ყოველთვის თავიდან უნდა იქნეს მიღწეული, რადგან, ჩვენი აზრით, თუ კი ქალი არის ის, რადაც ჩვენი თავი მიგვაჩნია ანუ თანასწორი პარტნიორი, მაშინ კავშირი უნდა განხორციელდეს ურთიერთთანხმობის საფუძველზე და არა როგორც „მოვალეობა“, რომელიც დასაშვებია სხულის დაზიანების მუქარითა და ეკონომიური სანქციებით.

ისტორიული პერიოდის დასაწყისიდან კრიმინალური გაუპატიურება დაკავშირებული იყო ქორწინებაზე თანხმობის დაუწერელ კანონებთან და ახლა დადგა დრო, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამიჯვნა. ამიტომ ბრაუნმილერი გვთავაზობს ასეთ განმარტებას: – „სექსუალური თავდასხმა არის ჩვეულებრივი ხელშეკრულების ხელყოფა, თავისუფლებისა და საკუთარი ნების გამოხატვის უფლების შელახვა, სადაც უნდა ხდებოდეს იგი, ქორწინებასა თუ მის გარეთ“.

სქესთა როლების იდეოლოგია და ამ როლებთან დაკავშირებული სოციალიზაცია ადასტურებს, რომ ვერც ბიჭები და ვერც გოგონები ვერ ახერხებენ სტაბილური იდენტურობის შემუშავებას და შესატყვისი შინაარსის მქონე როლებში ჩართვას. ქალის სოციალიზაციის ტრაგედია არ გამომდინარეობს მისი დაურწმუნებლობიდან მირეულ სქესობრივ იდენტურობაში, რასაც ადგილი აქვს მამაკაცებთან. ფემინური იდენტურობა მას იმთავითვე მიეწერება და აღარ სჭირდება დაუმტკიცოს საკუთარ თავს ან საზოგადოებას, რომ მყარად შეიმუშაოს იგი. ქალის პრობლემა

იმაშია, რომ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრება უხდება, მისი იდენტურობა გაუფასურებულია.

„მანამ ვიდრე არ დადგება დრო, როცა მასკულინური იდენტურობა დამოკიდებული აღარ იქნება მამაკაცების თვითდამკვიდრებაზე, მათი მოქმედება უფრო საფრთხეზე რეაგირება იქნება, ვიდრე ადამიანების შემოქმედების გამოვლინება. რაც შეეხება ქალის არსებობა-ყოფნას, რომელიც საკმაოდ შორს დგას საკუთარი თავის იოლი და პოზიტიური მიღებისაგან, იგი ჯერ-ჯერობით, – წერს ჩოდოროუ, – მხოლოდ არასრულფასოვნებისადმი შეგუებით იქნება განსაზღვრული. სანამ ქალები შვილებით ცხოვრებას განაგრძნობენ, ხოლო მამაკაცები, სოციალიზაციის პროცესში რეალური წვლილის შეტანის მაგიერ, დაკავებულნი იქნებიან იოლად მისაწვდომი რეალური მოდელების დამკვიდრებაზე, ქალები კვლავ და კვლავ აღზრდიან ვაჟებს, რომელთაც სქესობრივი იდენტურობა დამოკიდებული იქნება ფემინურობის ჩახშობაზე, როგორც საკუთარ თავში, ისევე მის გარეთ; ასევე აღზრდიან ქალიშვილებს, რომლებიც იძულებულნი იქნებიან შეეგუონ გაუფასურებულ მდგომარეობას და შვან კიდევ უფრო მეტი მამაკაცები, რომლებიც სამუდამოდ დაამკვიდრებენ მათ დამაკნინებელ სისტემას“.

ამრიგად, მეორე ტალღის ფემინისტების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებისა და კაცების რეალური თანასწორობის სფეროში.

მაინც რა ფაქტორმა განაპირობა ქალთა საკითხებში პოზიციური ცვლილებები? ამ კითხვაზე პასუხის ძირითადი ასპექტია:

- ქალების მასობრივი ჩართვა საზოგადოებრივი წარმოების პროცესებში.
- ქალთა ძლიერი მოძრაობა „ქვემოდან“, რამაც უნდა იმოქმედოს პატრიარქალური სტერეოტიპების შეცვლაზე ქალის ადგილსა და როლზე საზოგადოებაში.

- დემოკრატიული ტრადიცია, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს საარჩევნო პროცესის გზით დაიკავონ ის მაღალი თანამდებობები, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.
- ქალთა საერთაშორისო მოძრაობის განვითარება, რომელიც ბიძგს აძლევს და მხარს უჭერს ქალთა ეროვნულ მოძრაობას.

ქალთა სწავლების პროგრამები შეერთებულ შტატებში

სწავლების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი სფერო შეერთებულ შტატებში არის ქალთა საკითხები. თუკი 30 წლის წინ მეცნიერების ამ სფეროთი დაინტერესებული იყო მხოლოდ ენთუზიასტებით დაკომპლექტებული სპეციალური კომიტეტი, რომელიც სახელმწიფო კოლეჯში ფუნქციონირებდა, დღეისათვის ის იქცა სწავლების ძირითად პროგრამად ასამდე სასწავლო დაწესებულებაში.

230 წლოვანი ისტორიის მანძილზე ამერიკელი ხალხი მუდმივად ცდილობდა გადაესინჯა და გადაეხალისებინა ეროვნული გამოცდილება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში.

მაშინ, როცა რეფორმატორები ცდილობდნენ მონობის გაუქმებას, ერთი ადამიანი „ერთი ხმა“ პრინციპისათვის ლეგალური საფუძვლის, სამოქალაქო უფლებების გარანტიების მოპოვებას, პროფესიონალური დაარსებას ყველა მოქალაქისათვის, საბაზრო და სამრეწველო საქმიანობის რეგულირებას ან თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების გარანტირებას _შეერთებული შტატების მოქალაქეები იღწვოდნენ ამერიკული გამოცდილების არსის გააზრებისათვის.

რეფორმატორული მოძრაობის შედეგებმა განაპირობა კონსტიტუციური გარანტიების (მაგ. კონსტიტუციის მე-13, 14 შესწორებები) ისეთი მნიშვნელოვანი შემდგომი დახვეწა, როგორიცაა: „ბავშვთა ლეგალური შრომის აკრძალვა“, „სამხრეთ შტატების ინდუსტრიალიზაცია“, „განათლებასა და დასაქმებაში რასობრივი, ასაკობრივი და სქესობრივი მოსპობა“.

ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა ეხება რეფორმებისათვის ქალთა მოძრაობას, რომელმაც დღესაც ჯერ ვერ მიაღწია სრულ გამარჯვებას.

ეს მოძრაობა მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს. ის ცდილობს გარდაქმნას შეერთებული შტატების საზოგადოება ისე, რომ ყველა მოქალაქე ითვლებოდეს სრულყოფილ და ორსეულ წევრად, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების წესი ანუ, დაოჯახდეს თუ არა, იყოლიოს შვილი სრულყოფილ ოჯახში ან იყოს მარტოხელა მშობელი და ა.შ.

სოციალური რეფორმის გარდა ქალთა მოძრაობა ცდილობს უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ ყველა ქალმა შესძლოს არჩეული ნებისმიერი კარიერის გაკეთება, შესაბამისი ეკონომიკური სტატუსის მოპოვება.

ამ მოძრაობის მიზანია ქალთა ჩაბმა განათლების სფეროში, ისევე, როგორც მამაკაცის საქმიანობის სფეროში – სამეცნიერო მოღვაწეობა, საინჟინრო, სამხედრო საქმიანობა, ვაჭრობა, მათემატიკა.

მოძრაობის პოლიტიკურ მიზნებში შედის ხმის მიცემის, პოლიტიკური თანამდებობების დაკავებისა და კანონმდებლობის უფლება.

ქალთა თანაბარი სტატუსის დამკვიდრება არ არის ახალი ცნება ამერიკულ კულტურაში. XIX ს-ის განმავლობაში ისეთი რეფორმატორები როგორებიც იყვნენ: ელიზაბეტ კეიდი სტენტონი და სიუზან ბ. ენტონი (მხოლოდ ამ ორი პიროვნების დასახელებაც კმარა) მოითხოვდნენ და პროპაგანდას უწევდნენ ქალთა თავისუფლების იდეას.

1963 წელს ბეტი ფრიდანის მიერ გამოქვეყნებულმა წიგნმა „ქალის საიდუმლო“ გამოაფხიზლა ერი. ფრიდანმა ქალებისათვის ნათელი გახადა ამ მოძრაობის პრინციპები.

მიუხედავად წიგნის სენსაციურობისა, მას რეალური შედეგი მაშინვე არ გამოუღია. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ქალებმა ჩამოაყალიბეს ისეთი ჯგუფები, როგორებიცაა: „ქალთა მოქმედების ჯგუფი“ და „ქალთა ეროვნული ორგანიზაცია“. ამდენად, მოძრაობის წევრებმა დაიწყეს სამოქმედო ნებასა და ერთიანობაზე ზრუნვა. ჩამოყალიბების პირველივე დღიდან ქალთა თავისუფლებისათვის ბრძოლამ

დღის წესრიგში დააყენა სექსიზმის (სქესობრივი დისკრიმინაციის) აღმოფხვრის საკითხი ოჯახში, სამუშაო ადგილას და ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩაბმული ამერიკელი ქალები, როგორც პროფესორ_მასწავლებლები, ისე სტუდენტები კარგად ხედავდნენ ფემინისტთა დიდ როლსა და მნიშვნელობას სამოქალაქო უფლებების გაზრდის საქმეში.

ამერიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიარებდნენ რა არგუმენტის არსებით ჭეშმარიტებას, ისევე როგორც ქალთა მოძრაობის ძალას, ამიტომ ისინი საპასუხოდ კანონიერ საფუძველზე ქმნიდნენ ქალთა საკითხების სწავლების პროგრამებს. ასეთი დისციპლინათაშორისი პროგრამები მიზნად ისახავდა ფემინისტური ხედვის დამკვიდრებას, საგანმანათლებლო სფეროში ფემინისტური გამოცდილების გამოყენების, კაცობრიობის ცოდნის გაფართოებას ქალთა ცხოვრების, მიღწევების, ცნობიერების კვლევის საშუალებით.

ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები შექმნისთანავე სწრაფად ვითარდებოდა. 1969 წელს სანდიეგოს შტატის კოლეჯის (ამჟამად სან-დიეგოს შტატის უნივერსიტეტის) სტუდენტებმა შექმნეს 'Ad Hoc Committee for womens studies". 600-ზე მეტმა სტუდენტმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომლითაც მოითხოვა სან-დიეგოს შტატის კოლეჯში ქალთა საკითხების სწავლების პროგრამის შემოტანა.

ამდენად, 1970 წელს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოიწონა ქალთა საკითხების სწავლების პროგრამების შექმნის იდეა და სან-დიეგოს შტატის კოლეჯი გახდა აშშ-ში პირველი უმაღლესი განათლების დაწესებულება, რომელშიც ეს დისციპლინა ისწავლებოდა. კორნელის უნივერსიტეტმა დანერგა მეორე პროგრამა 1972 წელს.

2000 წლისათვის აშშ-ის კემპუსებში დაარსდა 100-ზე მეტი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაკავებული იყო ქალთა საკითხების სწავლებითა და კვლევით. დღესდღეობით

შეერთებულ შტატებში არსებობს 700-ზე მეტი ქალთა საკი-
თხების სწავლების პროგრამა და 20-ზე მეტი პროგრამა,
რომელსაც სამეცნიერო წოდებების მინიჭების უფლება აქვს
(იგულისხმება M.A. და Ph.D).

ეს საგანმანათლებლო უპირატესობა დამაკმაყოფილე-
ბელი იყო, მაგრამ ქალთა საკითხების სწავლების მოძრაობას,
როგორც თვით ქალთა მოძრაობას, სჭირდებოდა პოლი-
ტიკური გამარჯვება ამ ახალი დისციპლინის მუდმივობის
გარანტიად და თავისუფლებისათვის მოძრაობის მიერ მოპო-
ვებული ძალის შესანარჩუნებლად.

ეს გამარჯვებაც შორს არ იყო, რადგან ჯერ კიდევ 1974
წელს, შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი
„ქალთა განათლების თანასწორობის აქტი“ (IX მუხლის
ნაწილი), რომელიც ამერიკელ ქალებს აძლევდა განათლების
მიღების თანაბარ გარანტიებს.

1990-იანი წლების ბოლოს შეერთებული შტატების
უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ IX მუხლი არა მხო-
ლოდ თანაბარი განათლების მიღების გარანტიას აძლევდა
ქალებს, არამედ უზრუნველყოფდა თანაბარ შესაძლებ-
ლობებს ქალი და მამაკაცი სპორტსმენისათვის (რაოდენობა
თანაბარი უნდა ყოფილიყო) იმ უმაღლეს სასწავლებლებში,
რომლებიც ღებულობენ ფედერალურ რეფორმებს.

ამ აქტის მიღების შედეგად, მამაკაც სპორტსმენთა
დომინირება საგრძნობლად შეიზღუდა, ქალთა სპორტმა კი
ამ გადაწყვეტილებით დიდად მოიგო. 1970 წელს, როცა
ქალთა საკითხების სწავლების პირველი პროგრამა შეიქმნა,
ქალები კაცებთან შედარებით, ყოველ ერთ დოლარზე
იღებდნენ 41 ცენტით ნაკლებს (59 ცენტს). 12 წლის შემდეგ
შეფარ-დება შეიცვალა და განსხვავება 20 ცენტამდე
შეიცვალა (ქალები იღებდნენ 72 ცენტს).

ლეგალურმა თანასწორობამ განაპირობა შემდგომი წინ-
სვლა: სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურებისაგან
დაცვა (როგორც მეუღლის, ისე უცხო პირის მიერ). განქო-
რწინებისას თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფა (მატე-

რიალური თუ სხვა). ეს არის ის მიღწევა, რომელიც ქალთა უფლებების დაცვის მომხრეებმა მოიპოვეს. ასეთი გამარჯვება ნათლად აჩვენებს ქალთა თავისუფლებისათვის მოძრაობისა და სასწავლო პროგრამების კავშირის შედეგს. პარალელურად ამ მოძრაობის ორი გზა გამოიკვეთა.

ქალთა სწავლების პროგრამების მიზანი იყო, როგორც ქალთა მდგომარეობის უფლებების შედგენა, ასევე პროგრამების შემდგომი შესწავლა და აკადემიურ წრეებში ქალთა საკითხების საფუძვლიანი შესწავლის დამკვიდრება.

დოქტორი ბარი იუტკინსი თავის ნაშრომში „ქალთა სწავლების თეორიები“ იხსენებს, რომ ქალთა სწავლების ადრეული პროგრამების მიზანი შემდეგი იყო: ქალთა ჩაბმა იმ აკადემიურ პროგრამებში, სადაც ისინი იგნორირებულნი იყვნენ. ქალთა მცდარად და მიკერძოებულად წარმოჩინების ალაგმვა. ამჯერად, ამ დისციპლინამ დასახა გარკვეული მიზნები:

1. ქალთა მისწრაფებების, შესაძლებლობების და წვლილის აღიარება საზოგადოების მიერ;
2. იმ სოციალური პროგრამების გაგება, რომლებმაც ხელი შეუწყო ქალთა პიროვნულ რეალიზაციას (ანდა მის შეზღუდვას);
3. სამეცნიერო კვლევების ფართო მასებისათვის გაცნობას, რათა გამოვლინდეს იურიდიული, პროფესიული და ისტორიული საკითხები, რომლებიც თან ახლდა და განაპირობებდა ფემინისტურ გამოცდილებას.
4. საგანმანათლებლო პრაქტიკის კვლევა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია, ქალთა სამართლიანი და მართებული წარმოჩინებისათვის.

ამ პრინციპებმა განაპირობეს შეერთებულ შტატებში ქალთა საკითხების სწავლების პროგრამების განვითარება. დღეს ეს დისციპლინა განივრცო და მოიცავს გენდერულ და ეთნიკურ სწავლებას. მიმდინარე სწავლება ეხება ქალთა საკითხებს და მათთან დაკავშირებულ ყოველ ახლად აღმოჩენილ მოვლენას. თუმცა თავისი არსით ეს

დისციპლინა მრავლისმომცველია. ამგვარად, მეცნიერები ასევე იკვლევენ პომოსექსუალებთან, ბისექსუალებთან და ტრანსექსუალებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ქალთა საკითხების სწავლების ბევრი პროგრამა ყურადღებას უთმობს გლობალურ გენდერულ ცვლილებებს და სექსუალურ სწავლებას ქალთა და უმცირესობათა ჯანმრთელობის საკითხებს. ზოგიერთმა პროგრამამ, როგორიცაა კორნელის უნივერსიტეტის ქალთა საკითხების სწავლების პროგრამა, რომელმაც შეცვალა ფაკულტეტის სახელი, რათა ასახოს ეს ცვლილებები.

„ქალთა საკითხების სწავლების“ პროგრამას ახლა ეწოდება „ფემინისტური გენდერის და სექსუალური სწავლების“ პროგრამა.

კოლეჯის გარდა, ქალთა საკითხების სწავლებას იყენებენ ბავშვთა განვითარებაში. ამ საგნის სწავლებისათვის არსებობს არაერთი სასწავლო გეგმა, კვლევითი პროგრამა და კურიკულუმი დაწყებული საბავშვო ბალით და დამთავრებული მე-11 კლასით.

აღნიშნული საქმიანობის ძირითადი მიზანია ამერიკელ სტუდენტთა (ორივე სქესის) მიერ ადრეული ასაკიდანვე იმის გათავისება, რომ ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებების მოპოვება შეუძლიათ.

ჟილინ აბრამსის აზრით, დისკუსიის შესაძლო თემები მოიცავს სოციალიზაციას და სქესობრივი როლის განსაზღვრას, რომელიც ქალებისათვის არის განსაზღვრული.

სქესობრივი, რასობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი, კლასობრივი, ფიზიკური სტერეოტიპების მსხვრევა ლიტერატურაში, ისტორიასა და კულტურაში ქალთა წვლილის აღირებაა.

XXI საუკუნის დასაწყისში, ქალთა საკითხების სწავლების პროგრამებმა ქვეყნის ფარგლებში განავრცეს ინტერესისა და სწავლების სფეროები. იმავდროულად იღწვიან, რომ ეს დისციპლინა დარჩეს საუნივერსიტეტო და ინტელექტუალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

ქალთა ჯანმრთელობის, გენდერული და ეთნიკური სწავლების, ჰუმანიტარული და სხვა სფეროებში ქალთა როლის განსაზღვრა არის ის საკითხები, რომლებიც მუდმივად ვითარდება და კვლევის საგნად რჩება. ამ დისციპლინების ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ მათ შეუძლიათ შეცვალონ არა მხოლოდ სწავლების ცალკეული სფეროები, არამედ მთლიანად არსებული სისტემაც.

„ქალთა სწავლებას დაეკისრა განსაკუთრებული მისია გარდაქმნას სამყარო“, „ამბობს სუზან ლენსერი, ბრენდის უნივერსიტეტის ქალთა სწავლების პროგრამის ხელმძღვანელი.

„ქალთა სწავლება ფუნქციონირებს, რადგან ის განაპირობებს გარდაქმნებს, არა მხოლოდ ქალთათვის, არამედ მთელი ხალხისათვის. ჩვენ გვჭირდება ახალი თეორიები, ახალი სამოქმედო პროგრამები, რადგან სამყარო იცვლება. ცნობილია, რომ ადვილია მონაპოვარის დაკარგვა“.

„უჩინარი“ ქალები

ფემინისტური ცოდნის მიღებასა და შემდგომ გავრცელებაში მთავარ როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს შეერთებული შტატები. ეს იმას ნიშნავს, რომ უამრავ ამერიკელ ფემინისტ ავტორთა ნაწარმოებებს გავრცელების უდიდესი არეალი გააჩნიათ.

შეიძლება დასახელდეს, თუ რატომ ერგო შეერთებულ შტატებს ასეთი დიდი როლი ქალის კვლევაში. პირველი, იმის გამო, რომ ქალთა კვლევები, როგორც აკადემიური დისციპლინა და აქედან გამომდინარე, აკადემიური გამოცემებიც აშშ-ში გაცილებით ადრე წარმოიშვა და გავრცელდა, ვიდრე გაერთიანებულ სამეფოსა და ევროპულ ქვეყნებში.

შეერთებულ შტატებში ქალთა კვლევის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა „ამოშლის“, „დაკარგული“ კულტურული ფიგურების ცხოვრებისა და ნაშრომების ამოქექვა..

ფემინისტებმა გამოიკვლიეს XVIII საუკუნესა და მის მახლობლობაში ქალების მიერ დაწერილი ასობით – „გაუჩინარებული“ რომანი და პიესა. ასე აღმოაჩინეს ლიტერატურის ისტორიიდან განდევნილი რევოლუციონერი ერის არაერთი ნიჭიერი მწერალი და მათი ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოამზეურეს.

სუზანა როუსონი (1762-1824) ამერიკის ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი რომანისტი იყო. მისი შვიდი რომანიდან ერთი – „შარლოტის ტაძარი“ ნამდვილი ბესტ-სელერი გახდა. როუსონი თავის რომანებში ფემინისტურ და აბოლიციონისტურ თემებს ანვითარებდა. განსაკუთრებით სიმპა-თიით იყო განწყობილი ინდიელების მიმართ.

დიდი ხნით მივიწყებული რომანისტი ქალებიდან ასევე აღსანიშნავია ანა ფოსტერი (1758-1840) და მისი საუკეთესო რომანი „კეკლუცი“, სადაც ავტორი ძალზე გულამაჩუ-ყებლად მოგვითხრობს, თუ როგორ დაღუპა ახალგაზრდა

ქალი უმანკოებასა და ცდუნებას შორის ორთაბრძოლამ. იგი შეაცდინა და შემდეგ ბედის ანაბარა მიატოვა ეკლესიის გულქვა მსახურმა. დაფეხმიმებულს, სასოწარკვეთილსა და ყველასაგან განწირულს მას მარტოობაში ამოხდა სული. ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები შეივსო სხვა შემოქმედებითი ქალების სახელებითაც, ესენია:

ჯუდით სერჯენტ მაერი (1751-1820). ეს ქალბატონი მამაკაცის სახელით და გვარით აქვეყნებდა თავის რომანებს, რათა მკითხველთა და მკვლევართა მეტი ყურადღება მიეპყრო.

მერსი ოტის უორენი (1728-1814) გახლდათ პოეტი, ისტორიკოსი, დრამატურგი, სატირიკოსი და გულანთებული რევოლუციონერი. რევოლუციონერი პატრიოტები ხშირად იკრიბებოდნენ მის სახლში. თავის ბანალურ-სენტიმენტალურ პიესებში მერსი ოტის უორენი ძირითადად ინგლისელთა წინააღმდეგ ილაშქრებდა და ამერიკის რევოლუციის რადიკალურ პროცესებს ასახავდა.

მერსი ოტის უორენისა და აბიგაილ ადამსს შორის მიმოწერა და ეპისტოლური ჟანრის სხვა ნიმუშები ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს წარმოადგენენ. 1776 წელს აბიგაილ ადამსი თავისი მეუღლის ჯონ ადამსისადმი (აშშ მეორე პრეზიდენტი) მიწერილ წერილში მეუღლეს დაბეჯითებით სთხოვს ამერიკის მომავალ კონსტიტუციაში ქალთა დამოუკიდებლობის მუხლის შეტანას.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ამერიკელ ესეისტ ქალზე მარგარეტ ფულერზე (1810-1852). იგი იყო კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ვუნდერკინდი. ფულერი ამავე დროს პირველი ალიარებული ამერიკელი ჟურნალისტი ქალი იყო, რომელიც მეტად მწვავე და ამაღლებულ წერილებს წერდა სოციალურ საკითხებზე, პატიმარი ქალებისადმი და სულით ავადმყოფებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ამ სტატიათაგან რამდენიმე შესულია მის წიგნში „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“ (1846). ერთი წლით ადრე კი მან გამოაქვეყნა

თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ქალი მე-19 საუკუნეში“. ეს პუბლიკაცია პირველად ტრანსცენდეტალისტების უურნალ „დაიალში“ გამოქვეყნდა, რომელსაც თავად რედაქტორობდა 1840-42 წლებში.

ფულერის „ქალი მე-19 საუკუნეში“ გახლავთ ყველაზე ადრეული და ყველაზე ამერიკული განსაზღვრება ქალის როლისა საზოგადოებაში. მარჯვედ გამოიყენა რა დემოვრატიული და ტრანსცენდეტალური პრინციპები, ფულერმა ღრმად გაანალიზა ქალთა დისკრიმინაციის მავნე შედეგები, მისი გამომწვევი მიზეზები და ამ მანვიერების აღმოსაფხვრელი გზები დასახა. მისი მოსაზრებები საერთოდ თანამედროვეა. იგი ამტკიცებს, რომ ქალებს განსაკუთრებით აკლიათ „დამოუკიდებლობა“. რადგან მათ ბავშვობიდანვე უხმოდ მორჩილების გაკვეთილებს უტარებდნენ და არ ახედებენ საკუთარ სულში.

ფულერი არის აქტიური და რეფორმატორი ქალი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საზოგადოდ ადამიანის სულის თავისუფალ შემართებას და ღირსების შეგრძნების იდეას მიუძღვნა.

„ვიყოთ ბრძენნი და ნუ შევიზღუდავთ სულს...

თავისუფლება მივცეთ ჩვენს შემოქმედებით ენერგიას...

დაე, მიიღოს ის ფორმა, რომელსაც თვითონ მოირგებს

და ნუ შევბოჭავთ მას ქალისა და კაცის,

შავისა და თეთრის გამყოფი არტახებით“...

ასევე არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს ემილი დიკინსონის შემოქმედება (1830-1886). იგი გარეგნულად მდორე, მაგ-რამ შინაგანად მეტად მღელვარე და აზრიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. უყვარდა ბუნება, გარე სამყარო, მცენარეები და ცხოველები. ცხოვრების უკანასკნელი წლები განდეგილობაში გაატარა, ვინაიდან ამას მოითხოვდა მისი საოცრად ფაქიზი ფსიქიკა და სულიერი მდგომარეობა. იგი ბევრს მუშაობდა. დღეში ხანდახან თითო ლექსს წერდა. დიკინსონს ღრმა, ფუნდამენტური განათლება არ მიუღია, მაგრამ ზედმიწევნით იცოდა ბიბლია, შექსპირის შემოქმედება,

კლასიკური მითოლოგია. ამ სიმდიდრით საზრდოობდა. იგი თავისი ხანის ყველაზე განდეგილი და მარტოხელა პოეტი იყო. ამ მორიდებულმა, მარტოხელა პროვინციელმა ქალმა, რომელსაც არავინ არ იცნობდა და რომელსაც სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაუბეჭდავს, მე-19-ე საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას მრავალი შედევრი შესძინა.

უდიდესი დროის განმავლობაში ქალი დაკავშირებული იყო ბუნებასა და მზრუნველობასთან, კაცი-კულტურას, კომე-რციასა და ომთან. ქალი ამზადებდა (*proeiate*), კაცი ქმნიდა (*create*).

ქვეყნების უმრავლესობაში ისევე, როგორც შეერთებულ შტატებშიც ქალთა მდგომარეობის ერთ-ერთი პრობლემური ფაქტორი იყო კულტურის წვდომისას მათ წინაშე მდგარი სიძნელეები. როგორც ვიცით, საუკუნეების განმავლობაში ქალები შთააგონებდნენ მამაკაცებს კულტურას. მრავალი შემოქმედი ქალი, მწერალი იქნებოდა თუ ხელოვანი, როცა გადააბიჯებდა მათი სქესისათვის დაწესებულ საზღვრებს და შექმნიდა ხელოვნების ნიმუშებს, მაშინვე გაქრობისთვის იყო განწირული. მათი შრომები იკარგებოდა, ისტორია კი უზრუნველყოფდა იმას, რომ ისინი მუზეუმებისა და სახელმძღვანელოების გარეთ დარჩენილიყო. მხატვარ ქალებს უფლება ეძლეოდათ მხოლოდ „გამოყენებითი ხელოვნებით“ დაკავებულიყვნენ, როგორიცაა: ქსოვა, ქარგვა, კერვა, მაქმანე-ბისა და პირბადეების კეთება. მხოლოდ ნემსით მუშაობა იყო XIX საუკუნეში ქალებისათვის დასაშვები „შესაფერი“ საქმიანობიდან ერთ-ერთი, რომლებიც ამ გზით ქმნიდნენ უბრალო საკერავებს ან მოსართავებს თავიანთვის, თავიანთი ოჯახისათვის, ყსაშუალო და მაღალი კლასის მყიდველებისათვის. ნემსით მომუშავე გახდა კულტურული ხატი, აღმნიშვნელი შინაურობის, ქალური ინდუსტრიისა და სიკარგისა.

სივრცისა და კულტურის დამაკავშირებელი ქსელი ქალთა მოძრაობაში მე-17 და მე-18 საუკუნეებში კულტურული ინტე-ლიგენციისათვის იყო მდიდართა სალონები.

ამერიკელმა მოგზაურმა და ექსპატრიატმა ქალებმა პარიზში და სხვა ევროპულ ადგილებში ასევე გაუღეს თავიანთი სახლის კარი ჭორებს და იდეებს, მომავალს სხვადასხვა ეროვნების ყველანაირი ქალისაგან, რომელთაგან ზოგიერთი ხელოვნების მდიდარი მფარველი იყო.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის ბოლოს მსახიობი შარლოტ კუშმანი „რომში, ხოლო მოდერნისტი მწერალი გერტრუდა შტაინი პარიზში მოღვაწეობდა. გერტრუდა შტაინი პარიზში ცხოვრების დროს აგროვებდა ხელოვნების ნიმუშებს. იგი იძენდა პოლ სეზანის, პოლ გოგენის, პიერ ოგუსტ რენუარის, პაბლო პიკასოსა და სხვათა ტილო-ებს. შტაინმა ერთხელ თქვა, რომ მე და პიკასო ერთსა და იგივეს ვაკეთებთ. იგი მხატვრობაში და მე კი მწერლობაში. ეს შეხედულებები ხელს უწყობდა მსოფლიო კულტურის ახლებურ განწყობას. სალონები მოდერნისტებს გერტრუდა შტაინსა და ნატალი ბერნის არ მოსწონდათ. მათი შეხვედრების ადგილები იყო წიგნის მაღაზიები და „წიგნის მეგობრის სახლი“. ამას გარდა, არსებობდა კულტურული ქსელების სხვა ფორმები, რომლებიც ქალების კულტურას ხილულს ხდიდა. მაგალითად, საგამომცემლო სახლები და ჟურნალები, რომლებიც ხშირად ფინანსდებოდა მდიდარი ქალების „მატრონაჟით“. ასე დააფინანსეს და დღის სინათლეზე გამოიტანეს ამერიკელი პოეტის ნენსი კუნარდის შემოქმედება.

„უჩინარი“ ქალების გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედის სახე.

დღემდე აშშ-ს 43 პრეზიდენტი ჰილარიონ კარტერი მოვიდა. თუ მათ ცხოვრებასა და პოლიტიკურ მოღვაწეობას გადავხედავთ, აშკარად იკვეთება პირველი ლედის უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი თეთრი სახლისაკენ მიმავალ გზაზე. ყველაზე ჩუმი, მორიდებული და უტყვი ცოლებიც კი გავლენას ახდენდნენ ქმრის კარიერაზე. თუ გავაანალიზებთ იმ ხერხს და მეთოდებს, რომლებსაც ეს ქალბატონები მიმართავდნენ, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი:

ზოგჯერ, პრეზიდენტი სიმბოლოს გვერდით არანაკლები სიძლიერით იკვეთება ახალი სიმბოლო პირველი ლედის სახით. ამის ერთ-ერთი თვალნათელი ნიმუშია ელეონორა რუზველტის პიროვნება. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ ორი, თითქმის თანაბარი სიძლიერის პოლიტიკურ მოღვაწეზე.

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ბესი ტრუმენისა და მეიმი ეიზენჰაუერის ტიპის ქალბატონები. ისინი იდუმალებით მოცულ ჩრდილებად წარმოგვიდგებიან პრეზიდენტის გარშემო და სწორედ ქმრის პოლიტიკური სიმბოლოს კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენისათვის იღწვიან ჩუმად და შეუსვენებლივ. აქ შეიძლება დავასახელოთ პილარი კლინ-ტონიც.

შევჩერდებით XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკურ რუქაზე ერთ-ერთი ბრწყინვალე ფიგურის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის გავლენიანი ცოლის ელეონორას პოლიტიკურ ბიოგრაფიაზე. თეთრ სახლში მისი 12 წლიანი ყოფნის დროს, მან როგორც ამერიკელთა ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი პრეზიდენტის ცოლმა მონაწილეობა მიიღო ათეულობით სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამის და პროექტის შემუშავებაში; იყო ბრწყინვალე ჟურნალისტი, ლექტორი, პროპაგანდისტი. თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ავადმყოფი ქმრის „თვალებმა და ყურებმა“, მან სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით (თვითონაც კი მართავდა თვითმფრინავს) მოიარა მთელი ქვე-ყანა და ნახევარი მსოფლიო; იყო იმდროინდელ ყველა ცხელ წერტილში. გასაკვირი არ არის, რომ ერთხელ ჰიტლერმაც კი განაცხადა, რომ „სწორედ ელეონორ რუზველტი არის ამერიკის ჭეშმარიტი ლიდერი“. ელეონორა რუზველტის 1933 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ეს ქალზეა დამოკი-დებული“ წარმოადგენდა მცდელობას ეჩვენებინა ამერიკელი ქალებისათვის, თუ როგორ შეეძლოთ მათ ქვეყნის, მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამოყვანა. ელეონორა აღნიშნავდა, რომ „ასეა, რთულ პირობებში, ქალებს განსაკუთრებით, მძიმე ტვირთის ზიდვა

მოუხდებათ. პრაქტიკულად ყველა ქალი მდიდარი თუ ღარიბი დღეს ოჯახში შემოსავლის შემცირებას განიცდის, მაგრამ ძალიან მდიდრები ამერიკის მოსახლეობის მცირე ნაწილს წარმოადგენენ. ამიტომ, გამონაკლისი მდიდარი ქალბატონების ცხოვრება და გამოცდილება ტიპიურ მაგალითად არ გამოდგება“.

1929-1933 წლებში შეერთებულ შტატებში დიდი ეკონომიკური კრიზისი დადგა. დეპრესიის პერიოდი ქალებისათვის მძიმე აღმოჩნდა. 1930-იან წლებში ტიპიური საშუალო წრის ამერიკელ ქალს ყავდა მეუღლე, რომელიც სამუშაოზე კვირაში მხოლოდ 20-30 დოლარს ღებულობდა. ქალები მოვალენი იყვნენ ოჯახის მცირედი ბიუჯეტი ეკონომიკურად განეკარგათ –კვებაზე, ჩაცმასა და სხვადასხვა გადა-სახადზე.

დეპრესიამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ამერიკელთა წეს-ჩვეულებაში, ყოფაში, უარყოფითად იმოქმედა დემოგრაფიულ ფაქტორებზე. საგრძნობლად დაცა ქორწინებისა და შობადობის დონე. ქალები, უმუშევრები და შავკანიანები უკვე კატასტროფის ზღვარზე იმყოფებოდნენ, როცა შეერთებულ შტატების პრეზიდენტად 1932 წელს ფრანკლინ რუზველტი აირჩიეს.

პირველი ლედის მდგომარეობა ელეონორა რუზველტმა იმისათვის გამოიყენა, რომ დახმარებოდა მათ. ის ჟურნალგაზეთებს მოუწოდებდა, რომ ქალები და მათი პრობლემები სერიოზულად აღექვათ. ელეონორა ქალთა საკითხებზე რეგულარულად მართავდა პრეს-კონფერენციებს, სადაც მხოლოდ ქალი რეპორტიორები დაიშვებოდნენ. იმ პერიოდში პირველ ლედის შეუმჩნეველი არც ქალთა უმუშევრობა რჩებოდა. ამ პრობლემის გადასაჭრელად იგი თეთრ სახლში უამრავ კონფერენციას აწყობდა. აქტიურად იყო ჩაბმული სოციალურ პროგრამებში და ცდილობდა უმცირესობათა პრობლემები შემლებისდაგვარად გადაეწყვიტა.

სოციალურ პროგრამებში ასევე აქტიურად იყო ჩაბმული მეორე ქალბატონი მოლი დიუსონი. იგი იყო ნიუ-იორკის დემოკრატიული პარტიის ქალთა განყოფილების წევრი და ელეონორას ძველი მეგობარი. მოლი დიუსონის ორგანიზატორულმა ნიჭმა დემოკრატიულ კოალიციაში გზა ბევრ ქალს გაუკაფა და საკმაოდ საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ადგილი დაუმკვიდრა.

ამ პერიოდში ფრენსის პერკინსი პირველი ქალი იყო, რომელიც სოციალური დაცვისა და შრომის მინისტრი და მთავრობის წევრი გახდა. იგი ქალთა საკითხებთან დაკავშირებული „ახალი კურსის“ ადმინისტრაციაში წამყვან როლს თამაშობდა. „ახალი კურსის“ წყალობით ინდიელ ქალებს, პირველად მიეცათ განათლების მიღების უფლება.

ასე, რომ ქალი რეფორმატორები პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ადმინისტრაციისათვის მისაღები აღმოჩნდა.

ამერიკის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა იყო ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე სულ უფრო და უფრო მეტი ქალი ინიშნებოდა. „პროგრესულ რეფორმასთან“ დაკავშირებული ქალბატონები ძირითადად, ელეონორა რუზველტისა და ფრენსის პერკინსის ირგვლივ ტრიალებდა. მათი ინიციატივით დაინიშნა აფრო-ამერიკელი განმანთავისუფლებელი ქალი – მერი ბეთი – ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა უმცირესობისათვის დასაქმების შანსი გაეზარდა.

დახმარების სოციალური პროგრამები სტერეოტიპულ ქალურ სამუშაოს სთავაზობდა (მაგ. კერვა), რაც ხშირად ქალთა დისკრიმინაციას ახდენდა. დახმარების პროგრამები, ძირითადად, დაბალანაზღაურებადი იყო და მას მხოლოდ თეთრკანიანები აკონტროლებდნენ. ამის გამო ასობით შავკანიანი ქალი მიმართავდა საჩივრით პრეზიდენტ რუზველტს.

1930-იანი წლებში ქალებს, მნელბედობისა და ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, პრესითა და რადიოთი, ხში-

რად მოუწოდებდნენ სრულყოფილი ქალები გამხდარიყვნენ. ამ პროპაგანდაში განსაკუთრებულ როლს სილამაზე თამაშობდა. ამიტომაც ქალთა გაზეთები სილამაზესთან დაკავშირებულ რჩევებს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა.

ქალებს ელეონორა რუზველტი მოუწოდებდა, რომ საზოგადოების აქტიური წევრები გამხდარიყვნენ. ის ამხნევებდა მათ, რომ ინიციატივა გამოეჩინათ და მამაკაცის ზურგს არ ამოფარებოდნენ. თუმცა, ელეონორა თავის უკანასკნელ ნაშრომში წერს: „ამერიკელი ქალის უმთავრესი მოვალეობა კვლავ ოჯახის შექმნა და ბავშვების აღზრდაა“. უდავოა, რომ დეპრესიის წლების ყველაზე გავლენიან და წარმატებულ ქალბატონსაც, ჯერ კიდევ ორაზროვანი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებაში ქალების როლსა და ადგილზე. მაშინ ისმის კითხვა: როგორ უნდა ეპოვნათ ამერიკელ ქალებს თავიანთი შესაფერისი ადგილი საზოგადოებაში?! როცა პირველ ლედისაც ამომწურავი და ერთგვაროვანი პასუხი არ გააჩნდა ამ კითხვაზე?

გამოდის, რომ დეპრესიის წლებმა არც თუ ისე შეცვალა ჩვეულებრივი ქალის ცხოვრება. ქალები, რასაც შეჩვეულნი იყვნენ უბრალოდ იმასვე აკეთებდნენ. უმრავლესობა დიდი სიამოვნებით ითავსებდა ისევ და ისევ, მზრუნველი დედისა და ლამაზი მეუღლის ტრადიციულ როლს.

ასე, რომ სოციალური ნორმები და გარკვეული წესები ისევ ზღუდავდა ქალის როლს საზოგადოებაში. და, რაც მთავარია, თავად საზოგადოებაც არ იყო მზად ქალისათვის სხვა როლი შეეთავაზებინა.

დეპრესიის წლებმა ჩაიარა, მაგრამ ის არ დავიწყებიათ. ამ წლებმა ფსიქოლოგიური ტრამვა დატოვა. ფემინისტმა კაროლინ ბერდმა მას „უჩინარი იარა“ უწოდა. ამ წლებმა ამერიკელ ქალებს ეკონომიკური კრიზისის შიშის შეგრძნება გაუძლიერა და, როცა 1945 წლის ომი ბუმერანგივით შეიჭრა ამერიკელი ქალების ცხოვრებაში, მათ სწრაფად აუღეს ალლო ომის დროინდელი საზოგადოების სოციალურ მოთხოვნებს. სამი მილიონი მოხალისე ქალი შეუერთდა წითელ ჯვარს.

სხვები სასწრაფო დახმარების მანქანების საჭეს მიუსხდნენ. ქალები აკონტროლებდნენ თვითმფრინავებს სამოქალაქო თავდაცვის დავალებით. ისინი არიგებდნენ საჭმელს და თან თავს სახლის საქმეებსაც ართმევდნენ. იმ დღიდან, როცა მამაკაცები ომში გაიწვიეს, მათი ადგილი ოჯახშიც და სამოქალაქო სამსახურშიც ქალებმა დაიკავეს. ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა მათი ცხოვრების წესი. ქალების მუშაობა ომით გამოწვეულ დროებით მოვლენად აღიქ- მებოდა.

ომის შემდეგ ფრონტიდან დაბრუნებულმა კაცებმა შრომის ბირჟიდან განდევნეს ქალები. ამან ქალებს სამ- სახურის შოვნის შანსი შეუმცირა და ამით ისევ ხელსაყრელი ატმოსფერო შეუქმნა „ქალის ადგილი ოჯახშია“ _ამ სტე- რეოტიპის განმტკიცებას.

1948-1957 წლებში დემოგრაფიულმა აფეთქებამ „ბები ბუმმა“ მთელი შტატები მოიცვა. თუ ქალებს ომის დროს გამოჩენილი სიმამაცისა და გამძლეობისათვის ხოტბას ასხამდნენ, ომის შემდეგ მათ ამაგს ნაკლებად აფასებდნენ. ქალები ძლიერ შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ნებისმიერი სამუშაო, მათ მხოლოდ ნახევარ ანაზღაურებას ჰქინდებოდა, ვიდრე ომის დროს ჰქონდათ.

ქალებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ გამარჯვებაში ისეთივე წვლილი მიუძლვოდათ, როგორც კაცებს. მოზღვავებულმა ენერგიამ და მოქალაქეობის შეგრძნებამ მათ საკუთარი თავის რწმენა შემატა. ქალები პროტესტის ნიშნად მართავდნენ აქციებს სამუშაოზე დაბრუნებისა და მაღალი ანაზღაურების მოთხოვნით.

მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა 1960-იანი წლების შუახანებიდან. მას ბიძგი მისცა ბეტი ფრიდანის წიგნის „ქალის საიდუმლოს“ გამოქვეყნებამ (1963). ეს წიგნი ნამდვილ ბესტსელერად იქცა, ხოლო მისი ავტორი კი თანა- მედროვე ფემინიზმის დედამთავრად.

ქალებმა 60-იანი წლებიდან ჯანყი და ძლიერი ფემინი- სტური მოძრაობის ტალღა ააგორეს.

ქალის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა
და მისი როლის შეცვლა, თვითშეგნების ზრდა და
თანასწორობისაკენ ლტოლვა კანონზომიერი და პროგრე-
სული პროცესია. რასაც, ბუნებრივად, თან სდევს ტრადი-
ციული პატრიარქალური სტერეოტიპების მსხვრევა, რომე-
ლიც კაცის მეთაურობასა და მასზე ქალის ეკონომიკურ
დამოკიდებულებაზეა აგებული.

როცა „უჩინარი“ ქალების როლს ვეხებით, გვინდა
პარალელები გავავლოთ ორ, პირველ ლედიზე – ელეონორა
რუზველტსა და ჰილარი კლინტონზე. ჰილარისათვის
ყოველთვის ნიმუშად რჩებოდა ელეონორა რუზველტი. მან
აღიარა კიდეც, რომ „სადაც არ უნდა წასულიყო, მისთვის
ყოველთვის წინ იდგა ფრანკლინ რუზვეტის ცოლი“.

შესაძლებელია, მონიკასთან დაკავშირებული ისტორიის
დროს ჰილარი ელეონორას მაგალითთ იმშვიდებდა თავს.
ელეონორასი, რომელსაც მოუხდა მსგავსი „პრობლემის“
მონელება, როცა მან პოლიტიკური ინტერესები პირადულ
განცდებზე მაღლა დააყენა. მაგრამ რუზველტების დროიდან
ნახევარ საუკუნეზე მეტი წელის განმავლობაში ბევრი რამ
შეიცვალა. პირველ რიგში, ქალისათვის შესაძლებელი გახდა
ოფისისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და მასში
გამარჯვებაც კი. თუ 2000 წელს ჰილარიმ შედარებით
ადვილად მოახერხა სენატში მოხვედრა, 1940-იან წლებში
ელეონორასათვის, ფაქტობრივად, ეს შეუძლებელი იყო,
თუმცა ალბათ ის არა თუ გამოჩენილი სენატორი, არამედ
სახელმწიფოს მეთაურიც გახდებოდა.

გულუხვობამ, გახსნილობამ, ონავრობამაც კი, რაც ეკლე-
სიის მიმართ კეთილგანწყობილების მიზეზი იყო, ადგილი
დაუთმო ყოველი ნაბიჯის სიტყვისა და ჟესტის მკაფი
გააზრებულობას, შენიდბულობას, რაც ჰილარისათვის არის
დამა-ხასიათებელი.

როდესაც 1939 წ. სოციალური უზრუნველყოფის პრობ-
ლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც შეერ-
თებული შტატების ყველაზე რასისტულ შტატში _ალაბამაში

ტარდებოდა, ელეონორამ სეგრეგირებული აუდიტორიის „აფრიკელ“, „შავ“ მხარეს დაიკავა ადგილი. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მისი შეხედულებები პროგრესიული, კოსმოპოლიტური იყო და რომ ეს ქალი ფაქტიურად სამხრეთის თეთრ მაგნატებს დაუპირისპირდა. ასევე, როცა ჰილარი სენატში ადგილისათვის ბრძოლის დროს ყოველ კვირა ნიუ-იორკის სხვადასხვა რაიონის აფრო-ამერიკელთა ეკლესიაში გრძელი ქვედაბოლოთი დადიოდა (რაც სულ არ იყო აუცილებელი, მითუმეტეს, რომ მისთვის ეს ჩვეული არ იყო, — მას შარვლის, კოსტუმების ტარება უყვარს) შეიძლებოდა მიმხვდარიყავი, რომ ამას ის აკეთებდა არა ზანგი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო, არამედ ეს იყო ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის მიზიდვის კარგად გააზრებული ტაქტიკა.

როდესაც ელეონორამ მოახმარა უზარმაზარი ძალა, დრო და საკუთარი სახსრები ფაშისტური გერმანიიდან ებრაელების გამოყვანას, რისთვისაც მას კონგრესის ანტისემიტურად განწყობილი ნაწილის დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, გჯერა ამ, მართლაც, არაჩვეულებრივი ქალის აზროვნების უნივერსალობის. ამასთან ერთად, ჰილარის მიერ სინაგოგაში, ებრაულ სასწავლო დაწესებულებებში სიარული, მრავალი საუბარი სამღვდელოებასა და მორწმუნებთან აღიქმება როგორც მისი სურვილი, მოიპოვოს ამერიკელი საზოგადოების ამ პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჯგუფის მხარ-დაჭერა. ქალბატონმა კლინტონმა ყურადღება არც მუსლიმანებს მოაკლო.

„უჩინარი“ ქალების მესამე ჯგუფი კი შედარებით მრავალრიცხოვანია და აერთიანებს იმ ქალბატონებს, რომლებიც შუქ-ჩრდილებად გასდევენ თავიანთი პრეზიდენტი მეუ-ღლების კარიერას.

ამერიკის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში არსადაა მოხსენებული პრეზიდენტის მეუღლე და მისი უფლება-მოვალეობანი. სწორედ, ეს ანიჭებს ამ ტიტულის მქონე

პიროვნებას უსაზღვრო თავისუფლებასაც და უკიდურეს შეზღუდულ პოზიციას ამავდროულად. არსებითია ერთი მომენტი _პირველი ლედი ეს არის ქალი, რომელსაც იოლად და მძლავრად შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის პრეზიდენტსა და მის პოლიტიკაზე. არ არსებობს კანონი, რომელიც გააკონტროლებს ცოლის მოქმედებების ხარისხს თუნდაც იყოს მაღალ დონეზე.

ძალადობა სამუშაო ადგილზე და ოჯახში

მე-20 საუკუნის 1980-იანი წლებიდან მოყოლებული სქესობრივი დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე იქცა ერთ-ერთ საყურადღებო და წინააღმდეგობით აღსავსე პრობლემად. რა არის სქესობრივი დისკრიმინაცია სამუშაო ადგი-ლზე? ამ კითხვაზე პასუხის მოსამებნად ბევრი იურისტი, დამქირავებელი თუ მუშაკი იმტვრევს თავს. სამუშაო ადგი-ლზე სქესობრივი დისკრიმინაციის, სქესის ნიშნით შევიწროების კონცეფციის განსაზღვრება ბევრ შემთხვევაში სუბიექტურია და მხოლოდ კერძო შემთხვევებს ერგება. ამ თვალსაზრისით, თუ მიღებული ინფორმაციის კომუნიკაცია არ მოხდება კორექტულად, სწორედ, დაბნეულობამა და გაუგებრობამ შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს როგორც დამქირავებელი, ასევე დაქირავებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980-იან წლებამდე დაბალი ინსტანციის ფედერალურ სასამართლოში რამდენჯერმე მოხდა სამუშაო ადგილას სქესობრივი დისკრიმინაციის შემთხვევების განხილვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაცია არის ქალი თანამშრომლის მამაკაცი თანამშრომელის მიერ (შესაძლებელია უფროსიც იყოს) შევიწროება და სქესობრივი კავშირის მოთხოვნა. 1980 წელს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიამ (Equal Employment Opportunity Commission (EEOC)) დაადგინა სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაციის შემთხვევები და გამოკვეთა სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაციის ორი ძირითადი ფორმა:

1. Prud pro quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ) – ამგვარი სქესობრივი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც სექსუალური ხასიათის მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ ადამიანი მიიღებს სამსახურს ან დაწინაურდება

სამსახურში, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შესაძლოა დაკარგოს სამსახური.

2. მტრული სამუშაო გარემო _სქესობრივი დისკრიმინაციის მეორე ფორმაა და ითვალისწინებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფიზიკურ შეხებას, სექსუალურ მოთხოვნებს ან სქესობრივი ხასიათის სხვაგვარ ქცევას. ეს ქმედება იმდენად დაჟინებული და ხშირი უნდა იყოს, რომ ხელს უშლიდეს ადამიანის მუშაობის პროცესს, ადაბლებდეს საქმიანობის ხარისხს ან ქმნიდეს შეურაცხმყოფელ გარემოს მუშაობისათვის.

დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიის მიერ განმარტებების გამოცემიდან სამი წლის შემდეგ მათი გამოყენება საჭირო გახდა კატკი ღოულის წინააღმდეგ საქმეში (1983). საქმის განხილვის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ დამქირავებელი პასუხს აგებდა სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაციის ბრალდებით. ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის *quid pro quo* სახეს, დამქირავებელმა არ მიიღო შესაბამისი ზომები, მას შემდეგ, რაც წერილობით შეიტყო თანამშრომელი ქალის მისი ხელმძღვანელის სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ პირველი განაჩენი სქესობრივი დისკრიმინაციის ბრალდებით 1986 წელს გამოუტანა საქმეში მერიტონ სეივინგს ბანკი ვინსონის წინააღმდეგ. სასამართლო განაჩენმა მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა სამუშაო ადგილზე სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის ბრალდებით საქმეების შემდგომ განხილვას. მერიტონის საქმეში დადგინდა, რომ სქესობრივი ნიშნით შევიწროება „მტრული სამუშაო გარემო“, მართლაც სქესობრივი დისკრიმინაციის ფორმაა. ასევე დადგინდა, რომ საკითხში გარკვევის სწორი ფორმაა კითხვა იმისა, იყო თუ არა სქესობრივი სახიათის მოთხოვნები მიუღებელი მომჩივანისათვის და არა ის ნებაყოფლობით დათანხმდა იგი სქესობრივ კავშირს თუ არა.

1990-იანმა წლებმა სამუშაო ადგილზე სქესობრივი შევიწროების პრობლემა გასაგები გახადა ამერიკული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ იქცა. საზოგადოების ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტმა, რომ 1991 წელს სენატის იურიდიული კომიტეტი განიხილავდა მოსამართლე კლარენს ტომასის ნომინაციას უზენაეს სასამართლოში. მოსმენებისას დაისვა საკითხი მოქალაქე კლარენს ტომასის მიერ თავისი ასისტენტის ანეტა ჰილის შევიწროების შესახებ, მაშინ როდესაც იგი მოსამართლეთ მუშაობდა დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიაში. ამ მოსმენებს ტელევიზიით გადასცემდნენ და მოსახლეობა როგორც სერიალს ისე უყურებდა და რაც უფრო მნიშვნელოვანია ბევრი საუბრობდა ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ამგვარი ქმედება და რა არის სქესობრივი ნიშნით ადამიანის შეურაცხყოფა სამუშაო ადგილას? გახმაურებულ საქმეს მოჰყვა ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის საქმე. პრესამ და ტელევიზიამ დიდი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივებასა და შენარჩუნებაში, რომლის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილზე სქესობრივი შეურაცხყოფის პრობლემატიკა ფრიად აქტუალური გახდა.

სამუშაო ადგილზე სქესობრივი ნიშნით შეურაცხყოფაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ შეურაცხყოფის ფაქტი უფრო ხშირად ხდება მამაკაცსა და ქალს შორის, მაგრამ შესაძლებელია, რომ ამგვარი პრობლემა წამოიჭრას ქალებს შორის ამ მამაკაცებს შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკეული საქმეების განხილვამ ამ ბრალდებით შექმნა პრეცენდენტები და გარკვეულწილი პასუხები გასცა ამ ხასიათის პრობლემების ირგვლივ არსებულ დავებს. თუმცა მრავალი საკითხი კვლავ, გაურკვეველი და ბუნდოვანია. კერძოდ, დამქირავებელს ევალება საჭირო ზომების მიღება იმისათვის, რომ სქესობრივი ნიშნით შეურაცხყოფის შემ-

თხვევაში სამუშაო ადგილზე აიღავმოს, მაგრამ არ კონკრეტდება, რას შეიძლება გულისხმობდეს ეს ზომები. იმ შემ-თხვევაში თუ დაზარალებული არ იმოქმედებს დამქირავე-ბლის რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს იმის დაცვას მსგავსი შეურაცხყოფისაგან, პასუხისმგებლობა მომხდარზე უკვე აღარ ეკისრება დამქირავებელს. ამ დროს იგი უშუალოდ შეურაცხყოფელსა და დაზარალებულს ეხება, რომელმაც არ შეისმინა დამქირავებლის რჩევები და არ დაექვემდებარა პრევენციულ ღონისძიებებს.

რა შეიძლება წარმოადგენდეს სამუშაო ადგილზე სქესობრივი შეურაცხყოფის თავიდან აცილების, პრევენციის ეფექტურ მეთოდს?

- ნათლად გაწერილი სქესობრივი შეურაცხყოფის ამკრძალავი შიდა განაწესი;
- ამ შიდა განაწესის ეფექტური კომუნიკაცია ყველა თანამშრომლისათვის;
- შურისძიებისაგან დაცვა;
- ეფექტური ჩივილის პროცესი;
- გამოძიების პროცესში კონფიდენციალობის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური დაცვა;
- ეფექტური გამოძიების პროცესი;
- შესაბამისი და დაუყოვნებელი გამოსასწორებელი ქმედების უზრუნველყოფა;

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი უნდა იყოს კომბინირებული უფროსებისა და ზედამხედველების პერიოდულ ხარისხიან ტრეინინგთან. ტრეინინგის მეშვეობით თანამშრომლებმა უნდა შეიძინონ უნარ-ჩვევები მსგავს სიტუაციებთან გამკლავებისა და მათი ეფექტური დამლევისათვის.

იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი, ხელმძღვანელი მომსწრეა სქესობრივი შეურაცხყოფების ფაქტებისა, მან უნდა მოახდინოს რეაგირება დაზარალებულისაგან ოფიციალური წერილობითი განაცხადის მიღებამდე.

სამუშაო ადგილზე სქესობრივი შეურაცხყოფა ხშირ შემთხვევაში თანამშრომლებს შორის წარუმატებელი რომანების საფუძველზე ყალიბდება. სამწუხაროდ, არ არსებობს არანაირი გეგმა ან ღონისძიება, რომელიც ამგვარ რისკს აგვაცილებდა თავიდან. ამგვარი შემთხვევების მონიტორინგიც ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხელმძღვანელი თანამშრომლების პირად ცხოვრებაში ერევა. არსებობს ორი გზა, ერთი ვითარების იგნორირება, ვიდრე რეალური პრობლემები არ გაჩნდება და მეორე, სამუშაოზე მიღებისას ინფორმირება თანამშრომლების, რომ სასიყვარულო ურთიერთობების წამოწყება ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის იკრძალება. განსაკუთრებით დიდი რისკის მქონეა, თანამდებობებით მაღალი მამაკაცისა და მასზე დაქვემდებარებული ქალის ურთიერთობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, სწორედ, ამ დროს შეიძლება გართულდეს საქმე. პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ხელმძღვანელს ევალება ხშირი საუბარი და ტრეინინგი ჩაუტაროს თავის მოადგილეებს, დეპარტამენტების უფროსებს და სხვა თანამდებობით მაღალ საფეხურზე მყოფ თანამშრომლებს.

ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე, მასზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვების მიზნით. ძალადობა ოჯახში არის კონკრეტული ქმედება ან მუქარა პიროვნების მხრიდან, რომელიც სქესობრივ ან სხვა ურთიერთობაში იმყოფება პარტნიორთან.

სხვა, შედარებით გამარტივებული განმარტებების მიხედვით, ოჯახური ძალადობა წარმოადგენს ოჯახის წევრის მიერ მეორის მიმართ ჩადენილ ძალადობას, რომლის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ქალები და ბავშვები არიან, ხოლო მოძალადეები მამაკაცები.

მოცემული განმარტება ოჯახური ძალადობის ყველაზე მეტად გავრცელებულ სცენარებს შეესაბამება, თუმცა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდნენ მოხუცებიცა და მამაკაცებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად ოჯახური ძალადობის შემთხვევაში მოძალადედ მამაკაცი (ქმარი, მამამთილი, მმა) გვევლინება, არსებობს ოჯახური ძალადობის ისეთი ფაქტები, სადაც დედამთილი ან მული, ან პირიქით, რძალია მოძალადე. ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, სადაც მამაკაცები არიან მსხვერპლის როლში ძალიან მცირე მასშტაბების მქონეა, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უამრავი მექანიზმი არსებობს ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის, ჯერ კიდევ დღეში 22 ქალი იღუპება მოძალადე ქმრისაგან.

აშშ-ში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ბავშვების მიმართ ცუდი მოპყრობა საზოგადოებრივი შეშფოთების საგანი იყო, რაც შეეხება ძალადობას, მისი პრობლემად ჩამოყალიბება და გააზრება არ აღმოჩნდა ადვილი დამკვიდრებული კულტურული ნორმებისა და ტრადიციების ფონზე, რომლებიც ორ ზრდასრულ ადამიანს შორის არსებულ უსიამოვნებას, მათ შორის, უფრო ძლიერისა და ავტორიტეტულს კონტროლისა და პასუხისმგებლობის სფეროდ სახავდა.

სამოცდაათიან წლებში საზოგადოებრივი მოძრაობიდან მოყოლებული ამერიკასა და ევროპაში ფართოდ გავრცელდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის იდეები ქორწინებასა და სამსახურში. 70-80-იან წლებში იზრდებოდა საზოგადოების გათვითცნობიერების დონე ოჯახური ძალადობის საკითხში. ცოლ-ქმრული ძალადობა აღიარებული იქნა დაუშვებელ ქმედებად. აშშ-ში უკვე სამოციან წლებში საზო-გადოების მხრიდან ზეწოლის შედეგად დაიწყო სახელმწიფოს მხრიდან კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების სუბსიდირება ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. პირველი ასეთი თავშესაფარი 1974 წელს სან პაულოში, მინესოტას შტატში გაიხსნა და ეს პროგრამა დღემდე არსებობს. ამჟამად

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1500-მდე ქალთა თავშე-საფარია (მაშინ, როდესაც იმავე აშშ-ში 3800 ცხოველთა თავშესაფარი ფუნქციონირებს).

კვლევებმა აჩვენეს, რომ 1994 წელს აშშ-ში საშუალოდ სამიდან ორი მსხვერპლი ქალი იცნობდა თავდამსხმელს. ქალთა 31%-მა განაცხადა, რომ თავდამსხმელი იყო უცხო ადამიანი, 28%-მა განაცხადა, რომ შეურაცხყოფას იღებდა მეუღლის ან შეყვარებულისაგან, 35% ნაცნობებისაგან, ხოლო 5% სხვა ნათესავებისაგან. წლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცებთან შედარებით ქალები 10-ჯერ მეტ ძალადობის ფაქტს განიცდიან ნაცნობების, მეუღლების, შეყვარებულებისა თუ ნათესავებისაგან. ყოველწლიურად ოჯახური ძალადობის ტრამვების მოსაშუალებლად 3-5 მილიარდი დოლარი იხარჯება, 100 მილიარდი დოლარი კი იკარგება მიუღებელი ხელფასების, არაპროდუქტიულობისა და ავადმყოფობის მიზეზით გაცდენილი სამუშაო საათების გამო. 1993 წელს 575 000 კაცი დააპატიმრეს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის გამო, როდესაც ამავე წელს 49 000 ქალი დააპატიმრეს მამაკაცების მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო.

ფიზიკური ძალადობის ფორმებია: ცემა, ხელის კვრა, წიხლის ჩარტყმა, თმის მოქაჩვა, კბენა, ფიზიკური ტკივილის მიყენება სხვადასხვა ნივთების გამოყენებით (წამება), სახლ-ში გამოკეტვა, დაწვა, გენიტალიების დამახინჯება (მოკვეთა), ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით დაჭრა, მოკვლა.

სექსუალური ძალადობის ფორმებია: გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი რეპლიკები, კომენტარები, შემოთავაზებები, პორნოგრაფიული მასალის ყურების ანდა გამეორების იძულება, ინცესტი, იძულებითი ფეხმძიმობა, ცემის შემდეგ სექსუალური ურთიერთობის იძულება, დასჯის მიზნით სექსისა და ალერსისაგან თავის შეკავება და სხვა.

ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია: დაცინვა, დამამცირებელი შენიშვნები, რეპლიკები, კომენტარები,

შემოთავაზებები, გინება, ზიზღის გამომხატველი ქმედება, აკრძალვა, იზოლირება, საზოგადოებაში შეურაცხყოფა, ყვირილი, მუქარა, ეჭვიანობა, ღამით ძილის საშუალების მოსპობა, შანტაჟი და სხვა.

ოჯახური ძალადობის ფორმებია ასევე: ეკონომიკური ძალადობა, რაც საერთო ეკონომიკურ სახსრებზე ხელმი-საწვდომის შეზღუდვაში ან აკრძალვაშია, მუშაობის, სწავლის დაშლაში, ცოლის საკუთრების მითვისებაში ვლინდება.

ძალადობის ეს ფორმები არ არის ოჯახური ძალა-დობისათვის დამახასიათებელი ქმედებების სრული ნუსხა. თუ ერთი შეხედვით, ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფრო თვალსაჩინოა და შესაძლოა ქალის ფიზიკური ლიკვიდაციითაც დასრულდეს, ძალადობის სხვა ფორმებსაც არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლიათ. ოჯახური ძალა-დობისათვის არ არის დამახასიათებელი, ერთი რომელიმე კონკრეტული ფორმის სისტემატიური, სხვა ფორმებისაგან იზოლირებული, განმეორება. ოჯახური ძალადობა ჩვე-ულებრივ ძალადობრივი ქმედებების მთელი კომპლექსითაა წარმოდგენილი და გრძელვადიან ავადმყოფობებს: ნევროზს, დეპრესიას, ფსიქიკურ მოშლილობას და სხვა მრავალ უბედურებას იწვევს.

დღეს სახელმწიფოს საშუალება აქვს ჩაერიოს, როგორც საზოგადოებრივ, ისე ე.წ. კერძო სფეროში, რათა განიხილოს ადამიანის უფლებების ცალკეული დარღვევები. ის, რასაც სჩადიოდნენ ქალის მიმართ ოჯახის მამაკაცი წევრები, მაგალითად, ოჯახური ძალადობა ან ოჯახური პატიმრობა, მთავრობების მხრიდან უყურადღებოდ რჩებოდა ზოგჯერ მაშინაც, როცა ასეთი დარღვევების აღსაკვეთი კანონები არსებობდა. ამდენად, ოჯახში რელიგიის ან კულტურის სახელით ჩადენილი ძალადობა ქალების მიმართ კერძო სფეროს ე.წ. ხელშეუხებლობის სახელით იმაღლებოდა, ხოლო ამ ძალადობის ჩამდენი თავის დანაშაულზე პასუხს არ აგებდა.

ისტორიულად ადამიანის უფლებათა დარღვევებზე აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ საზოგადოებრივ სფეროში და, შესაბამისად, ქალთა უფლებები უგულვებელყოფილი იყო.

ამერიკელი მკვლევარი ჯოან მაიერი წერს: „ამჟამინდელი ამერიკული საკანონმდებლო და სოციალური ნორმები ორაზროვანია: მაშინ როცა ოჯახური ძალადობა ნომინალურად არალეგალურია და მეტიც, კრიმინალიზირებულია, სამართლებრივი და სოციალური დაწესებულებების უმეტესობას დღემდე მცირე აღიარებასა და დახმარებას უჩენენ. ამგვარი ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს, ურჩე-ვნიათ რომ ეს საკითხი განიხილონ, როგორც კერძო ოჯახური დავა და არა როგორც დანაშაული“.

სხვა ამერიკელი მკვლევარი ელიზაბეტ რაპაპორტი თავის სტატიაში: „სიკვდილით დასჯა და შეღავათი ოჯახური ძალადობისას“ აანალიზებს სამართლებრივ ნორმების ქმედებას ისეთი მკვლელობების მიმართ, რომლებიც სიკვდილით ისჯება ოჯახური ძალადობის შედეგად ჩადენილი მკვლელობების გამო.

ანალიზი აჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის ამერიკული კანონი სექსისტურია, მაშინ როდესაც უმეტეს შტატებში ფინანსური მოტივით ადამიანის მოკვლა შეიძლება იქცეს მიზეზად დამნაშავისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა. მაშინ, როდესაც „ოჯახის შენარჩუნების“ მიზეზით ჩადენილი მკვლელობა დამნაშავეს გარკვეულ შეღავათს აძლევს. ქმრის მხრიდან ცოლის ან ყოფილი ცოლის მკვლელობა არ განიხილება იგივე სიმძიმის დანაშაულად, როგორც სხვა ოჯახს გარეთ ჩადენილი მკვლელობები. მას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ მოძალადეს ემოციებისაგან „სისხლი აუდუღდა“ „ცივსისხლიანი“ წინასწარგანზრახული მკვლელობებისაგან განსხვავებით. რაპაპორტი აღნი-შნავს, რომ ქმრის მიერ მეუღლის „ცხელ გულზე“, როცა მას საყვარელთან ერთად ნახავს მოკვლის განხილვა როგორც შემამსუბუქებელი გარემოებისა მაჩვენებელია მამაკაცთა

უპირატესი მდგომარეობისა საზოგადოებაში, ვინაიდან ისტორიულად „ცხელ გულზე“ ჩადენილი მეუღლის მკვლელობა ცოლების მხრიდან, ანუ როცა ქმარს საყვარელთან წაასწრებდა, არ განიხილებოდა შემამსუბუქებელ გარემოებად. ის, რომ ქალები ნაკლებად კლავენ მეუღლეებს ღალატის შემ-თხვევაში, გამოწვეულია იმითაც, რომ მათ ქმრების ფლობაზე უფრო ნაკლები პრეტენზია აქვთ, შესაბამისად, მათი რეაქცია ღალატზე ან მიტოვებისას ნაკლებად მწვავეა.

მტკიცნეულია ის ფაქტი, რომ ოჯახური ძალადობა სათანადოდ არ არის აღიარებული საზოგადოების მიერ, ეს საკითხი არის უკიდურესად ტაბუირებული და მიიჩნევა, რომ ოჯახის, კერძო საქმეა და გარეშე პირები არ უნდა ჩაერიონ.

თუ ცემა, გაუპატიურება, შეურაცხყოფა, ფსიქოლოგიური და ეკონომიური ძალადობა ჩადენილი ოჯახის გარეთ არათუ გასაკვირი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, სამართლით დასჯადი ქმედებებია, რატომ აღიქვამს საზოგადოება იგივე საქციელს ჩადენილს ოჯახის წევრებს შორის სხვანაირად? ნუთუ შუასაუკუნოებრივი გამოთქმა „ჩემი სახლი, ჩემი ციხე-სიმაგრეა“ კვლავ ძალაში რჩება? ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ ჩვენი სოციუმი, ისევე როგორც მრავალი სხვა საზოგადოება ქალებს არ მოიაზრებს ოჯახის ისეთივე სრულფასოვან წევრებად, როგორც მამაკაცებს?.

ფემინისტები ხშირად აკრიტიკებენ „საჯარო“ ანუ საზოგადოებრივ სფეროში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რომელიც გამოიხატება მილიტარიზმში, ეკონომიკურ ექსპლუატაციაში, კოლონიალიზმში. ასევე აკრიტიკებენ ფემინისტები „კერძო“ სფეროში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, გამოხატულს გაუპატიურებაში, ოჯახურ ძალადობაში (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სქესობრივი, ეკონომიური) და ინცესტში. ფემინისტი მკვლევარები, ასევე სვამენ კითხვას იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ძალაუფლების ცნების ხელახალი გააზრება, ისე, რომ

ქალებმაც მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა. მათ ჯერჯერობით წარმატებით მოახე-რხეს ის, რომ, ძალაუფლება ვიღაცაზე ბატონობისა შეეცვა-ლათ ამა თუ იმ უფლებით საკუთარი ღირსების დასაცავად. ისეთი უფლებებით, როგორიცაა: ქმედების, სიტყვის, არჩევანის, ცვლილების მოთხოვნის უფლება.

ფემინისტი მკვლევარები პრობლემურად სახავენ ამ ორი სფეროს არსებობასა და ურთიერთქმედებას, შესაბამისად, მეორე ტალღის ფემინისტთა ლოზუნგმა: „პერსონალ ის პოლიტიკალ!“ „პირადი მნიშვნელობის საკითხები პოლიტიკური მნიშვნელობისაა“ უდიდესი დატვირთვა შეიძინა, ვინაიდან ამ გზით გადაწყდა „საზოგადო“ სფეროს დღის წესრიგში „კერძო“ სფეროში წამოჭრილი პრობლემების დაყენება.

ქალის ადამიანის უფლებები

ცნება ქალის ადამიანის უფლებები და ღონისძიებანი, რომლებიც ამ უფლებების განხორციელებას ახლავს ქალთა სტატუსის გაუმჯობესებისათვის, ხანგრძლივი საერთაშორისო მოძრაობის პროცესის შედეგს წამოადგენს.

ქალის ადამიანის უფლებების ცნება იმდენად პოპულარული გახდა, რომ ის ერთდროულად პროზაულიცაა და რევოლუციურიც. ერთი მხრივ ის საღი აზრიდან მომდინარეობს. აქ, დეკლარირებულია ის მარტივი აზრი, რომ ქალებს, როგორც ადამიანებს, აქვთ ადამიანის უფლებები. დღეს გაჭირდება ამის საწინააღმდეგო აზრის დაცვა. ამდენად, იმის მტკიცება, რომ ქალს აქვს ადამიანის უფლებები, სავსებით ბუნებრივია. ერთის მხრივ, ქალის ადამიანის უფლებებს რევოლუციური უღერადობაც აქვს.

ჰუმანიზმისაკენ ამ რადიკალურ აპელაციაში და დაუინებულ მოთხოვნაში, რომ ქალის უფლებებიც ადამიანის უფლებებად იყოს განხილული, განსაკუთრებული ტრანსფორმაციული პოტენციალია. ქალის შეხედულების და ცხოვრების გამოცდილების გათვალისწინება ადამიანის უფლებების სტანდარტებში და პრაქტიკაში ხელს უწყობს იმის გაცნობიერებას, რომ აქამდე მრავალ ქვეყანაში ქალისადმი სათანადო ღირსებით და პატივისცემით მოპყრობას (რომელსაც იგი იმსახურებს როგორც ადამიანი) ადგილი არ ჰქონია.

ქალის უფლებების ენის საშუალებით შესაძლებელი ხდება ქალებზე ძალადობის, მეტი დეგრადაციისა და მარგინალიზაციის განსაზღვრა და გააზრება. და ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალის ადამიანის უფლებების იდეა ხელს უწყობს ცვლილებებისაკენ მიმართული ახალი ხედვებისა და კონკრეტული სტრატეგიების წარმოქმნას.

საერთაშორისო ქსელი, რომელიც ქალთა უფლებებისათვის მოძრაობის გარშემო შეიქმნა, ქალთა პოლიტიკური უნარების განვითარების საშუალებად გადაიქცა, იმ უნარებისა, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნისათვის იქნება აუცილებელი.

გაეროს სტრუქტურაში ადამიანის უფლებების კომისიის დაქვემდებარებაში, თავდაპირველად, 1946 წელს დაარსდა ქვეკომისია ქალების სტატუსის შესახებ. ქვეკომისია მაღე გადაკეთდა სრულუფლებიან კომისიად ქალთა სტატუსის შესახებ (Commission on the status of women, CSW), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ერთ-ერთ კომისიას. კომისიის მანდატი ითვალისწინებს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სქესთა თანაბარ-უფლებიანობის პრინციპის გატარებისაკენ მიმართულ რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებას.

1949-1959 წლებში კომისიამ დაამუშავა შემდეგი „სპეციალურ საკითხებზე“ ორიენტირებული ქალების უფლებების საერთაშორისო კონვენციები:

● კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ (ამ კონვენციის შექმნის ინიციატივა წამოვიდა ლათინური ამერიკის წარმომადგენელი კომისიის წევრებისაგან, გენერალურმა ასამბლეამ ეს კონვენცია მიიღო 1952 წლის 20 დეკემბერს, 640-ე (VII) რეზოლუციით. ხელმოწერის და რატიფიკაციისათვის გაიხსნა 31 მარტს, ძალაში შევიდა 1954 წლის 7 ივლისს).

● კონვენცია გათხოვილი ქალის ეროვნების შესახებ (გენერალურმა ასამბლეამ ეს კონვენცია მიიღო 1957 წლის 29 იანვარს, 1040-ე (XI) რეზოლუციით. ძალაში შევიდა 1958 წლის 11 აგვისტოს).

● კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების დაშვებისათვის მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრირების შესახებ (გენერალურმა ასამბლეამ ეს კონვენცია მიიღო 1962 წლის 7 ნოემბერს, 1763-ე (XVII) რეზოლუციით.

ხელმოწერის და რატიფიკაციისათვის გაი-ხსნა 1962 წლის 10 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1964 წლის 9 დეკემბერს).

ზემოთ ჩამოთვლილი კონვენციის პრინციპები და საკითხები აისახა თავდაპირველად „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციაში“ (1967), ხოლო მოგვიანებით „ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში“ (1970). ქალთა ადრეული კონვენციები, როგორც ვნახეთ ქალებთან დაკავშირებულ ერთ საკითხზე ორიენტირებული დოკუმენტებია, რადგან „ზოგადი რწმენის“ მიხედვით, ამ კონკრეტული სფეროს გარდა ქალების უფლებები საუკეთესოდ იყო დაცული ზოგადი ადამიანის უფლებების დამცავი დოკუმენტებით.

1967 წლის 7 ნოემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „დეკლარაცია ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“.

დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 11 მუხლისაგან; პრეამბულაში ნათქვამია, რომ მიუხედავად გაერთიანებული ერების წესდებისა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“, გაეროს სხვადასხვა რეზოლუციების, კონვენციებისა და რეკომენდაციებისა ვერ მოხერხდა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა. მიუხედავად იმ უზარმაზარი როლისა, რასაც ქალები ასრულებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი უფლებრივი მდგომარეობა ჩამოუვარდება კაცების უფლებრივ მდგომარეობას. დეკლარაციის თერთმეტი მუხლი შემდეგ საკითხებს ეხება:

1. ქალთა წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციას;
2. გმობს ზოგიერთი ქვეყნის კანონებს, წესებსა და ჩვეულებებს, რომლებიც ქალის დისკრიმინაციას უწყობენ ხელს;
3. მოუწოდებს ისეთი საზოგადოებრივი აზრის განმტკიცებისაკენ, რომელიც აღიარებს სქესთა თანაბარუფლებიანობას.
4. ქალთა პოლიტიკურ უფლებებს.

5. ქალთა უფლებებს მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ ეროვნება.

6. აღიარებს სქესთა თანასწორობას ქორწინებისას, ქორწინების დროს და გაყრისას.

7. მოუწოდებს წევრ ქვეყნებს შეცვალონ ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსების დისკრიმინაციული მუხლები.

8. მოუწოდებს ქვეყნებს შეიმუშაონ ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტური ზომები.

9. ეძღვნება განათლების მიღების მნიშვნელობას სქესთა შორის თანაბარუფლებიანობის შესახებ.

10. არეგულირებს სქესთა თანაბარუფლებიანობას ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

11. მოუწოდებს მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ „დანერგონ და განახორციელონ ამ დეკლარაციაში აღწერილი პრინციპები“.

ქალთა კონვენციის შესაქმნელად კომისიის თხუთმეტკაციანი ჯგუფი 1974 წლის 7-დან 17 იანვრამდე მუშაობდა მთავრობებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კონვენციის ჩატარების შემდეგ, 1974 წელს, 6-დან 17 დეკემბრამდე გამართულ 26-ე სხდომაზე კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ მიიღო „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ ტექსტი.

1979 წლის 19 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია.

კონვენციას „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ ხშირად უწოდებენ „ქალთა კონვენციას“ ან „ბილს ქალთა უფლებების შესახებ“, რადგან იგი ქალების უფლებების დამცველ კომპლექსურ დოკუმენტს წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ელემენტები.

კონვენციის ტექსტი შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან:

● კონვენციის პირველი მუხლი ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის განმარტებაა.

● 2-6 მუხლები ადგენენ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს რაც კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ, რომ მიიღწეს სქესთა შორის თანაბარუფლებიანობა.

● 6-16 მუხლები ეძღვნება დისკრიმინაციის სპეციფიკურ სფეროებს, კერძოდ, ქალთა და კაცთა თანაბარუფლებიანობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

● 17-22 მუხლები არეგულირებენ კონვენციის დანერგვის მონიტორინგის შემსრულებელი ორგანოს მუშაობას. იქმნება კომიტეტი ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, დგინდება სახელმწიფოების მიერ მოხსენებების წარდგენის პროცედურა და კომიტეტის შეხვედრის დრო და ვადები.

● კონვენციის 23-30 მუხლები კონვენციის რატიფიცირებისა და ძალაში შესვლის პროცედურას განსაზღვრავს.

კონვენცია ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს გენერალური ასამბლეის 36/131 რეზოლუციით.

ფემინისტი მკვლევარები ვერ თანხმდებოდნენ ქალთა ადამიანის უფლებების არტიკულაციისა და დანერგვის სტრატეგიებზე. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სელინა რომანი ფიქრობს, რომ ქალთა უფლებები უფრო ძლიერი და მრავლის მომცველი იქნება თუ, მათი გამოთქმა მოხდება „ქალებისავე ენით“ და არა ადამიანის უფლებების არსებულ დისკურსში, რომელიც მამაკაცური დომინირების გამო არარის საკმარისად მგრძნობიარე ქალების პრობლემებისადმი. სხვები, მაგალითად, ჰილარი ჩარლსვორსი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების დისკურსი იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობს უკვე მოიცავს ბერკეტებს ქალთა უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით ისეთ

საზოგადოებებში, სადაც ქალების უფლებების მძიმე დარღვევები ხდება.

რაც შეეხება დანერგვას, რეტეკა ქუკი ამ თვალსაზრისით სამ ძირითად მიდგომას გამოყოფს:

● **ლიბერალური ფემინიზმი** აღიარებს სქესთა თანაბარუფლებიანობის მიღწევის შესაძლებლობას არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. ეს მიდგომა არ არის საკმა-რისად მგრძნობიარე ძალთა იერარქიაში ქალების სხვადასხვაგვარი მდებარეობის და ამ მდებარეობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ.

● **კულტურული ფემინიზმი** აღიარებს რასობრივ განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის, ასეთი მიდგომა სახიფათოა, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს ქალების უფლებრივი გარიყვა.

● მესამე მიდგომა, **რატიკალურ ფემინისტების** სახით, მიზნად ისახავს მამაკაცთა მიერ დომინირებული სამყაროს ძირეულ შეცვლას. რადგან იგი ეფუძნება სხვადასხვა სახის უთანასწორობას, რომლებიც გამომდინარეობენ გენდერული უფლებების უთანასწორობიდან.

ამგვარი სახის დებატები კვლავ გრძელდება, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უკვე მოგვეპოვება კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლის გამოყენებაც შეიძლება ქალების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მრავალი ქვეყნის მიერ კონვენციის რატიფიცირება არ ნიშნავს, რომ ქალთა უფლებების დარღვევა ერთბაშად და სამუდამოდ აღმოიფხვრება, ქვეყნებს რომც არ ჰქონდეთ ამდენი შეზღუდვები კონვენციის სხვადასხვა მუხლებზე. კონვენციის რატიფიცირება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მისი პრინციპების დანერგვა ადგილობრივ კანონმდებლობებში კიდევ სხვაა, ხოლო ამ კანონების განხორციელება კიდევ სხვა. ეს სამივე საფეხური ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ წინამდებარე ეტაპების გარეშე, რაც გამოიხატა ქალთა უფლებრივი აზრის საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებაში ეს შემდგომი ეტაპები ვერ გახდებოდა შესაძლებელი.

მრავალრიცხოვანმა კვლევებმა და ანალიზმა, ჯერ კიდევ ადრეულ 1970-იან წლებში გაერო დაარწმუნა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს გასაღებს სიღარიბის დაძლევის და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების გზაზე. ამავე პერიოდში ძალას იკრებდა ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქალთა კვლევებს და ქალებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი გახადა საჯარო მსჯელობის საგანი. მიუხედავად შექმნილი რეალობისა პირველი საერთაშორისო განვითარების სტრატეგია, რომელიც განვითარების მეორე დეკადისათვის (1970-1980) შეიქმნა ქალების მდგომარეობაზე ძალიან მწირედ საუბრობდა. ამის პასუხად კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ გენერალურ ასამბლეას შესთავაზა რეზოლუცია, რომელიც წარმოადგენდა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო დონეზე მოქმედების პროგრამას. ეს რეზოლუცია (A/RES/2715 XXV) ასამბლეამ ერთხმად მიიღო 1970 წლის 15 დეკემბერს. გენერალურმა ასამბლეამ ორი წლის შემდეგ (1972 წელს), 1975 წელი ქალთა საერთაშორისო წელიწადად გამოაცხადა, რომლის ამოცანა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, როგორც გაეროს სისტემაში, ასევე ორგანიზაციის წევრ ქვეყნებშიც. 1974 წელს გაერომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეხიკოში 1975 წელს გამართულიყო პირველი მსოფლიო კონფერენცია ქალთა საკითხებზე.

ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები მეხიკოში (1975), კოპენჰაგენსა (1980) და ნაირობიში (1985) მიე-კუთვნებოდნენ 1970-1980-იან წლებში გაეროს ეგიდით ორგანიზებული ოცამდე კონფერენციის რიგს, თუმცადა თითოეული მათგანი თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით აბსოლუტურად უნიკალური იყო.

1975 წლის ქალთა წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია წარმოადგენდა პირველ გლობალურ მაღალი რანგის მთავრობათაშორის შეკრებას, რომელიც მთლიანად

ქალთა საკითხებს დაეთმო. ეს იყო ასევე პირველი შემთხვევა, როდესაც 1200 წარმომადგენელ დელეგატთა შორის 73%-ს. ქალები შეადგენდნენ, უფრო მეტიც 133 დელეგატიდან 113-ს ქალები ხელმძღვანელობდნენ.

კონფერენციამ მიიღო „მსოფლიო მოქმედებათა გეგმა ქალთა საერთაშორისო წლის ამოცანების შესასრულებლად“. ამ გეგმის მიხედვით, უნდა მომხდარიყო მსოფლიოს მასშტაბით ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება მომავალ ათწლეულში ანუ 1985 წლამდე. გეგმამ ქალთა მომრაობის მიერ წამოჭრილი საკითხები „თანასწორობის – განვითარება – მშვიდობის“ ჩარჩოში მოაქცია. ეს თემები იქცა მთავარ საკითხად, როგორც ამ ათწლეულის ისევე ქალთა საკითხებისადმი მიმღვნილი შემდგომი მსოფლიო კონფერენციებისათვის. კონფერენციის შედეგად გენერალურმა ასამბლეამ 1976-1985 წლები ქალთა დეკადად გამოაცხადა და გადაწყვდა დეკადის შუაში 1980 წელს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში შემდგომი კონფერენციის მოწყობა, რომელიც შეაფა-სებდა პლატფორმის შესრულების შუალედურ პროგრესს. ხოლო 1985 წელს კენიის დედაქალაქ ნაირობიში დაგეგმილი კონფერენცია კი, მთლიანი დეკადის შედეგებსა და მიღწევებს შეაჯამებდა.

მკვლევართა ანალიზმა აჩვენა, რომ მეხიკოში დასმულ ამოცანათა შესრულება ვერ მოხერხდა ქალთა დეკადაში, თუმცადა მრავალი სხვა დადებითი შედეგი იქნა მიღწეული. დადებითი შედეგი გახლავთ ის, რომ მოხდა მსოფლიოს მასშტაბით ქალთა მდგომარეობის (უფლებრივი, სოციალური თუ სხვა) გააზრება და განცხადება, უკეთესად ვიდრე ამ პერიოდამდე მომხდარა. ამ დეკადაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოაგროვა უზარმაზარი ინფორმაცია ქალთა საკითხების შესახებ, ასევე გამოაშვარავდა ის სირთულეები, რომლებიც მონაცემთა შეგროვებისას მათი სქესის მიხედვით განაწილებას ტოვებდა უყურადღებოდ. ამ მიგნებაზე დაყრდნობით გაერომ წევრ ქვეყნებს მოსთხოვა მონაცემთა შეგროვების მეთოდების იმგვარი დახვეწა, რომ

სქესის მიხე-დვით დესეგრირებული მასალა მოეპოვებინათ. ეს რეკომენდაცია განვითარებულმა ქვეყნებმა შეასრულეს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ შეუსრულებელი რჩება.

1985 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ნაირობის სამომავლო სტრატეგიები ქალთა წინსვლისათვის“ და ამავე დროს გადაწყდა ხუთწელიწადში ერთხელ ჩატარებულიყო მსოფლიოს მასშტაბით კვლევები ქალთა როლის შესახებ, რომელიც ნაირობის კონფერენციის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულებას გადაამოწმებდა. დეკადის შედეგად დამოკიდებულებამ ქალთა საკითხების მიმართ შეცვლა დაიწყო, ამის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ ნაირობის სამომავლო სტრატეგიები ქალთა წინსვლისათვის 157 წევრი ქვეყნის თანხმობით იქნა მიღებული, მაშინ, როდესაც ადრეულ კონფერენციებზე ამ ტიპის დოკუმენტების მიღება კენჭისყრით ხდებოდა. გაერთიანებული ერების სისტემაში კონსესუსით ანუ თანხმობით მიღებული კონფერენციის საბოლოო დოკუმენტი უფრო მეტად სავალ-დებულოა მთავრობისათვის შესასრულებლად, ვიდრე კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით მიღებული დოკუმენტი.

ვინაიდან დეკადამ ვერ შეასრულა დასმული ამოცანები „ნაირობის სამომავლო სტრატეგიები ქალთა წინსვლისათვის“ არ სვამდა ახალ ამოცანებს, არამედ სახავდა ახალ, გაუმჯობესებულ სტრატეგიებს დასმულ საკითხთა მისაღწევად 2000 წლისათვის. ამგვარად, გაეროს ქალთა დეკადა გარკვეულწილად გაგრძელდა 2000 წლამდე.

გაეროს ეგიდით ორგანიზებულ ქალთა მსოფლიო კონფერენციების უშუალო მონაწილეებს გაეროს წევრ სახელმწიფოთა სამთავრობო დელეგაციები წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურმა მონაწილეობამ კონფერენციის ე.წ. პარალელურ ღონისძიებებში უდიდესი როლი შეასრულა და დიდი გავლენა იქონია კონფერენციათა მსვლელობებსა და

დასკვნებზე. მეხივოს კონფერენციას 1 200 მთავრობის დელეგატთან ერთად 3 800 არასამთავრობო წევრი დაესწრო. ეს იყო სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე დიდი მონაწილეობა გაეროს ამ დრომდე ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციებს შორის. 1980 წლის კოპენჰაგენის კონფერენციას 7 000 მონაწილე, ნაირობის 1985 წლის კონფერენციას 1600 და 1955 წლის ბეიჯინგის (პეკინის) ქალთა მსოფლიო კონფერენციასა და ჰუაიროუს ფორუმს 50 000 მონაწილე დაესწრო.

ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციამ, რომელიც პეკინში გაიმართა თავი მოუყარა და კონცეპტუალურად გამართა ყველა ის საკითხი, რომელიც კი, როდესმე დასმულა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებების თვალსაზრისით. კონფერენცია 1995 წლის 4-დან 15 სექტემბრამდე ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართა. დელეგატთა უმრავლესობა სამართლიანად სვამდა კითხვას. ხომ არ ნიშნავდა პეკინში კონფერენციის ჩატარება ჩინეთის მთავრობის პოლიტიკური მხარდაჭერის გამოცხადებას ანუ მხარდაჭერას იმ რეჟიმისა, რომელსაც ბევრი არც თუ უსაფუძვლოდ ტოტალიტარულ და ადამიანის უფლებათა უგულვებელმყოფელ რეჟიმად მოიაზრებოდა? ამ პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამოდინარე, ბევრი მონაწილეობის მსურველი ქალი თავს იკავებდა ჩინეთში გამგზავრებისაგან. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმის გამართვა პეკინში იგეგმებოდა, მაგრამ საბოლოოდ დედაქალაქიდან 60 კილომეტრის მოშორებით შედარებით პატარა ქალაქ ჰუაიროუში გაიმართა. საერთაშორისო შეფასებით ბეიჯინგის იგივე პეკინის ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია დიდი წარმატებაა თავისი მოცულობითა და შინაარსით. კონფერენციას 189 სამთავრობო დელეგაცია დაესწრო. ეს ციფრი აღემატებოდა გაეროს ოდესმე ჩატარებულ კონფერენციებში მონაწილე სამთავრობო დელეგატთა რიცხვს. კონფერენციის უშუალო მონაწილე 17 000 ადამიანი იყო, აქედან 6 000 სამთავრობო წრეების წარმომადგენლები, 4 000 აკრედი-

ტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და 4 000 უურნალისტი და კიდევ ბევრი გაეროს თანამშრომელი. არასამთავრობო ორგანიზაციათა პერიოდში გამართულ ფორუმზე 30 000 მონაწილე ჩამოვიდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, პლიუს 5 000-მდე ჩინელი. თავისი მასშტაბითა და მრავალფეროვნებით ბეიჯინგის კონფერენცია და ჰუაიროუს ფორუმი ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა როგორც ვეტერანთა მსოფლიოს ქალთა კონფერენციების მონაწილეთათვის ასევე ახალბედებისათვისაც.

„ბეიჯინგის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის“ ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის ოფიციალური, საბოლოო დოკუმენტია.

ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმა აღწერს ქალთა მდგომარეობას გლობალურად და აქედან გამომდინარე, გამოკვეთს ზრუნვას, გნებავთ, წუხილის 12 კრიტიკულ სფეროს, რომლის დარეგულირების გზასაც, ასევე სახავს. ეს 12 კრიტიკული სფეროა:

1. სიღარიბე;
2. განათლება;
3. ჯანდაცვა;
4. ძალადობა ქალების წინააღმდეგ;
5. შეიარაღებული კონფლიქტები;
6. ეკონომიკა;
7. ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების დონეები;
8. ინსტიტუციური მექანიზმები;
9. ადამიანის უფლებები;
10. მედია;
11. გარემოს დაცვა;
12. გოგონათა მდგომარეობა;

მოქმედებათა პლატფორმაში ნათქვამია, რომ იგი წარმოადგენს ქალთა წინსვლისა და გამლიერების დღის წესრიგს. ამგვარად, აქცენტი აღარ კეთდება ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, არამედ მათ გამლიერებასა და

წინ-სვლაზე, ვინაიდან, პლატფორმის თვალთახედვით, მხოლოდ მამაკაცებთან თანასწორობა არ არის საკმარისი, იმისათვის, რომ ქალებმა მოახერხონ რეალური ცვლილებების მოხდენა და სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება გადა-წყვეტილების მიმღებ დონეებზე, საჭიროა მათი წინსვლისა და გაძლიერებისათვის ხელშეწყობა.

ქალთა კონვენციისაგან განსხვავებით, ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმა ამომწურავად ეხება ქალთა მიმართ მალადობის საკითხს და სახავს ამ პრობლემის გადაჭრის ქმედით გზებს. პლატფორმა ამახვილებს ყურადღებას ქალთა რეპროდუქციულ უფლებებზე და საუბრობს გოგონათა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის პრაქტიკის აღმოფხვრის საჭიროებებზე. პლატფორმა, ასევე პირველად და მკაფიოდ მოუწოდებს წევრ მთავრობებს მოახდინონ გენდერის ინტეგრირება ე.წ. მეინსტრიმინგი. მათ მიერ განხორ-ციელებული პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში.

ბეიჯინგის კონფერენციიდან ხუთი წლის შემდეგ, 2 000 წელს გაეროს აღარ დაუგეგმავს ახალი მსოფლიო კონფერენცია ქალთა საკითხებზე. ამის ნაცვლად ნიუ-იორკში, გაეროს სათაო ოფისში, გაიმართა გენერალური ასამბლეის სპეციალური სხდომა სათაურით „ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა ოცდამეერთე საუკუნეში“. ეს სხდომა ისტორიაში „ბეიჯინგ +5“ სახელითაც არის ცნობილი, მისი მიზანი ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის მუშაობის ხუთწლოვანი შეფასება იყო. სხდომა 5-დან 9 ივნისამდე გაიმართა და მას 178 წევრი ქვეყნის 2300 სამთავრობო დელეგაცია და 2000-დე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დაესწრო. „ბეიჯინგ-5“-ისათვის გაერომ წევრ ქვეყნებს დაუგზავნა კითხვარი, რომელზედაც პასუხების გაცემა იძლეოდა საშუალებას მოქმედებათა პლატფორმის ეფექტურობის შესაფასებლად. გაეროს 188 წევრი ქვეყნიდან 146-მა ქვეყანამ გამოგზავნა პასუხები ამ კითხვაზე, რაც 2000 წლის იანვარში აიკინძა და ერთიან პუბლიკაციად გამოსცა. ამ ანგარიშის პარალელურად

არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი ჩრდილოვანი ანგარიში მოამზადეს, სადაც სამთავრობო ანგარიში მოცემული დასკვნების გადამოწმება მოხდა. გენერალური ასამბლეის ამ საგანგებო სხდომის საბოლოო დოკუმენტს, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული წევრი ქვეყნების დელეგატთა მიერ წარმოადგენდა „პოლიტიკურ დევლარაციას და შემდგომ ნაბიჯებს და ინიციატივებს ბეიჯინგის დეკლარაციისა და მოქმედებათა პლატფორმის განსახორციელებლად“. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია მთავრობათა მიერ ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმით აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოქმედებათა პლატფორმის ზეგავლენა ზოგადად დადებითად შეფასდა და მისი განხორციელების ვადები გაგრძელდა კიდევ 5 წლით.

2005 წლის 28 თებერვლიდან 11 მარტამდე ისევ ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათაო ოფისში გაიმართა გაეროს „კომისიის ქალთა სტატუსის შესახებ“ რიგით 49-ე სხდომა.

ამ სხდომას წინ უძღვოდა მოსამზადებელი შეხვედრა ჟენევაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. მთავარი ამოცანა და მიზანი კომისიის 49-ე სხდომისა იყო ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმისა და 2000 წელს მიღებული დეკლარაციის განხორციელების შეფასება და შედეგებიდან გამომდინარე პლატფორმის ან განმტკიცება და გაძლიერება ან მისი სისუსტეების აღიარება და მიტევება.

მოსამზადებელმა სამუშაომ და შეფასებამ ნათლად წარმოაჩინა „ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის“ კონცეპტუალური ჩარჩოს ძლიერება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

აღინიშნა, რომ ზრუნვის ის 12 კრიტიკული სფერო, რომელსაც მოქმედებათა პლატფორმა კვეთს ათი წლის თავზეც აქტუალურია მრავალი ქვეყნის მოქალაქე ქალე-

ბისათვის და მიუხედავად „ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის“ სუსტი განხორციელებისა ეროვნულ დონე-ებზე ქვეყნების მთავრობების მიერ, გაერთიანებული ერების „ქალთა სტატუსის“ 49-ე სხდომამ თავისი დეკლარაციით მოახდინა მოქმედებათა პლატფორმის განმტკიცება ყოველ-გვარი ცვლილებებისა და შესწორებების გარეშე, მეტიც პლატფორმასთან შეერთებულ ქვეყნებს მოსთხოვა მისი განუხრელი და ეფექტური განხორციელება.

49-ე სხდომა 28 თებერვალს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გახსნა, ეს ფაქტი უკვე დასტურია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან ქალთა საკი-თხების სერიოზული მხარდაჭერისა. თავის სიტყვებში გენე-რალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საზოგადოების განვითარების ყველაზე სწორ და ძლევამოსილ გზას ქალთა გაძლიერება და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აბსოლუტურად აუცილებელია გენდერული უთანასწორობის დაძლევა დასაქმების სფეროში, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა საკანონმდებლო ორგანოსა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აღმოფხვრა.

კომისიის სხდომას 180-ზე მეტი სამთავრობო დელეგაცია ესწრებოდა და 6000-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ადევნებდა თვალს. პლატფორმის განმტკიცების საქმეში დიდია სწორედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომლებმაც ორგანიზებულად და ეფექტურად გაუწიეს წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგაციის ინიციატივას „პლატფორმის“ ტექსტში ქალთა რეპროდუქციული უფლებების ნაწილის ჩასწორების შესახებ. აშშ დელეგაციის ცვლილებების გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუარესებდა ქალთა არჩევანის თავისუფლებას ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისას.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს მხარი დაუჭირეს ევროკავშირის ქვეყნების დელეგატებმა და აქტიური ლობირების შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 4 მარტს

გაითხოვა წინადადება „პლატფორმის“ ტექსტში ცვლილების შეტანის შესახებ. არასამთავრობო და სამთავრობო დელეგატების ამგვარმა წარმატებულმა თანამშრომლობამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებული ქალთა მდგომარეობის სირთულის მიუხედავად საერთაშორისო დონეზე ქალთა საკითხებისადმი პროგრესული მიდგომა დომინირებს.

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ყველა ის მასშტაბური და მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში გაიმართა მისი დაარსების დღიდან, ვიდრე დღემდე.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს მიერ წევრ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის საერთაშორისო დონეზე ქალთა საკითხების ამგვარმა ქმედითმა დასმამ, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლთ შეუქმნა ნაყოფიერი გარემო მუშაობისათვის, ხოლო იმ სისუსტეებმა, რომლებიც შეინიშნება ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტების განხორციელებასთან მიმართებაში გამოავლინა მთავრობათა პოლიტიკური ნების ნაკლებობა ქალთა რეალური გაძლიერებისა და წინსვლისათვის ხელშეწყობის საქმეში.

ქალის ადამიანის უფლებების ინტერამერიკული კომისია და სასამართლო

დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერამერიკული სისტემა, რომელიც ქალის, ადამიანის უფლებების დამცველთა განსაკუთრებულ ინტერესებს იმსახურებს.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (OAS) არის რეგიონალური, სამთავრობოთაშორისი ორგანიზაცია, რომელშიც ამერიკის კონტინენტების ყველა სუვერენული სახელმწიფო შედის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკულ სისტემას სამი განსხვავებული სამართლებრივი წყარო გააჩნია:

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდება, ამერიკის დეკლარაცია (რომელიც ძალაშია სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე) და ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, წესდებას სავალდე-ბულო ძალა აქვს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. კონვენცია კი გამოიყენება მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მი-მართ, რომელმაც მისი რატიფიკაცია მოახდინეს.

ეს ორი სისტემა ხშირად არეგულირებს ისეთ საკითხებს, რომლებიც ორივე მათგანით არის მოწესრიგებული.

ინტერამერიკული სისტემა ადამიანის უფლებათა დაცვის რამდენიმე მექანიზმს გვთავაზობს, რომლებიც მოიცავენ შემდეგს:

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ორგანო, რომელიც ატარებს ინტერამერიკულ კონვენციას, იგი უზრუნველყოფს ინდივიდუალური საჩივრების განხილვას, ადგილზე გასვლას და საგანგებო დამცავ ღონისძიებებს განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო განიხილავს სადაო საკითხებს და იძლევა საკანონმდებლო დასკვნებს.

ქალის ადამიანის უფლებების ინტერამერიკული კომისია, რომელმაც სულ ახლახან წარმატებით გაართვა თავი ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ინტერამერიკული კონვენციის მიღებას, ხელს უწყობს ამ კონვენციის ცხოვრებაში გატარებას.

ინტერამერიკული კომისია და სასამართლო მზად არიან, განმარტონ ამერიკის კონვენციისა და დეკლარაციის ნორმები ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯის და აღმოფხვრის ახალი ინტერამერიკული კონვენციის შესაბამისად.

ეს ღონისძიება ბოლოს უღებს ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევების კერძოდ და საჯაროდ დაყოფას: ქალებს უფლება აქვთ, თავისუფალნი იყვნენ ძალადობისაგან თავიანთი კერძო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში; სახელმწიფოს არ შეუძლია გაამართლოს უმოქმედობა ძალადობის აქტების მიმართ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ დარღვევებს ადგილი აქვთ ე.წ. კერძო სფეროში (როგორიცაა ოჯახი).

ამგვარად, მოცემული ღონისძიება ადგენს მთავრობათა საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მიიღონ ზომები ქალის მირითადი უფლებების დასაცავად და იმ დარღვევებისაგან, რომლებიც მომდინარეობენ ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან.

1995 წელს კომისიამ გამოსცა უმკაცრესი მოხსენება ჰაიტზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სადაც ის გამოხატავდა მოსაზრებებს, რომ ქალთა გაუპატიუ-რება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს სათანადო ზომები. წინა წლებში კომისია ნაკლებ ყურადღებას უთ-

მობდა ქალის უფლებებს. იშვიათად და ზედაპირულად ინტერესდებოდა მისით.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის წევ-რები არიან დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) გენერალური ასამბლეის მიერ არიან არჩეულნი და რომელთაც ევალებათ, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და დაცვას, და გამოიძიონ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები.

კომისია წელიწადში ორჯერ იკრიბება ვაშინგტონში (კოლუმბიის ფედერალური ოლქი).

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ კომისიას გააჩნია საქმიანობის ორგვარი მექანიზმი, როგორც ინდივი-დუ-ალური საჩივრების განხილვა, ისე ზოგადი მიმოხი-ლვები ქვეყნების მიხედვით, რაც ემყარება იმ ადგილებზე ვიზიტს, საიდანაც მიღებული იყო შეტყობინება ადამიანის უფ-ლებათა დარღვევების თაობაზე.

მას შემდეგ, რაც კომისია სარჩელს მიიღებს, იგი ამოწმებს საქმეს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა იგი მიღებისათვის აუცილებელ ყველა კრიტერიუმს.

თუ ის აღმოაჩენს, რომ შეტყობინება მიღებული უნდა იქნას, იგი რეაგირებისათვის უგზავნის მას მთავრობას, რომლის წინააღმდეგაც საჩივარი არის მიმართული.

თუ მთავრობა არ პასუხობს, კომისიას შეუძლია რეკომენ-დაციის მიღება, თუმცადა რეკომენდაციას რეალურად მეტი წონა ექნებოდა, მთავრობა რომ ყოფილიყო ჩართული პროცესში.

თუ მთავრობა პასუხობს, მაშინ კომისია ცდილობს მეგობრულად გადაწყვიტოს საქმე. ინტერამერიკულ სისტე-მაში „მეგობრული გადაწყვეტილებები“ უნდა შეიცავდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღკვეთისაკენ მიმართულ სერიოზულ ღონისძიებების განხორციელებას. სხვა შემთხვევაში კომისია უარს იტყვის მათ გამოყენებაზე.

ქალის ადამიანის უფლებების დამცველებს შეუძლიათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კომისიის საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა როლის შესრულებით. ქალის უფლებების დამცველს შეუძლია ზეპირი მოხსენების გაკეთება კომისიის წინაშე. კომისია მიესალმება მის მუშაობაში მათ (მეგობრულ) მონაწილეობას. დამცველებს შეუძლიათ, მიიღონ იმ ადვოკატთა დახმარება, რომლებიც სპეციალიზირდებიან კომისიის წინაშე წარდგენილი დავების განხილვაში.

კომისიის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ მის არსენალში არსებული ერთადერთი საშუალება, არის მოხსენების შედგენა, რომელშიც მოცემული რეკომენდაციები შეიძლება მხოლოდ ზეწოლის შედეგად იქნას შესრულებული.

მეორე მხრივ ამ მოხსენებას შეუძლია გამოიწვიოს ქალის ადამიანის უფლებების დარღვევის საბოლოო აღკვეთა. OAS-ს საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, შეუძლია ზეწოლა მოახდინოს მთავრობაზე, სანამ ის არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

ფორუმები ღიაა საჩივრების მისაღებად და ქალის ადამიანის უფლებების შესახებ საქმეების განსახილველად. ადამიანის უფლებათა ძირითადი ნორმები და პროცედურები ამ სისტემაში კარგად არის განვითარებული.

კომისიას არ ეშინია, მტკიცე პოზიცია დაიკავოს ადამიანის უფლებათა სფეროში და გამოსცეს მთავრობათა გამაკრიტიკებელი გადაწყვეტილებები. ისევე, როგორც მოახდინოს მათზე ზეწოლა ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ზომების მისაღებად.

ქალის ადამიანის უფლებების დამცველმა ზოგიერთმა ორგანიზაციამ ასევე მიიღო გამოცდილება და ცოდნა კომისიისათვის ქალის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების წარმოდგენის საქმეში.

კომისიას კავშირი აქვს ქალის ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან და ღიაა ინფორმაციის მისაღებად და მასზე კომპეტენტური დასკვნის მისაღებად.

ქალის ადამიანის უფლებების დარღვევის იმ შემთხვევაზეც, რომლებიც ჩადენილია იმ პირთა მიერ, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე კომისიის მუშაობამ ინდივიდუალურ საქმეებზე საფუძველი ჩაუყარა ხანგრძლივ რეფორმას. რამაც ახალი ეროვნული სისტემების შექმნა გამოიწვია, რომლებიც მოწოდებულნი არიან, ადგილებზე გამოასწორონ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობა.

საჩივრის მიღებიდან განხილვას შეიძლება ერთი ან ორი წელი დასჭირდეს. დავა, სულ მცირე, ორ წელს გრძელდება, რაც დაკავშირებულია დროისა და რესურსების მნიშვნელოვან ხარჯებთან. ამ პროცესმა შეიძლება გული აუცრუოს იმ ქალს ან ქალებს, რომლებიც დავაში ჩაეტმებიან.

საქმის შეტანა კომისიაში დაკავშირებულია რისკთან, რომ საქმე შეიძლება წაგებული იქნას ან სამართალ-წარმოებაში შეცდომა იქნას დაშვებული. დამცველებს სურთ, რომ მათი საქმიანობა პოზიტიური და არა ნეგატიური პრეცენდენტის შექმნის საფუძველი გახდეს.

ყოველ პიროვნებას თუ ადამიანის უფლებათა დამცველ ჯგუფს ამერიკის კონტინენტზე აქვს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს დაცვის ამ მექანიზმზე.

კომისია ემზადება ვიზიტისათვის არსებული ინფორმაციის შესწავლით. კონკრეტული ქვეყნის იურიდიული კურატორი, ისევე როგორც კომისიის აპარატის წარმომადგენლები და კომისიის წევრები, გეგმავენ ქვეყანაში ჩასატარებელ შეხვედრებს და ძიებას.

ვიზიტები, ჩვეულებრივ ორ კვირას გრძელდება, რამდენიმე დღე ეთმობა ინდივიდუალური საჩივრის ან აღიარების მიღებას ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფებისაგან

ამერიკის კონვენციის ან ამერიკის დეკლარაციის დარღვევის ფაქტების შესახებ.

ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ კომისიის აპარატმა შეიძლება დამატებითი ინფორმაცია მიიღოს.

შემდეგ ისინი ამზადებენ მოხსენებას, სადაც ასახულია ადამიანის უფლებათა დარღვევის აღმოჩენილი ფაქტები და ასევე მასში იძლევიან ინფორმაციას იმ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ისტორიისა და კონტექსტის შესახებ და რეკომენდაციას იძლევიან, თუ რა სახის ღონი-სძიება უნდა იქნას გამოყენებული, რათა აღმოიფხვრას ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები.

მოხსენება ქვეყნდება და ვრცელდება საჯაროდ, ასევე გადაეცემა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, რომელიც შეიძლება შეუერთდეს კომისიას ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დაგმობაში და მოუწოდოს მთავრობას, გამოასწოროს მდგომარეობა.

დამცველებს შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა, როგორც პროცესზე, ასევე მოხსენებაზე იმით, რომ პირდაპირ დაუკავშირდნენ კომისიას და სთხოვონ მას, შეამოწმონ ქალის ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები მისი მოსალო-დნელ ადგილზე ვიზიტისას.

მათ შესაძლოა დაგეგმონ კომისიასთან შეხვედრა მისი ვიზიტის დროს, სადაც მას წარუდგენენ ქალის ადამიანის უფლებების დარღვევის დამადასტურებელ მტკიცებულებებს და ქალის ადამიანის უფლებების სფეროში ქვეყანაში არსებულ საერთო მდგომარეობას.

ეს წარდგინებები წერილობითი თუ ზეპირი, შესაძლოა ფართო იყოს და მოიცავდეს სისტემურ ან საზოგადოებრივ საკითხებს, მაგრამ ისინი ასევე უნდა შეიცავდნენ იმის ანალიზს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ამერიკის კონვენცია ან ამერიკის დეკლარაცია ამ სფეროს რეფორმებისათვის.

დამცველებს შეუძლიათ, წაახალისონ ქალები, რომელიც, შესაძლოა, ანონიმებადაც დარჩნენ ან მათმა წარმომად-

გენლებმა, წარადგინონ ჩვენებები კომისიის მიერ საჩივრების მისაღებად გამოყენებული დროის განმავლობაში.

დამცველები კომისიასთან კონტაქტში უნდა დარჩნენ მოხსენებების გამოქვეყნების შემდეგაც, რათა წაახალისონ მონიტორინგი და ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის შემდგომი შესწავლა. მოხსენება შეიძლება გამოყენებულ იქნას, პოლიტიკური თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მთავრობაზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა მან შეასრულოს კომისიის რეკომენ-დაციები. დამცველებს შეუძლიათ ასევე უჩვენონ კომისიას, რეკომენ-დაცია გაუწიოს პრევენციული ზომების გამოყენების და სისტემური ცვლილებების შეტანას ქვეყნის სამარ-თლებრივ სფეროში, ისევე როგორც მთავრობის პოლი-ტიკაში, რათა წაახალისონ და დაიცვან ქალის ადა-მიანის უფლებები.

მოხსენება უზრუნველყოფს იმას, რომ ხელი შეუწყოს ქალის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღიარებას. იგი შეიცავს სპეციალურ დასკვნებს და რეკომენ-დაციებს და მოუწოდებს მთავრობებს, მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული და აღიკვეთოს ქალის ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები.

კომისიის მიერ მთავრობის მისამართით გაკეთებული რეკომენდაციები, რომლებიც შეიცავენ სისტემური რეფორმების ჩატარებას და, ჩვეულებრივ, შეადგენენ ადგილზე ვიზიტების შესახებ კომისიის მოხსენების შემადგენელ ნაწილს, პრაქტიკულად შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პოლიტიკური ზეგავლენის მეშვეობით.

ადგილზე ვიზიტები მიმართულია სისტემური საკითხების შესასწავლად, იმ ქალებს, რომლებიც ინდივიდუალურ ჩვენებებს იძლევიან, შესაძლოა იმედი გაუცრუვდეთ იმის დანახვისას, რომ მათი საქმეები უმაღლესი პრიორიტეტებით არ სარგებლობენ. თავისი ვიზიტების დროს კომისია ბევრ პიროვნებას უსმენს, მაგრამ მოგვიანებით შესაძლოა კომისია ვერ დაუკავშირდეს მათ შედეგების შეტყობინების მიზნით.

ეს პროცესი Ad-hoc პრინციპით მიმდინარეობს და პრაქტიკაში დამოკიდებულია მთავრობის სურვილზე, მონაწილეობა მიიღოს მასში და უზრუნველყოს კომისია უსაფრთხო პირობებითა და იმ საჭირო ინფორმაციით, რაც აუცილებელია მის მიერ მიების ჩასატარებლად.

მთავრობებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ პროცესს და ადრე ხშირად ასეც მომხდარა. კომისიის აპარატმა ყოველთვის არ იცის ქალის ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფების არსებობის შესახებ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ის ეწვევა ხოლმე, ამიტომ კონტაქტის დამყარება და ლობირება განხორციელებული უნდა იქნას ქალის ადამიანის უფლებების დამცველთა მიერ.

ინტერამერიკული სასამართლო, რომელიც შეიქმნა ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციით, შედგება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილი და არჩეული 7 მოსამართლისაგან. მოსამართლე უნდა იყოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ იგი იყოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე.

მოსამართლეებს ირჩევენ 6 წლის ვადით; ისინი შეიძლება კვლავ იყვნენ არჩეული ახალი ვადით. სასამართლო, რომელიც ყოველწლიურად, სულ მცირე ორ სესიას ატარებს, იკრიბება კოსტა რიკაში.

სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ საქმე განსახილველად მიღებულია, რაკი კომისიამ უკვე მიმართა ამ საკითხზე, ან მთავრობას შეუძლია მოითხოვოს საჩივრის მიღება სასამართლოსაგან. ამ შემთხვევაში, სასამართლო შეაფასებს, რამდენად არის ამოწურული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ქვეყნის შიგნით ან რამდენად არსებობს გამონაკლისი, განიხილავს და დაადგენს სხვა მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია საქმის მისაღებად. სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ საქმე განსახილველად მიღებულია, რაკი კომისიამ უკვე მიმართა ამ საკითხზე, ან მთავრობას შეუძლია მოითხოვოს საჩივრის მიღება

სასამართლოსაგან. ამ შემთხვევაში, სასამართლო შეაფა-სებს, რამდენად არის ამოწურული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ქვეყნის შიგნით ან რამდენად არსებობს გამონაკლისი, განიხილავს და დაადგენს სხვა მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია საქმის მისაღებად.

თუ სასამართლო აღმოაჩენს ამერიკული კონვენციის დარღვევის ფაქტს, მას შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება უფლების დარღვევის გამოსწორებისა და დაზარალებული მხარისათვის სათანადო კომპენსაციის გაცემის თაობაზე.

როგორც ვი გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, მისი აღსრულება მთავრობის საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება ხდება. თუ მთავრობა არ დაემორჩილება გადაწყვეტილებას, სასამართლომ შეიძლება მოაწყოს საქმის ხელმეორე მოსმენა და დაადგინოს დამატებითი კომპენსაცია სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობით გამოწვეული ზიანისათვის.

დამცველებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ინტერამერიკულ კომისიასთან საქმესთან დაკავშირებით. ამ პროცესში ადგილობრივ დამცველის მონაწილეობა აუცილებელია, რადგან ის უკეთ იცნობს ადგილობრივ პრობლემებს და ეროვნულ სამართლებრივ სისტემას. მას შემდეგ, რაც ეროვნულ სასამართლოს დაევალება ინდივიდუალური სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გან-ხორციელება, ადგილობრივ დამცველს შეუძლია ხელი შეუწყოს პროცესის სწრაფად დასრულებას ეროვნულ სასამართლოში საქმის ნამდვილად მოსმენის უზრუნველყოფით.

საკონსულტაციო დასკვნისათვის, ინტერამერიკულმა კომისიამ ან მთავრობამ შეიძლება სთხოვოს ინტერამერიკულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის ჩამოყალიბება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ან „იმ ხელშეკრულების“ დებულებების ინტერპრეტაცია, რომელიც ინტერამერიკულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება.

სასამართლო იკრიბება კოსტა რიკაში, ახდენს ანალიზს და იღებს გადაწყვეტილებას, როგორ უნდა განმარტოს ხელშეკრულება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და აქვეყნებს საკონსულტაციო დასკვნას.

თუკი აღმოჩენილია ამერიკული კონვენციის დარღვევის ფაქტი, სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება დაზარალებული ქალის „დარღვეული უფლებებისა და თავისუფლების აღდგენის თაობაზე“. გარდა ამისა, სასამართლომ უნდა დაადგინოს „თუ აუცილებელია“, რომ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევით გამოწვეული ყველა შედეგის გამოსწორება და კომპენსირება (მუხლი 63(I)).

კომპენსაცია ხდება ფულადი თანხის გადახდით იმ ადამიანისადმი, ვისი უფლებაც დაირღვა. ის შეიცავს კომპენსაციას დაკარგული ხელფასისათვის და მიყენებული ზიანით გამოწვეული ნებისმიერი სხვა დანაკარგისათვის, სამედი-ცინო ხარჯებს, კომპენსაციას მიყენებული ტანჯვისათვის და ტკივილისათვის.

ინტერამერიკული სასამართლო ღრმა პატივისცემით სარგებლობს უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებაშიც, აქცევს რა მას საზოგადოების ცნობიერებისათვის ამაღლების კარგ საშუალებად ქალის ადამიანის უფლებების განხორციელების საკითხებში. დღეისათვის სასამართლო გამოდის როგორც ორგანო, რომელსაც შეუძლია დაიცვას და თანმიმდევრულად განავითაროს ქალის ადამიანის უფლებები.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები ფართოა, რამდენადაც ქალები, რომელთა უფლებებიც დაირღვა, იღებენ კომპენსაციას და დაცვის კონკრეტულ საშუალებებს, ისევე როგორც მომავალში მათი უფლებების დაცვის გარანტიას.

ქალის უფლებების დაცვის ხელშეწყობისათვის მაგალითად, 1984 წელს ინტერამერიკულმა სასამართლომ გამოაქვეყნა საკონსულტაციო დასკვნა კოსტა რიკაში მისაღებ ნატურალიზაციის კანონებთან დაკავშირებით, რომლებიც

იქნებოდა დისკრიმინაციული ქალთა მიმართ, რადგან კონსტრუქციულ მამაკაცებს ავტომატურად ეძლეოდათ მათი უცხოელი მეუღლეების ნატურალიზაციის უფლება, მაშინ, როდესაც კოსტა რიკელ ქალებს ასეთი უფლება არ ეძლეოდათ.

სასამართლომ ამერიკული კონვენციის ნორმები განმარტა CEDAM_ისა და ქალის ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტაციის გამოყენებით, რომლებიც ის ის იყო მალაში შევიდა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროისათვის.

სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის სტილი და გადმოცემის მანერა ქალის ადამიანის უფლებების განვითარების პროცესის გამოხატულებაა. ის წარმოადგენს მომავალში ქალის ადამიანის უფლებების წინ წამოწევისა და ცხოვრებაში დანერგვის მნიშვნელოვან იარაღს.

ინტერამერიკული კონვენცია ქალის მიმართ მალადობის აცილების, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ, რომელიც მალაში შევიდა 1985 წლის მარტში, სთავაზობს ახალ მექანიზმს ქალებს, რომელთაც განიცადეს მალადობის სხვადასხვაგვარი გამოვლინება. იმ საქმეების გარდა, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ კომისიაში, ახალი კონვენცია განსაზღვრავს საქმეებს, რომელთა გაგზავნაც შესაძლებელია ქალის საკითხების ინტერამერიკულ კომისიაში, გადაწყვეტილების გამოსატანად.

კონვენცია განმარტავს ქალის მიმართ მალადობას, როგორც ნებისმიერ ქმედებას ან ქცევას, დაფუძნებულს სქესობრივ განსხვავებებზე, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი, ან ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა მიაყენა ქალს, მიუხედავად იმისა, ჩადენილ იქნა იგი საზოგადოებრივ თუ კერძო სფეროში (მუხლი I).

იმ ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს, რომლებმაც მოახდინეს ახალი კონვენციის რატიფიკაცია, შეუძლიათ მისი გამოყენება. კონვენცია უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ პირს,

ადამიანის ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია წარადგინოს პეტიცია ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ კომისიაში იმ საჩივრების თაობაზე, რომლებიც ეხება სახელმწიფოს მიერ მე-7 მუხლის დარღვევას.

იმ ქვეყანაში მცხოვრებ ქალებს, რომლებსაც კონვენციის რატიფიკაცია არ მოუხდენიათ, მის აღმასრულებელ მექანიზმზე ხელი მიუწვდებათ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის მეშვეობით. ასეთი პეტიციები პირდაპირ კომისიას უნდა წარედგინოს.

არსებითი მოთხოვნები: ქალებმა კონვენციის ხელისმომწერი ქვეყნიდან უნდა დაამტკიცონ ქალის მიმართ ძალადობის შესახებ ინტერამერიკული კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი და წარადგინონ მტკიცებულებები, რომლებიც ასეთი ფაქტის არსებობას ადასტურებენ.

ქალებმა იმ ქვეყნებიდან, რომელთაც ხელი არ მოუწერიათ კონვენციაზე, უნდა საჯაროდ მოითხოვონ, რომ ამერიკის კონვენცია ან ამერიკის დეკლარაცია, რომლებიც არიან კომისიის იურისდიქციის ქვეშ, განიმარტოს ქალის მიმართ ძალადობის ახალი ინტერამერიკული კონვენციის შესაბა-მისად. მათ უნდა განაგრძონ მტკიცება, რომ მოცემული შემთხვევა და მთავრობის წარუმატებლობა ქალის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში შეადგენს ამერიკის კონვენციის და ამერიკის დეკლარაციის ნორმების დარღვევას.

საჩივარი წარდგენილი უნდა იქნას ეროვნულ სასამართლო სისტემაში საქმის წარმოების უკანასკნელი პროცედურის დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში. მასში ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ქვეყნის შიგნით საქმის განხილვის ყველა შესაძლებლობა ამოწურულია ან არაეფექტურია.

საჩივარი წარდგენილი უნდა იყოს პირის, პირთა ჯგუფის და ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელიც წარმოადგენს პირს (პირებს), რომლის უფლებაც დაირღვა.

პროცედურის დასასრულს ქალის საკითხების ინტერამერიკული კომისია ან უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ

მთავრობასთან მოლაპარაკებების შედეგად მოჰყვა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სათანადოდ დაიცავს საქმეში ჩართული ქალის ან ქალების უფლებებს. ან გამოაქვეყნოს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ოფიციალურად ნათელყოფენ, ქალის მიმართ ძალადობის კონვენციის ნორმებიდან გამომდინარე, პქონდა თუ არა ადგილი ქალის ადამიანის უფლებების დარღვევას.

თუკი ასეთ დარღვევას პქონდა ადგილი, კომისიამ უნდა გაუწიოს რეკომენდაცია „ზომებს, აუცილებელს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დარღვევა არ განმეორდეს“.

ეს ზომები გულისხმობს, სულ მცირე მთავრობის მხრიდან აღნიშნული საკითხის გამომიებას, ადამიანის უფლებათა დარღვევის სასამართლოში მიცემას და დასჯას, ქალისათვის მიყენებული ფიზიკური და მორალური ზარალის კონპენსაციას.

თუ მთავრობა არ დაემორჩილება კომისიის რეკომენდაციებს განსაზღვრულ დროში (ჩვეულებრივ ეს არის სამი თვე), კომისიას ან მომჩივანს (ქალი ან არასამთავრობო ორგანიზაცია), შეუძლია საქმე შეიტანოს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ სასამართლოში, თუკი ქვეყანა, რომლის წინააღმდეგ ეს საჩივარია მიმართული, აღიარებს ამ სასამართლოს იურისდიქციას.

ქალები არჩევნებში

და

გზა პოლიტიკისაკენ

„მთავარია, გიყვარდეს დემოკრატია, იცავდე მას, ხოლო მისი „მტრების“ გასანადგურებლად ყველა საშუალება გამოდგება“.

პორჯ თრუელი

ფემინიზმის თანამედროვე თეორეტიკოსები ზოგადად ფემინიზმის განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალების საარჩევნო პროცესში მონაწილეობას. ისინი არჩევნებს თვლიან:

- პირველ რიგში „სოციალური კონტროლის ინსტრუმენტად“,
- მეორე „ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საშუალებად“.
- მესამეც „ქალების პოლიტიკური მობილიზების საშუალებად, ვინაიდან არჩევნები – ეს არის პოლიტიკური მონაწილეობის სწავლების ფორმა და არჩევით თანამდებობაზე არჩევის ინსტრუმენტი“.

ქალების ისტორია ამერიკული საზოგადოების ირონიულობისა და წინააღმდეგობრიობის კარგ მაგალითს წარმოადგენს. მართალია, ქალები ყოველთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ მათ მაინც ხშირად უმცირესობად განიხილავენ, რომელსაც განკუთვნილი აქვს ცალკე „ადგილი“ (თუ რა ადგილი, ამაზე ზევით აღვნიშნეთ) სოციალურ წესრიგში, გადაკეტილი აქვთ გზა კარიერისა-კენ და, მითუმეტეს, ძალაუფლებისაკენ და განიხილებიან, როგორც დამოკიდებელი, სუსტი და თავისი ბუნებით „მორჩილი“ ფენა.

მეორე მხრივ, სხვა უმცირესობების მსგავსად, ქალები არ ცხოვრობენ ერთად „გეტოებში“. მათზე არის მოთხოვნა ყველა რეგიონში, კლასსა თუ სოციალურ ჯგუფში და ხშირად უფრო ახლოს არიან თავიანთ „მჩაგვრელებთან“, ვიდრე ერთმანეთთან. ამიტომ, როგორც ამერიკელი მეცნიერი უილიამ ჩეითი წერს: „ქალების გამოცდილებით კაცების ყოველი ცდა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ორივე სქესის ერთიანობასა და ამასთან ერთად განსხვავებას“.

ჩვენც ამას ვითვალისწინებთ და მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია, ნებისმიერი ქვეყნის ისტორია, არ შეიძლება გავყოთ ცალკეულ სქემების ისტორიად, მაინც გამოვყოფთ ქალს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გავარკვიოთ მისი ადგილი ქვეყნის საზოგადოებრივ, კონკრეტულად კი პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენ ვსვამთ კონკრეტულ კითხვას: რა მონაწილეობას იღებს ქალი არჩევნებში, ანუ როგორ იყენებს ის ამ ერთ-ერთ ძირითად სამოქალაქო უფლებას ამერიკაში?

მართალია, ქალი როგორც ამომრჩეველი ბევრგან კაცზე უფრო აქტიურია, მაგრამ ეს აქტიურობა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება. ასარჩევ კანდიდატებს შორის კი ნებისმიერ დონეზე ქალების რაოდენობა კაცებისას მკვეთრად ჩამორჩება. ამ მხრივ არც ამერიკის შეერთებული შტატებია გამონაკლისი.

კონსტიტუციის მე-19 შესწორების ძალით 1920 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვების შემდეგ ამერიკელი ქალები ჩაერთვნენ საარჩევნო პროცესში. მათ „სიმბოლურად დატოვეს ოჯახები“. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ქალები ერთგვაროვანნი არ არიან. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასობრივი, სოციალური, ეროვნული თვალსაზრისით. ეს განსხვავება უფრო საგრძნობია, ვიდრე მათი ერთიანობა.

არც საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლისას იყვნენ ისინი ერთიანნი. ყველა ქალს არ სურდა ამ უფლებების მოპოვება. ანტისუფრაჟისტულ მოძრაობაში კაცებთან ერთად

ქალებიც მონაწილეობდნენ. ალბათ ამიტომაც ქალების აქტიურობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კონკრეტულად არჩევნებში, უფრო მეტად მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში გაიზარდა, ქალთა მომრაობის ე.წ. მეორე ტალღის ფემინისტთა (1960-1970-იანი წლები) შედეგად.

მას შემდეგ ქალი-ამომრჩევლების რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდა. მაგალითად, 1980 წელს კაცი-ამომრჩევლები 74,1 მლნ იყო, ქალი კი 83 მლნ. 1998 წელს უკვე კაცი-ამომრჩევლები 95,2 მლნ-ს შეადგენდნენ, ქალები კი 103 მლნ-ს. სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ახალგაზრდა ქალები, ინტელიგენციის ყველაზე განათლებული ნაწილი და აფრო-ამერიკელები.

ქალების საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობასთან, შესაბამისად არჩევნებში მათ აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით, შეერთებულ შტატებში დღეს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

იქ არსებობს განსხვავებული ლიბერალური და კონსერვატიული შეხედულება. კონსერვატიული დამოკიდებულების გამომხატველია 1992 წელს ვაშინგტონში შექმნილი ე.წ. „ქალთა საკითხების“ დამოუკიდებელ ქალთა ფორუმი, რომლის მიზანია აჩვენოს, რომ ყველა ამომრჩეველი ქალი ერთნაირად არ ფიქრობს და რომ ქალებს არა მარტო ე.წ. „ქალთა საკითხები“ (ანუ საშინაო სოციალური და არა გლობალური პოლიტიკის, განიარაღების და სხვა მსგავსი პრობლემები) აღელვებთ, არამედ ისინი არ არიან ერთიანი მონოლითური ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ „ლიბერალური“ ინტერესები აქვს.

მაინც, როგორია ამერიკელი ქალების არჩევნებში მონაწილეობის სურათი, ძირითადად, ვის აძლევენ ისინი თავიანთ ხმებს?

საინტერესო დასკვნებს აკეთებს ფრანგი მეცნიერი მარიეტ სინო. მისი აზრით, „სტატისტიკაც ამას ადასტურებს, რომ

ომის შემდგომ პირველ ათწლეულებში ქალი-ამომრჩევლის უმრავლესობა ხმას აძლევდა კონსერვატიულ ძალებს (პარტიებს) განსაკუთრებით კათოლიკურ ქვეყნებში, მაგრამ არც ჩრდილოეთ ამერიკა იყო გამონაკლისი. კანადასა და შეერთებულ შტატებშიც იგივე ხდებოდა. ქალების უმრავლესობა „კონსერვატორებს“ აძლევდა ხმას. მაგრამ ამის მიზეზები ბოლომდე არ არის გარკვეული“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი რელიგიური თუ სოციალური ცვლილებები პოლიტიკური ცვლილებების მიზეზიც გახდა. კათოლიკურ ქვეყნებში არსებული კონსერვატიზმის ფესვები რელიგიაში უნდა ვეძებოთ. მორწმუნეთა უმრავლესობა უმეტესად ხანში შესული ქალები იყვნენ. ამიტომაც შეიძლება აიხსნას მათი სიმპათიები მემარჯვენე პარტიებისადმი და მტრობა მარქსიზმისადმი. თანდათანობით, 1970 წლებში, ქალების არჩევანი კაცებისას დაუახლოვდა. ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ევოლუცია შეიძლება დამთავრდეს მაშინ, როდესაც აღარ იქნება განსხვავება კაცების და ქალების პოლიტიკურ საქციელს შორის.

მაგრამ 1980-იან წლებში ქალებმა კაცებზე მეტად მარცხნივ გადაინაცვლეს. ასეთი მოვლენა დაიწყო შეერთებულ შტატებში 1980 წელს, როდესაც ქალებმა გამოავლინეს „ანტირეიგანული“ ტენდენციები.

ქალები ასევე კაცებზე მეტად პაციფისტები არიან და გამოდიან ბირთვული იარაღის წინააღმდეგ, საერთოდ ძალის გამოყენების წინააღმდეგ. მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას და ყველაზე აქტიურად უჭერენ მხარს სოციალურ რეფორმებს, უფრო მგრძნობიარენი არიან გარემოს დაცვის საკითხებისადმი და, რაც მთავარია, ისინი უფრო ფემინისტები არიან.

ქალების ხმების გამემარცხენების ერთ-ერთი მიზეზია მათი სოციალური მდგომარეობის შეცვლა. 1970-იან წლებში ქალებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულ სფეროების დემოკრატიზაციაში (საშუალო და უმაღლესი

განათლების სფეროში, ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი გააქტი-ურების თვალსაზრისით).

ახალგაზრდა ქალები უფრო მეამბოხეები არიან და ამიტომაც ისინი მემარცხენე პარტიების მხარდამჭერები არიან, ვიდრე ამავე თაობის მამაკაცები.

ჩრდილოეთ ამერიკაში ფემინისტები მხარს უჭერენ უფრო რეალისტურ, უფრო პოლიტიკურ დამოვიდებულებას, ანუ ისინი საკმაოდ აქტიურები არიან არჩევნებისას. მხარდამჭერების მომრავლების წყალობით და საარჩევნო ყუთის „ხელში ჩაგდების“ გზით მათ გარკვეულ სასურველ შედეგებს მიაღწიეს. საბოლოო ჯამში, ასეთ სტრატეგიას ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდა მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში, სადაც მრავალი წელია ძლიერი ფემინისტური მოძრაობა არსებობს, სენატსა და კონგრესში ქალი სენატორებისა და კონგრესმენების პატარა ჯგუფია. 2001 წლისათვის შტატებში ეს მაჩვენებელი 13,6%-მდე გაიზარდა (აქედან სენატში 13%-ია, წარმომადგენელთა პალატაში_13,8%). ამგვარად, ბოლო 10 წელიწადში ეს მონაცემები 2-ჯერ და მეტად გაიზარდა (1989 წელს შესაბამისად იყო 5% და 58%).

ტრადიციულად ითვლება, რომ ქალის საქმე ძირითადად სოციალური სფეროა, კაცის-პოლიტიკა. ამიტომ, ჩვეულებრივ, მთავრობაში კაცებს უკავიათ საგარეო საქმეთა, თავდაცვის, საშინაო საქმეების, იუსტიციის, ეკონომიკის, ვაჭრობის მინისტრების თანამდებობები. ქალებს კი – სხვადასხვა სოციალური კულტურის მინისტრების.

ნათელია, რომ პოლიტიკური ელიტის ფემინიზაცია შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ რეალური თანამშრომლობის, ქალების მაღალი კვალიფიკაციის (იგულისხმება კარგი განათლება, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი უნარ-ჩვევები) შემთხვევაში.

ქალებს და უმცირესობათა ჯგუფებს დიდი ხნის განმავლობაში არავინ წარმოადგენდა კონგრესში. „საარჩევნო

უფლებათა აქტის“ 1982 წლის შესწორებებმა ცვლილებები შეიტანეს საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენაში.

1992 წელი აღიარებული იყო „ქალთა წელიწადად“, ამიტომ ამ წლის არჩევნების დროს წარმომადგენლობით პალატის წევრობის კანდიდატად დასახელდა ქალთა რეკორდული რიცხვი – 106. პალატაში არჩეულ იქნა 19 ახალი ქალი წევრი. ამდენად, აქ, ქალების საერთო რიცხვმა 47-ს მიაღწია. სენატში აირჩიეს 4 ახალი ქალი. ამდენად, ქალების რიცხვი გასამკეცდა ორიდან – ექვსამდე.

ახალ სენატორ ქალთა შორის იყო კეროლ მოზლი ბრაუნი – პირველი აფრო-ამერიკელი ქალი. მართალია, პრეტენდენტისათვის ძნელია კონგრესის რომელიმე ინკუნბენტი წევრის დამარცხება, მაგრამ 1992 წელს კალიფორნიელმა დაიანა ფაინსტაინმა ეს შეძლო. კალიფორნიელმა დემოკრატმა ბარბარა ბოქსერმა ასევე გაიმარჯვა არჩევნებში. ამ წარმატების მიუხედავად, უმცირესობამ და ქალებმა ჯერ მაინც ვერ მიაღწიეს პროპორციულ წარმომადგენლობას ვერც პალატასა და ვერც სენატში.

მიუხედავად ბოლო დროს მიღწეული წარმატებებისა ბევრ სფეროს ჯერ მხოლოდ კაცები აკონტროლებენ. პროფესიონალი ქალები კი მათი ხელფასების მხოლოდ 73 %-ს იღებენ. მაგრამ ცალკეულ სფეროში მოხდა გარღვევა. მაგალითად, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს მან პირობა დადო, რომ მინისტრთა კაბინეტს „უფრო ამერიკულს“ გახდიდა. ამ მიზნით მან კაბინეტის მდივნების პოსტების კანდიდატად თავიდანვე შეარჩია 4 შავკანიანი, 2 ესპანურ-ენოვანი პიროვნება და 3 ქალი. ამასთან, ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს უფროსად ესპანურ-ენოვანი ლაურა დე ’ანდრია ტაისონი, ხოლო გარემოს დაცვის სამმართველოს ხელ-მძღვანელად შავკანიანი ქეროლ ბრაუნერი დანიშნა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ საფუძველი ჩაეყარა ახალ ტენდენციას მაღალ თანამდებობებზე უმცირესობათა წარმომადგენლებისა და ქალთა დანიშვნას.

კლინტონის ადმინისტრაციაში სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრი იყო დორი შეილა ი. ჟიდნოლი, რომ არაფერი ვთქვათ მედელინ ოლბრაიტზე, რომელიც პირველი ქალი იყო სახელმწიფო მდივნის პოსტზე. მარტო ეს ორი მაგალითი, პლიუს კონდოლიზა რაისიც, მეტყველებს იმაზე, რომ ქალებს შესაძლებლობა მიეცათ შეეღწიათ კაცების ტრადიციულ სფეროებში, თანაც ასეთ მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

პოლიტიკოსი ქალები

„მსოფლიო უკეთესი იქნება, თუ მეტი
ქალი მოვა ხელისუფლების სათავეში“.

ბელა აბზუგი

ამერიკელი კონგრესმენი

თანამედროვე მსოფლიოში არაერთი სერიოზული პრობლემა არსებობს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ქალთა საკითხებს. ქალების მდგომარეობა, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა რთულ გლობალურ პრობლემასთან, აღელვებს არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებსაც. მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. მართალია, ქალების პრობლემა აღნიშნულ ქვეყნებში განსხვავებულია, მაგრამ ძირითადად ყველა ქვეყანაში ქალების საერთო პრობლემად რჩება მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხი, ზოგადად, ქალების მდგომარეობა საზოგადოებაში.

აშშ-ის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ იწყება სიტყვებით: „ჩვენ ვაღიარებთ შემდეგ ჭეშმარიტებას: ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი იბადება და ყველას შემოქმედება უბოძა განუყოფელი უფლებები, როგორიც არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. მართალია, ტერმინი „ადამიანები“ აერთიანებს კაცებსაც და ქალებსაც, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ დოკუმენტის შემქმნელები ტექსტში სქესების თანასწორუფლებიანობას გულისხმობდნენ. პირიქით, იურიდიულ და პოლიტიკური უფლებები კოლონიების მოსახლეობის შეზღუდულმა ნაწილმა სულ რაღაც 10-15% მიიღო. მოსახლეობის ამ ჯგუფში, ძირითადად, შედიოდნენ თეთრკანიანი მამაკაცები, რომლებსაც კერძო საკუთრება ჰქონდათ. კონსტიტუციის შემუშავებისას „მამებმა-დამაარსებლებმა“ ასევე არ გაითვალისწინეს ქალების იურიდიული და პოლიტიკური

უფლებები. ეს საკითხები კონსტიტუციაში სრულიად იგნორირებულია.

მართალია, ყველა დემოკრატიული ძალის ათწლეულების ბრძოლას 1920 წელს, კონსტიტუციის XIX შესწორების ძალით, ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება მოჰყვა, მაგრამ მან მაინც ვერ მოსპო დისკრიმინაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში. რეალური თანა-სწორობა კიდევ ძალიან შორს იყო.

XIX შესწორების შემდეგ „ქალთა ეროვნულმა პარტიამ“ (National Women's Party) წინადადება წამოაყენა კონსტიტუციაში კიდევ ერთი შესწორების – თანასწორუფლებიანობის მუხლის შეტანის შესახებ და 1923 წლიდან დაწყებული ეს წინადადება კონგრესში ყოველწლიურად შეჰქონდათ. მხოლოდ 1972 წელს წარმომადგენელთა პალატამ ის ხმათა უმრავლესობით (354 23-ის წინააღმდეგ) მიიღო. კონგრესმა რატიფიკაციისათვის 7 წლიანი ვადა დააწესა. პირველი ორი წლის განმავლობაში მისი რატიფიკაცია 29 შტატმა მოახდინა, შემდეგ კი პროცესი შეწელდა – 5 წლის განმავლობაში და ის მხოლოდ ხუთმა შტატმა დაამტკიცა. ამიტომ 1979 წელს კონგრესმა გააგრძელა მისი რატიფიკაციის ვადა კიდევ 3 წლით, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთმა შტატმა გაიარა ეს პროცედურა.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ XXVII შესწორება მასობრივი მხარდაჭერით სარგებლობდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია და ქალების რეალური თანასწორუფლებიანობა მიუღწეველი დარჩა. სამწუხაროდ, აშშ-მა არ მოახდინა ბევრი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებაც (მაგალითად, 1980 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ, კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, კონვენცია სამსახურში მიღებისა და პროფესიის არჩევისა და ა.შ.), რაც ახსნილი იყო ამგვარი ხელშეკრულებების რატიფიკაციისათვის აუცილებელი კონსტიტუციური უფლებების არსებობით, ასევე იმით,

რომ კონვენციაში განიხილება საკითხები, რომლებიც აშშ-ის საშინაო კომპენტენციაში შედიოდა და ლახავდა შტატების უფლებებს.

ბევრი სვამს კითხვას. სჭირდება კი ქალს ძალაუფლება? რად უნდა ის? თავმოყვარეობის, ძალაუფლებისაკენ ლტოლვის დაკმაყოფილების გამო, თუ ეს ყველაფერი მეორებარისხოვანია და უფრო მნიშვნელოვანია სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი საკითხების გადაწყვეტაზე ზემოქმედება, ადამიანის, ოჯახის, მოხუცების, დედებისა და ბავშვების უფლებების დაცვის სურვილი.

იმისათვის, რომ ქალმა მართლაც, ფაქტიურად, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური, სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში, თვით საზოგადოება უნდა იყოს მზად გაითავისოს ქალის ახალი სოცია-ლური თუ პოლიტიკური როლი.

ეს უკანასკნელი კი საკმაოდ რთული ამოცანაა. ისეთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოშიც კი, როგორიც შეერთებული შტატებია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერჯერობით ისევ ტრადიციულად ფიქრობს და თვლის, რომ ქალი მაინც ნაკლებად კომპენტენტურია პოლიტიკაში, არ შეუძლია ქვეყნის ბედის გადაწყვეტა, ცუდად არის ამისათვის მომზადებული.

მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, შეერთებულ შტატებში ნელ-ნელა მომწიფდა აზრი, რომ პოლიტიკაში აუცილებლად უნდა მოვიდნენ ქალები.

რა განსაკუთრებული თვისებები არის საჭირო, იმისათვის, რომ ქალმა თანამედროვე ამერიკულ პოლიტიკურ სპექტრში ცენტრალური ფიგურა მოიპოვოს?

ის უნდა იყოს:

- ამბიციური;
- უაღრესად შრომისმოყვარე;
- ანალიტიკური;
- ნათელი გონების;
- შორსმჭვრეტელი,

- გულადი;
- თამამი;
- ენერგიული;
- განათლებული.

სწორედ, ამ თვისებებით დაჯილდოებულმა ქალებმა, კერძოდ, მარგარეტ სმიტმა, მედელინ ოლბრაიტმა, კონდოლიზა რაისმა და პილარი კლინტონმა პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი მოღვაწეობით ამერიკის საზოგადოებას დაუმტკიცეს, რომ ქალის პოლიტიკაში მოსვლა აუცილებელია, რათა შტატებში ძალისმიერი „მახვილის“ პოლიტიკა სულიერების, კონსესუსისა და მშვიდობიანობის რიტმამ შეცვალოს.

უკეთესი მომავლის შესაძლებლობის სანდო და დამამტკიცებელი საბუთებია ჩვენი წარსულის დრამატული მოვლენები. თუმცა მეცნიერების მიერ წინაისტორიული მოვლენები და იმ დროის ხსენება, როცა ქალები და მამაკაცები თანხმობისა და თანამშრომლობის პრინციპებით ცხოვრობდნენ, ტრადიციულად გამონაგონად ცხადდება.

ცნობილია, რომ ამერიკელი ქალი თავის მოღვაწეობის მანძილზე ბევრ წინააღმდეგობას აწყდება. სასურველია, ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე, შეიქმნას ისეთი სოციოკულტურული მოდელი, რომელიც უფრო სრულყოფილს შექმნის „საკუთარ“ საზოგადოებას და მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს, უზრუნველყოფს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების წესსა და დონეს.

საზოგადოება თანაბრად მიიჩნევს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ღირებულებების სინთეზს ცხოვრების წესის შესაქმნელად. ეს იქნება ქალის პოლიტიკური როლი, თუ ქალური ფასეულობები დედობა, დასაქმება.

აქვე, გვინდა ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს ისევ დავუბრუნდეთ და დავსვათ კითხვა: შეუძლია თუ არა დღეს რომელიმე ამერიკელ პოლიტიკოს ქალს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება? რომელი ქალი შეიძლება თანამედროვე

ამერიკულ პოლიტიკურ სპექტრში ჩავთვალოთ პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატად?

მიმაჩნია, რომ ასეთი შესაძლოა იყოს დემოკრატი ჰილარი კლინტონი.

პირველი კონგრესმენი და სენატორი

„ქალის ადგილი ოჯახშია, თუმცადა
პოლიტიკური – უფლებების ქონა მათ არათუ
ჩამოაცილებს ოჯახს, არამედ, აქცევს უკეთეს
მოქალაქეებად და თავიანთი მეუღლეების
უკეთეს კომპანიონებად“.

მარკიზ დე კონდორსე
ფემინისტი ფილოსოფოსი

ცნობილია, რომ პრეზიდენტ უორენ ჰარდინგის დროს ამერიკელმა ქალებმა პირველად მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება (1920წ.). ამ დროს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოყენებული იყო ყველაზე სერიოზული კანდიდატი სენატორი – მარგარეტ ჩეიზ სმიტი (1897 წ.).

იგი იყო პირველი ქალი კონგრესმენი, სენატორი, რესპუბლიკელი პოლიტიკოსი, რომელმაც კონგრესის ორივე პალატაში იმსახურა და, რომელმაც ყველაფერი გააკეთა თავისი პარტიისათვის მთავარ საპრეზიდენტო ნომინაციის მოსაპოვებლად.

სმიტი დაიბადა ღარიბ ოჯახში.

მამა დალაქი იყო, დედა – მრეცხავი. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მარგარეტს ოჯახის რჩენაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა. იგი მაღაზიის კლერკად და ღამის სატელეფონო ოპერატორად მუშაობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან ცოტა ხნით სოფლის ერთკლასიან სკოლაში მასწავლებლად იმუშავა და შემდეგ კი მშობლიურ ქალაქში სხვადასხვა დაწესებულების კლერკადაც.

ამავე დროს იგი ქალთა კლუბების აქტიური წევრიც გახდა. მათ შორის აღსანიშნავია საქმოსან და პროფესიონალ ქალთა ფედერაციის კლუბები, სადაც მან დაარსა თავის

მსგავსად მიზანდასახულ „ახალგაზრდა ქალთა საზოგადოება“.

1922 წელს სმიტმა საფუძველი ჩაუყარა ამავე კლუბის ადგილობრივ ფილიალს, 1925 წლისათვის კი იგი უკვე მეინის შტატის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. ყოველივე ამან მარგარეტს შესძინა საზოგადოებაში თავდაჭერის, ორგანიზებულობის, დაფინანსების მოზიდვის, საჯარო გამო-სვლებისა და პოლიტიკის წარმართვის გამოცდილება.

1926 წელს იგი შეუერთდა სკოპაგენის რესპუბლიკურ კომიტეტს, რომლის მდივანიც გახდა 1928 წელს.

მარგარეტის დახმარებით აღნიშნულმა კომიტეტმა 1930 წლის არჩევნებში გაიმარჯვა.

კოლეჯიდან მოყოლებული მარგარეტს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ადგილობრივ ბიზნესმენთან და პოლიტიკოსთან კლაიდ ჰაროლდ სმიტთან, რომელიც 1915-დან 1932 წლამდე იყო სკოპაგენის პირველი წარმომადგენელი (მერის თანამდებობის ანალოგი). მისტერ სმიტი ერთდროულად უძლვებოდა ადგილობრივ მმართველობას და ბიზნესს. სმიტის ოცნება იყო თავისი გრძელი და ღირსშესანიშნავი კარიერა მეინის გუბერნატორობით დაესრულებინა.

1930 წლის 14 მაისს მარგარეტ ჩეიზი ცოლად გაჰყვა განქორწინებულ, მასზე 22 წლით უფროსს კლაიდ სმიტს. ამ დროისათვის მარგარეტ ჩეიზს შტატის მასშტაბით უკვე მოპოვებული ჰქონდა ჭკვიანი და კომპეტენტური ახალგაზრდა ქალის რეპუტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კლაიდ სმიტი არასდროს გამხდარა გუბერნატორი, ცოლი მას დაეხმარა 1936 წელს მეინის მეორე უბნიდან კონგრესის არჩევნებში გამარჯვების მოპოვებაში. მარგარეტ ჩეიზ სმიტმა (მან ქალიშვილობის გვარი შეინარჩუნა პოლიტიკაში მისი ადგილის გამო) მუშაობა დაიწყო თავისი ქმრის საარჩევნო კომპანიის მენეჯერად და მდივნად. ვაშინგტონში ჩამოსვლის შემდეგ კლაიდის სმიტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

1940 წლის აპრილში, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მის მიერ გამოშვებულ „პრეს რიელიზმი“ ის მოუწოდებდა თავის ამომრჩევლებს მხარი დაეჭირათ მისი არჩევანისათვის, მეუღლის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი პარტნიორის მარგარეტ ჩეიზისათვის.

ოპოზიციის აქტიურობის მიუხედავად ქალბატონმა სმიტმა საკმაოდ მძლავრი მხარდამჭერები მოიპოვა, რომელთა შორის იყო ასობით ქალი. სწორედ, მათ შეასრულეს მოხალისეთა როლი სმიტის საარჩევნო კომპანიაში. მარგარეტმა გამარჯვება მოიპოვა და ქმრის საქმიანობის შესრულებას შეუდგა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი მან კიდევ ერთხელ გაიმარჯვა არჩევნებში.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა მარგარეტ სმიტმა საკმაოდ სწრაფად მოიპოვა საკუთარი პარტიის ორთოდოქსალურობისაგან დამოუკიდებლობა იმით, რომ მხარი დაუჭირა პრეზიდენტ რუზველტის თავდაცვის პოლიტიკას. უპირატესობა მიანიჭა სოციალურ დაცვასა და შრომით ღონისძიებებს. ამგვარმა პოზიციამ მას მშობლიურ მხა-რეში მხარდაჭერა და 1942 წელს მორიგი გამაჯვება მოაპოვებინა.

მარგარეტ სმიტის კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სვლა იყო მის მიერ ქალებისათვის შესაფერისი კომიტეტების წევრობაზე უარის თქმა და წარმომადგენელთა პალატის ფლოტის საქმეთა კომიტეტის წევრად გახდომა. ამ კომიტეტს ომის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმით, რომ იგი ხელს უწყობდა მის სამხედრო ექსპერტად ჩამოყალიბებას. ამ თანამდებობაზე სმიტს საშუალება ეძლეოდა, უკუეგდო სქესობრივი ცრურწმენები და ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ ქალს შეეძლო სერიოზულ საკითხებზე მუშაობა და მათი გადაჭრა.

სმიტს განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ სქესობრივი დისკრიმინაციის მიმართ, რაც კონგრესში ყოფნის წლებში კიდევ უფრო გამძაფრდა, მისცა სტიმული იმისა, რომ გაეტარებინა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ომის შემდგომ პერიოდში ქალებისათვის თანასწორი უფლებების

მოსაპოვებლად. მარგარეტის ბრძოლის მიზანს წარმოადგენდა თანაბარი ხელფასები ქალებისა და მამაკაცებისათვის, სამუშაო ადგილებზე თანასწორობა, ბავშვებზე ზრუნვა. 1945 წელს სმიტი იყო თანაავტორი შესწორებისა „თანასწორ უფლებათა“ შესახებ. ფლოტის კომიტეტში მისი თანამდებობის გათვალისწინებით ომის პერიოდში მის მიერ გატარებული ბევრი ღონისძიება სამხედრო სფეროში მომსახურე ქალთა სახელით ხორციელდებოდა.

სმიტი იბრძოდა სამხედრო სამსახურში დაკავებული ყველა ქალისათვის წოდებებისა და სამხედრო სტატუსის მოსაპოვებლად, რასაც მიაღწია კიდევ 1948 წელს, როდესაც მიღებულ იქნა აქტი „ქალების შეიარაღებულ ძალებში ინტეგრაციის“ შესახებ.

1948 წელს სმიტმა კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი გადადგა, იგი გახდა პირველი ვინც გადაწყვიტა მხარის მეორე წარმომადგენლის უსაფრთხო ადგილის დათმობის ფასად აშშ-ის სენატში მოხვედრისათვის კომპანია წამოეწყო.

სენატში სმიტის არჩევის შემდეგ ბევრი იმედოვნებდა, რომ ეს მოვლენა ქალთა და მამაკაცთა შორის პოლიტიკური თანასწორობის გარანტი იქნებოდა, მაგრამ იგი სენატში 24 წლის განმავლობაში იყო მხოლოდ და მხო-ლოდ ერთა-დერთი ქალი.

სმიტმა სახელი დაიმკვიდრა ზომიერებითა და თავ-დაუზოგავი შრომით, რის შედეგადაც წარმატებებს მიაღწია კიდევ. მართალია, იგი ყოველგვარი ექსტრემიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაგრამ სიმართლისათვის ყოველთვის თავდაუზოგავად იბრძოდა.

ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი იყო სმიტის სიტყვა თავისი კოლეგის, სენატორ ჯოზეფ მაკარტის მმარცველური პოლიტიკისა და მისი პარტიის ლიდერების მიერ ამ ფაქტთან შეგუებაზე. ეს სიტყვა მან აშშ-ის სენატში 1950 წლის ივნისს, წარმოთქვა. მართალია, ამ გამოსვლამ მედიის ყურადღება მაშინვე მიიპყრო, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო მაკარტის

ძალაუფლების შეზღუდვა, რომლის საქმიანობა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ აღიკვეთა.

მაშინ, სმიტმა ამ გამოსვლით რესპუბლიკური პარტიის მმართველობის გაღიზიანება გამოიწვია, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ დაწესებულებაში, სადაც ძალზე ბევრია დამოკიდებული პირად ურთიერთო-ბებზე.

სმიტი აგრძელებდა სენატის თავდაცვის კომიტეტში მუშაობას. ძირითადად მისი საქმიანობა უკავშირდებოდა რიგითთა, რეზერვებისა და ოფიცერთა დაწინაურებას.

სმიტმა, ასევე დაიმკვიდრა რადიკალური ანტიკომუნისტის რეპუტაცია. იგი ხშირად აკრიტიკებდა ჯერ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, შემდგომ კი ჯონ კენედის ცივი ომისადმი შემრიგებლური პოლიტიკის გამო.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა მას „ომის ამორმალი“ უწოდა და მანაც სიამაყით გამოიყენა ეს ეპითეტი საარჩევნო კამპანიისათვის, როდესაც 1964 წელს რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად დასახელდა.

ვიეტნამში საომარი მოქმედების ესკალაციის პირო-ბებში მას არასოდეს გადაუხვევია არჩეული პოზიციიდან.

თავისი ამომრჩევლების მზარდი მოთხოვნების მიუხედავად, – 1970 წელს წარმოთქმულ სიტყვაში მან გააკრიტიკა, როგორც შეიარაღებულ სტუდენტთა ექსტრემისტული ქმედებები, ასევე ნიქსონის ადმინისტრაციის მიერ განსხვავებული აზრის ჩახშობის მცდელობა.

სიცოცხლის ბოლო წლები მარგარეტ ჩეიზ სმიტმა საკუთარ ბიბლიოთეკის შექმნას მიუძღვნა.

მედიამ იგი აქცია ყოველივე კარგის სიმბოლოდ.

მარგარეტ ჩეიზ სმიტის ბიბლიოთეკა მეინში შეიცავს:

- _ 300 000-ზე მეტ დოკუმენტს;
- _ 3000 ფოტოს;
- _ უამრავ ვიდეო და აუდიო კასეტას;
- _ სიტყვებისა და გამოსვლების 43 ტომეულს;

— დაახლოებით 500 უბის წიგნაკსა და პირად ნივთს.

აქვეა, დაცული სმიტის დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობები. მის შესახებ ნეკროლოგი 1995 წლის 30 მაისს დაიბეჭდა „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

მარგარეტი გარდაიცვალა 97 წლის ასაკში თავის სახლში ძლიერი ინსულტის შედეგად.

მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქალის როლის პოლიტიკაში დამკვიდრებას მიუძღვნა.

პოლიტიკაში სიმბოლოები და კერპები ყოველთვის ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული. რაც ქმნიდა იმ საოცარ ძალას, ერთი ფიგურის, ერთი მოვლენის ნებას, რომ უქვემდებარებდა მასებს.

მედელინ ოლბრაიტი _ მამის კვალდაკვალ

„გახდე ქალი პოლიტიკოსი ნიშნავს განავითარო და ჩამოაყალიბო შენი საკუთარი პოლიტიკური მე, გლობალური პრობლემატიკის გადაჭრისათვის დაწერგო, ახალი ქალური თამაშის წესები“.

სონია ლიკართ

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, კლინტონის დემოკრატიული ადმინისტრაცია ყველაზე „ქალური“ იყო ქვეყნის ისტორიაში. ქალებს 2500-ზე მეტი თანამდებობა ეკავათ.

პირველად სახელმწიფო მდივანი ქალი _ მედელინ ოლბრაიტი გახდა.

ბოლო წლებში ამერიკაში გაიზარდა ინტერესი ქალი პოლიტიკოსების, მათ შორის მედელინ ოლბრაიტის მიმართ.

1997 წლის 23 იანვარს მედელინ ოლბრაიტი აშშ-ის რიგით 64-ე სახელმწიფო მდივანი გახდა _ პირველი ქალი ასეთ მაღალ თანამდებობაზე და სუსტი სქესის ყველაზე „მაღალჩინოსანი“ წარმომადგენელი ამერიკის სამთავრობო იერარქიის ისტორიაში.

შეერთებული შტატებისათვის, სადაც ქალების მონაწილეობის დონე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკმაოდ დაბალია, მედელინ ოლბრაიტის ნომინაცია საგანგებო მოვლენა აღმოჩნდა.

თუმცა ოლბრაიტის ცხოვრება და თვით მისი პიროვნული თავისებურებაც საკმაოდ არაორდინალურია. იმისათვის, რომ ამ მეორე თაობის ემიგრანტს, რომელიც 11 წლის ასა-კში აღმოჩნდა ამერიკაში, გაეკეთებინა ასეთი თავბრუ-დამხვევი კარიერა (როდესაც სხვები მის ადგილას დაკმა-ყოფილდნენ უბრალოდ ამერიკის მოქალაქეობის მიღებით), მართლაც, რომ ფენომენალური მიზანდასახულობა და ნები-სყოფა უნდა ჰქონოდა. აქ, რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა

შემთხვევითმა ობიექტურმა პირობებმაც. მედელინის მამა, ჯოზეფ კორბელი მაღალი რანგის ჩეხი დიპლომატი იყო.

1939 წლის 15 მარტს გერმანიის ჯარები პრაღაში შევიდნენ და კორბელების ოჯახს ებრაელებსა და „დემო-კრატებს“ – მძიმე დროება დაუდგა. მათ მოახერხეს ემიგრაციაში წასვლა. ჯოზეფმა ცოლთან და პატარა ქალიშვილ-თან ერთად ინგლისამდე მიაღწია. მედელინის ბაბუის ფულის წყალობით ოჯახს ინგლისში არ უჭირდა. თვითონ ბაბუა და ორი ბებია ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ. ეს ფაქტი, რომ იგი წარმოშობით ებრაელია, სრულიად „მოულოდნელი“ აღმოჩნდა – მედელინისათვის. ძნელი დასაჯერებელია, რომ პროფესიონალი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტი ასეთი გაუთვითცნობიერებული ყოფილიყო საკუთარი ოჯახისა და წარმოშობის შესახებ.

ალბათ, ამის ახსნა შეიძლება კარიერის გავეთების მსურველი ემიგრანტების აზროვნების სტერეოტიპით: იყვნენ უფრო მეტად ამერიკელები, ვიდრე თვით ამერიკელები არიან, დაივიწყონ ყველაფერი, რისი დავიწყებაც შეიძლება და დამალონ ის, რისი დამალვაც გარკვეულ დრომდე შეიძლება, მაშინაც კი, თუ ის მათ კარიერას არ ემუქრება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორბელები ნიუ-იორკში გაემგზავრნენ. თავდაპირველად ჯოზეფი, ჯერ გაერომი მუშაობდა, მაგრამ მოგვიანებით აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და მიიღო კიდევ.

ამასობაში, მედელინმა, რომელიც ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავისი ბრიტანული გამოთქმა ამერიკულით გამოესწორებინა.

1949 წელს ჯოზეფმა დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სწავლება დენვერის უნივერსიტეტში და იქ, საერთაშორისო ურთიერთობის სკოლაც კი დაარსა. ამ დროს მედელინი უკვე მვირფასს კერძო სკოლაში სწავლობდა, რის შემდეგაც მიიღო სტიპენდია Wellesley College-ში სასწავლებლად, არდადეგების დროს კი გაზეთ

„Denver Post“-ში მუშაობდა. სწორედ, გაზეთში მუშაობისას გაიცნო მან თავისი მომავალი ქმარი ჯოზეფ მედილ პატერსონ-ოლბრაიტი, გამომცემელთა გავლენიანი ოჯახის მემკვიდრე.

ოჯახური ტრადიციისამებრ, მომავალი სახელმწიფო მდივანი არ ყოფილი იყო დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის არჩევანისას. ის ყოველთვის ყველაფერში მამას ბაძავდა. მამის ინტერესები მისი გახდა. უკვე სკოლაში ის წერდა თხზულებებს ინდოეთსა და აღმოსავლეთ ევროპაზე. მრავალი წლის შემდეგ თავისი სადოქტორო დისერტაციისათვის მან აირჩია თემა „პრესის როლი 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენებში“.

1970-იანი წლების დასაწყისში მედელინმა თავის პოლიტიკურ კარიერაზე ზრუნვა დაიწყო. ინტუიცია, ახალგაზრდა ქალიშვილისათვის იშვიათი ცხოვრებისეული გამოცდილება, ეტიკეტისა და თამაშის წესების ცოდნა, მამის რჩევები ყველაფერი მის სასარგებლოდ მუშაობდა.

მედელინმა ნამდვილ პოლიტიკურ საქმიანობას გემო მაშინ გაუგო, როდესაც 1976 წელს იგი გახდა სენატორ ედმუნდ მასკის (მეინის შტატიდან) მრჩეველი იურიდიულ საკითხებში. ორი წლის შემდეგ ზბიგნევ ბუზინსკის პროტექციით (რომელიც მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო, მამის შემდეგ იგი გახდა მისი იდეალი, რომელთანაც მას აღმოსავლეთ ევროპული „ბექვრაუნდი“ და საბჭოთა კავშირისადმი მტრობა აკავშირებდა), მედელინი კარტერის ადმინისტრაციაში ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი გახდა.

1978-1981 წლებში ის ამავე დროს მუშაობდა „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრში“, სადაც საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპული პოლიტიკის პრობლემებით იყო დაკავებული.

1982-1993 წლებში ოლბრაიტი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას, აშშ-ის, რუსეთის, ცენტრალური და

აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკას ასწავლიდა და პარალელურად იყო უნივერსიტეტის პროგრამის „ქალები დიპლომატიურ სამსახურში“ – დირექტორი და ეროვნული პოლიტიკის ცენტრის პრეზიდენტი. ამასთან ერთად იგი იყო ისეთი ორგანიზაციის წევრი, როგორებიცაა: Atlantic Institute, Boards of Trustees of Wellesley College და Williams College, National Democratic Institute for International Affairs, black Student Fund და Washington Urban League.

1983 წელს ქმართან გაყრის შემდეგ მედელინის ხელში დიდი სიმდიდრე აღმოჩნდა, მათ შორის, სახლი ვაშინგტონის ჯორჯთაუნში. აქ, მან დააარსა ყოველკვირეული პოლიტიკური სალონი დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი წევრებისათვის და ამ გზით გააფართოვა, გააღრმავა და განამტკიცა სასარგებლო კონტაქტები, რომელთა მნიშვნელობაც ამერიკაში უაღრესად დიდია. „საგარეო პოლიტიკური სადილების“ ერთ-ერთმა მონაწილემ ჯერალ-დინ ფერარომ, ვიცე პრეზიდენტობის იმდროინდელმა კანდიდატმა, იგი 1984 წლის საარჩევნო კომპანიისას, თავის მრჩევლად აიყვანა საგარეო პოლიტიკურ სფეროში. 4 წლის შემდეგ კი ოლბრაიტი უკვე პრეზიდენტობის კანდიდატის მაიკლ დუკაკისის მთავარი მრჩეველი იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ხალხი, რომელსაც იმ დროს მედელინთან ჰქონდა ურთიერთობა, სხვადასხვანაირად აფასებდა მის, როგორც ფუნქციონერისა და საგარეო პოლიტიკის თეორეტიკოსის შესაძლებლობებს.

ერთნი ხაზს უსვამდნენ საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-ის ამოცანებისა და საკუთარი ხელმძღვანელობის პრობლემების მკაფიოდ ჩამოყალიბების მისეულ უნარს. სხვები მის წარმატებებსა და წინ წაწევას მიაწერდნენ საჭირო კონტაქტების შენარჩუნების ხელოვნებას. ალბათ, ორივენი არ ცდებოდნენ. უდავოდ, ის კავშირების დამყარების დიდი ოსტატი იყო. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, მას პარტნიორის განწყობილების, მისი იდეების, პრიორიტეტების გარკვევისა და მათი პროფესიულად გახმოვანების ფენომენალური

უნარი ჰქონდა. შესაძლებელია ის არც კი ისწრაფვოდა საკუთარი იდეების გენერაციისაკენ, ვინაიდან თავის ამო-ცანად თვლიდა ბოსის პროდუქციულ მხარდაჭერას, იქნე-ბოდა ეს პრეზიდენტობის კანდიდატი თუ უკვე პრეზი-დენტი.

საჭირო კონტაქტების გაფართოების გარდა, სახლში არაფორმალური სადილები მას სააზროვნო მასალას და დამატებით ინფორმაციას აძლევდა, რასაც ის გაზეთებში ვერ ამოიკითხავდა. აქვე, ის იგებდა პროფესიონალ პოლიტიკო-სებს შორის გავრცელებულ თვალსაზრისს ამა თუ იმ მოვლენაზე, რაც ეხმარებოდა საკუთარი შეხედულების ჩამო-ყალიბებაში.

მედელინის შემდგომმა მოღვაწეობამ გვიჩვენა, რომ მართალია, ის არ იყო საგარე პოლიტიკის გამოჩენილი სტრატეგი და პროგნოზისტი, მაგრამ კარგად შეეძლო ამა თუ იმ წინადადების გადაკეთება და გაფორმება, თითქოს ის მისი საკუთარი იყო. ბუნებით მებრძოლი და სხვების დარწმუ-ნების უნარით დაჯილდოებული მედელინი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას ადვილად ზემოქმედებდა პარტნიორზე.

პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად ოლბრაიტმა წარ-მატებით გაითამაშა სამი კარტი: მშობლების, საკუთარი და „სიყვარული დემოკრატიისადმი“ (დემოკრატიისადმი ჩემი მშობლების სიყვარულის გამო ჩამოვედით ამერიკაში მას შემდეგ, რაც ორჯერ გამოგვაგდეს სახლიდან).

1992 წელს მედელინი კლინტონის მრჩეველი გახდა. 1993 წელს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ის გაეროში აშშ-ის მუდმივ წარმომადგენლად დანიშნა. ამავე დროს იგი პრეზი-დენტის კაბინეტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრიც იყო. ამერიკული ინტერესების აქტიური დამცველი ოლბრაიტი თავის როლს გაეროს საქმიანობაში, პირველ რიგში, სამხედრო ოპერაციებში აშშ-ის მონაწილეობის გაზრდაში ხედავდა.

გაეროში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე მოღვაწეობის დასაწყისშივე მან საოცარი შრომისუნარიანობა გამოა-ვლინა. იგი დგებოდა დილის ხუთის ნახევარზე, რათა გადაეხედა მთავარი გაზეთებისათვის: Washington Post, New York Times და Wall Street jurnal და თავის სამუშაო დღეს ღამის 11 საათზე ამთავრებდა.

ოლბრაიტი იყო ენამწარე (ოფიციალურ გამოსვლებში თუ პირად საუბრებში იყენებდა უხეშ ხუმრობებს, არადი-პლომატიურ გამოთქმებს, არაფრად აგდებდა მკაცრი ეტიკეტის მომხრეთა გაოგნებულ მზერას და გაითქვა სახელი როგორც „ენამწარე დიპლომატიის“ წარმომადგენელმა) და ამასთან ერთად გამოირჩეოდა განსაკუთრებული კონტაქტებით (შემოიღო ყოველდღიური საუზმები, სადილები და ვახშმები გაეროში უცხოელი დელეგაციების წარმომადგენლებისათვის). მედელინი უპირატესობას ანიჭებდა არაფორმალურ შეხვედრებსა და საუბრებს კოლეგებთან, ასევე საუბრებს კულუარებში, ვიდრე დებატებს გაეროს სესიებზე და იქ, საკუთარ ოფიციალურ გამოსვლებს.

ამგვარი „პრიორიტეტები“ შეიძლება აიხსნას იმით, რომ არაფორმალურ ატმოსფეროში, როდესაც არ ხარ შებოჭილი გამოთქმებში, უფრო ადვილია თანამოსაუბრის დარწმუნება საკუთარ სიმართლეში. ვფიქრობთ, ოლბრაიტი პოლიტიკურ თუ საყოფაცხოვრებო ჟარგონს უკეთ ფლობდა, ვიდრე პროფესიულ დიპლომატიურ ლექსიკას. მის გამოსვლებში მუდმივად ვხვდებით ერთსა და იმავე სიტყვებით ჩამოთვლილ ბიოგრაფიულ ფაქტებს და დემაგოგიურ განცხადებებს ამერიკის განსაკუთრებული როლის შესახებ.

ასევე ყველა კითხვაზე პასუხის წინ სიტყვებს „მე ვფიქრობ, რომ...“ ელჩს, მოგვიანებით სახელმწიფო მდივანს აშკარად სჭირდებოდა დრო პასუხის გასაცემად და სიტყვების მოსამებნად, ამით აიხსნება მის მიერ პასუხის გაცემის ნაცვლად სიტყვის ბაზზე აგდება და საუბრის თემის შეცვლა – დედობის, აღზრდის, მებაღეობის და ა.შ. თემებით. აქვე, საინტერესოა, ისიც, რომ თითქოსდა წმინდა ქალური

თამაში, რომელიც პროფესიონალიზმის ნაკლებობას ანაზღაურებდა, საკითხების გადაწყვეტისას მამაკაცური მიღომით ტრიალდებოდა.

დიპლომატიური გამოცდილებისა და მოლაპარაკების ტაქტიკის უქონლობის გამო მედელინი გადაწყვეტილების მიღებას, მუქარის, სანქციებისა და სამხედრო ჩარევის გზით წყვეტდა. ალბათ, მისი ბრალიც იყო ამერიკული სამხედრო ოპერაციის ჩაშლა სომალში, რომლის დროსაც 18 საზღვაო ქვეითი დაიღუპა.

სწორედ, ოლბრაიტი იყო ასევე, თავისი უახლოესი მრჩევლების, თანაშემწებებისა და მეგობრების მხარდაჭე-რით ნატოს მიერ სერბეთის მრავალდღიანი საპარო დაბომბვების ინიციატორი. მართალია, ოპერაციის მთავარი მიზანი იყო მილოშევიჩის გადაყენება, რამაც ნაწილობრივ გაამარ-თლა მედელინი ფართო საზოგადოების თვალში, მაგრამ ამ მოქმედებამ მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია.

სწორედ, ოლბრაიტი და მისი გარემოცვა გეგმავდა ასევე სამხედრო ძალის გამოყენებას ერაყის წინააღმდეგ, რაც ჯორჯ ბუშ მეორემ არც ისე დიდი ხნის წინათ წარმატებით განა-ხორციელა.

ოლბრაიტის საყვარელი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი იყო ასევე, ეკონომიკური სანქციები, რომლის განხორციელების დროს იგი მისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმით აცხადებდა: „მსგავს შემთხვევაში ხალხმა უნდა ისწავლოს ასეთი ლიდერებისაგან თავის დაღწევა“. თვითონ მედელინი თვლიდა, რომ პოლიტიკაში რაციონალიზმის დაცვაა აუცილებელი. პრაქტიკულად კი მისი რაციონალიზმი აშკარა ცინიზმი იყო, რასაც ასეთი მაგალითიც ადასტურებს. სახელმწიფო მდივნად ყოფნის დროს უურნალისტმა მიმართა კითხვით: მიაჩნია თუ არა ერაყის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შენარჩუნებისათვის ძალიან მაღალ ფასად, დაახლოებით ერთნახევარი მილიონი ერაყელი ბავშვის სიკვდილი?

ოლბრაიტმა თვალის დაუხამხამებლად უპასუხა: (ის სიტყვებს არ ეძებდა) „რომ ფაქტი, რასაკვირველია საწყენია, მაგრამ ფასი – არა, ძვირი არ არის“.

ასევე კორესპონდენტის კითხვაზე: თუ რატომ არის ქალბატონი სახელმწიფო მდივანი ბირმის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების ასეთი თავგამოდებული მომხრე, მაშინ, როდესაც იმავეს არ მოითხოვს ჩინეთთან დაკავშირებით, სადაც კიდევ უფრო მეტად იღახება ადამიანის უფლებები? ოლბრაიტმა უპასუხა: „იმიტომ, რომ ბირმა პატარა და სუსტია, ჩინეთი კი დიდი და ძლიერი, თანაც აქ, შეერთებულ შტატებს სერიოზული სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესები აქვს“.

სახელმწიფო მდივანი თანმიმდევრულად იცავდა „ამერიკის ჩარევის“ და „ჩაურევლობის“ უფლებას. ამასთან ერთად, ოლბრაიტის ერთ-ერთი ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრინციპი იყო: ყოველი ცალკეული შემთხვევისადმი, ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი.

სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ყოფნის პირველ ხანებში ოლბრაიტმა აირჩია თავისი იმიჯი, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა მის წინამორბედ კორექტულ უორენ კრისტოფერისაგან. საზოგადოების წინაშე გამოსვლისას ის მუდამ ხაზს უსვამდა, რომ მხარს უჭერდა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის პოპულარიზაციას, პროფესიული ტერმინოლოგიის უბრალო, საყოველთაოდ გასაგებ ენაზე თარგმანს: „როგორც მდივანი მე ვეცდები საგარეო პოლიტიკაზე ვიმსჯელო არა აბსტრაქ-ტული ტერმინებით, არამედ ადამიანურ ენაზე იმიტომ, რომ ჩვენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ვერ გავატარებთ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც გაუგებარი და მიუღებელი იქნება ხალხისათვის“.

მედელინს ძალიან უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. სახელმწიფო მდივნისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ყოველგვარი კრიტიკა. ის ჟურნალისტები, რომლებიც ბედავდნენ მასზე ან მის საქმიანობაზე რაიმე ცუდის თქმას,

კარგავდნენ ადგილს მის თვითმფრინავში (რის გამოც ღონისძიებათა გრაფიკს ჩამორჩებოდნენ, მითუმეტეს, რომ ოლბრაიტის ნაბიჯები ხშირად არაპროგნოზირებადი იყო: მას შეეძლო შეხვედრაზე უარის თქმა, მარშრუტის შეცვლა და ა.შ.). მათ უარს ეუბნებოდნენ გამგზავრებაზე, ისინი კარგავდნენ მათთვის ძვირფას მოსაწვევებს.

ოლბრაიტს ესმოდა, რომ ამერიკის პოლიტიკური პრესა სახელმწიფო მდივანზე მეტად გავლენიანი იყო, ამიტომ რეკავდა ხოლმე გაზეთების რედაქციებში და მოითხოვდა იმ სტატიების მასთან ცენზურისათვის გაგზავნას, სადაც მისი სახელი მოიხსენიებოდა.

იგი არც კოლეგების კრიტიკას იღებდა. ადვილად ფეთქდებოდა, მაგრამ ყოველთვის პოულობდა სიტყვებს თავის გასასამართლებლად. პოლიტიკაში, მას ყოველთვის არ შეეძლო იმის ახსნა, თუ რატომ აპირებდა ადმინისტრაცია ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ უკვე დასრულებული ყოველი აქციის გამართლებას კი ახერხებდა.

ოლბრაიტი მაღალ თანამდებობაზე რთულ, განსაკუთრებით მისთვის რთულ დროს აღმოჩნდა.

მაინც რა განსაკუთრებული დრო იყო ეს?

ოლბრაიტი, ისევე როგორც მისი თაობის სხვა პოლიტიკოსები იზრდებოდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემისადმი ზიზღის პირობებში. ილბრაიტის წინამორბედებს და კერპებს _ბუეზინსკის, კისინჯერისა და სხვების საგარეო პოლიტიკის ღერძი იყო მთავარი მტრის გამოაშკარავება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ცივი ომის დასრულების შემდეგ კი საჭირო გახდა ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გამონახვა.

ოლბრაიტმაც იპოვა ისინი : „ყველაფერი ამერიკას და ამერიკელ ხალხის“ ინტერესებში. ამერიკა დაინტერესებულია იმით, რომ მსოფლიოში რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გახდეს დემოკრატიული, ვინაიდან დემოკრატები ერთმანეთს თავს არ ესხმიან. უნდა გაკეთდეს ისე, რომ მსოფ-

ლიოში რაც შეიძლება მეტი დემოკრატია იყოს. ამერიკა ასევე დაინტერესებულია სხვა ქვეყნებთან, საბაზო ეკონომიკის პრინციპის მხარდაჭერითაც.

ამერიკის საბოლოო მიზანია გლობალური „დემოკრატიზაცია და მარკეტიზაცია“. თუ არა საყოველთაო „ამერიკანიზაცია“, – ასე აყალიბებდა საგარეო პოლიტიკის ამოცანებს ოლბრაიტი ფართო ან ვიწრო საზოგადოების წინაშე.

ამერიკელი პოლიტიკოსები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ კლინტონის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას. ერთნი თვლიდნენ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა მანამდე არასოდეს ყოფილა ასეთ ცუდ დღეში. მეორენი კი, მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების ჩიკაგოს საბჭო (Chicago Council on Foreign Relations) კლინტონის საგარეო პოლიტიკური გუნდის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა.

რასაკვირველია, ისევე როგორც ნებისმიერი ადმინისტრაციისა თუ სახელმწიფო მდივნის საქმიანობაში, ოლბრაიტის მუშაობაშიც იყო მნიშვნელოვანი წარმატებები. ასე, მაგალითად: მან მოახერხა არაფატისა და ნეतანიაჰუს იძულება, შეხვედროდნენ ერთმანეთს და დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი. ისრაელის ხელმძღვანელობამ ღაზას სექტორიც კი მოინახულა.

ასევე წარმატებული იყო ოლბრაიტის წინამორბედის კისინჯერის ე.წ. „მაქოს დიპლომატია“, რომელიც აიძულებდა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს დაეახლოვებიათ თავისი პოზიციები და მათთვის თავს მოეხვია პრობლემის ამერიკული მოდელი.

ასე, რომ ოლბრაიტის პოლიტიკურ მოღვაწეობაში იყო, როგორც ნეგატიური ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მომენტები ეკონომიკური სანქციების გამოყენების მიზნით და ასევე მშვიდობიანი დიპლომატიური მოლაპარაკების პროცესებიც.

კონდოლიზა რაისი „გზა თეთრი სახლისაკენ“

„მართალია მე შავგვრემანი ვარ,
მაგრამ მოვა დრო და თეთრ სახლში
აღმოვჩნდები“.

კონდოლიზა რაისი
აშშ-ს სახელმწიფო მდივანი

ქალების საზოგადოებრივ თუ პოლიტიკური გააქტიურების მიზნით თეთრ სახლში შეიქმნა სპეციალური ორგანოები – „ქალთა ინიციატივის განყოფილება“, „ქალთა პრობლემების სპეციალური საბჭო“, „ქალთა მეწარმეობის პრეზიდენტის უწყებათაშორისო საბჭო“.

მართალია, ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის საქმეს ჟორჯ ბუშის (უმცროსი) რესპუბლიკური ადმინისტრაციაც დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ როგორც თვით ამერიკელები თვლიან, არასაკმარისად.

ჯონ ჰოკინსის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ მანდელბაუნმა კონდოლიზა რაისის ბიოგრაფიაზე შემდეგი იწინასწარმეტყველა: „მას აქვს კაბინეტში მუშაობის უნარი, მას შეუძლია სახელმწიფო მინისტრი გახდეს“. სტატია დაიწერა 5 წლით ადრე, სანამ კონდოლიზა შეუერთდებოდა ჯორჯ ბუშის (უმცროსის) საპრეზიდენტო კამპანიას, როგორც მისი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, 6 წლით ადრე, ვიდრე ის უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ბუშის მრჩეველი გახდებოდა და 10 წლით ადრე, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობას დაიკავებდა.

40 წლის ასაკში კონდოლიზა უკვე უსაფრთხოების სფეროში მთავარი ფიგურა იყო. მან არ გაუცრუა იმედი იმათ, ვისაც მისი სჯეროდა, რომ ის ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული პოლიტიკის უმაღლეს ეშელონებში გამოჩნ-

დებოდა. ვფიქრობ, მას დიდი შანსი აქვს იმისა, რომ ამერიკის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობა დაიკავოს. მიუხედავად იმისა, რომ ის ქალია, ამასთან ერთად უმცირესობის შავკანიანი ამერიკელების წარმომადგენელი. კონდოლიზა აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ნებისმიერ პრეზიდენტს შეიძლება წაუყენონ.

კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, როგორც საკუთარ, ისე სხვა ქვეყნების ისტორიაშიც. სწორედ, ასეთ ქალბატონად მიგვაჩნია პრეზიდენტ ბუშის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში, მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში კარგად ნაცნობი შავკანიანი ქალი – კონდოლიზა რაისი.

იგი დაიბადა 1954 წლის 14 ნოემბერს ალაბამის შტატში, ქ. ბირმინგემში, სადაც იმ დროისათვის დამახასიათებელი რასიზმი ბატონობდა. ეს ადგილი იყო საშინელება იქ მცხოვრები შავკანიანებისათვის. განსაკუთრებით კი, შავკანიანი ბავშვებისათვის. კონდოლიზას მეხსიერებასაც კარგად შემორჩა იმ ყოველი წვრილმანის სიმწარე, რაც რასისტულ დისკრიმინაციას სდევდა თან. სწორედ, ამან უბიძგა პატარა შავკანიან ბირმინგემელ გოგონას ებრძოლა შავკანიანთა უკეთესი ცხოვრებისა და მომავლისათვის. ამ ბრძოლისათვის კი გამოეყენებინა თავისი სამი უმთავრესი იარაღი: ცოდნა, თვითდაჯერებულობა და ღვთისადმი რწმენა, რათა ადგილი დაემკვიდრებინა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ უსამართლო საზოგადოებაში. კონდოლიზა რაისს პასუხისმგებლობის გრძნობა კარგად ჰქონდა გათავისებული და ამიტომაც აკეთებდა ყველაფერს, რათა თავისი ცოდნა სწორედ ამ კუთხით წარემართა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, როდესაც 10 წლის კონდოლიზა მშობლებმა ვაშინგტონში წაიყვანეს, თეთრი სახლის წინ ყოფნისას მან მშობლებს განუცხადა: „მართალია მე შავკანიანი ვარ, მაგრამ მოვა დრო და თეთრ სახლში აღმოვჩნდები“-ო. მისმა მშობლებმა მთელი ძალისხმევა თავიანთი ერთადერთი

ქალიშვილის განათლებაში ჩადეს. მას საკმაოდ ადრეულ ასაკში შეასწავლეს კლასიკური მუსიკა, ბალეტი, ფრანგული და ესპანური ენები, ფიგურული სრიალი. 11 წლის ასაკში კონდოლიზას უკვე ცხრა კლასის განათლება ჰქონდა მიღებული. 16 წლისამ კი სკოლა დაამთავრა, ხოლო 19 წლისამ უკვე ბაკალავრის ხარისხი მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებაში. 1975 წელს მან ნოტრდამის უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის ხარისხი, 1981 წელს დენვერის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. იგი მრავალჯერაა დაჯილდოებული.

11 სექტემბრის შემდეგ პრეზიდენტ ბუშის გუნდის წევრთაგან კონდოლიზა არის ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც აშშ-ს პირველი პირი ყველაზე დიდ დროს უთმობს კონსულტაციებზე საგარეო პოლიტიკის საკითხებში. იგი არის ე.წ. „სტრატეგიული გასაღები“ ანტიტერორისტულ კომპანიაში. კონდოლიზა ამ მოვლენის შემდეგ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა.

პრესკონფერენციებზე იგი სიამაყით წარმოაჩენს ხოლმე თავს, როგორც შავკანიანი და აცხადებს, რომ ტერორიზმს ბრძოლა გამოუცხადა არა 11 სექტემბრის შემდეგ, არამედ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქ. ბირმინგემში მკაცრი რასიზმის პერიოდში ცხოვრობდა. ის სიამაყით წარმოსთქვამს სიტყვას: „არ არსებობს საზღვრები, რომლებიც შავკანიანი ამერიკელებისათვის იქნება გადაულახავი, მე ვარ აფრო-ამერიკელი და ვამაყობ კიდეც ამით“. რაისი საჯაროდ ლაპარაკობს ღმერთის წინაშე უდიდეს რწმენაზე, ვინაიდან მისი აზრით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი იარაღი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონდოლიზა ცნობილია, როგორც ექსპერტი რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებში. „მან იცის საკმაოდ ბევრი საბჭოთა კავშირის შესახებ და არა მგონია მასავით მცოდნე ამ საკითხებში ვინმე შემხვედროდეს“, – განაცხადა ვიცე პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა, როდესაც 1980 წელს ერთ-ერთ

კონფერენციაზე გამოვიდა. კონდოლიზაზე უდიდესი გავლენა მოახდინა და მისი განათლების მიმართულებას გეზი მისცა პროფესორმა, ევროპელმა დიპლომატმა, ყოფილი სახელმწიფო მდივნის – მედელინ ოლბრაიტის მამამ ჯოზეფ კორბელმა, რომელიც კონდოლიზას ლექციების კურსს უკითხავდა.

სწორედ, ამ პერიოდში მიხვდა კონდოლიზა რაისი, რომ მას ძალიან იზიდავდა საერთაშორისო პოლიტიკა. ეს იყო პროფესია და ის სფერო, რაზეც მომავალში უნდა ეფიქრა. მართლაც, არ შემცდარა არჩევანში. ეს იყო მისი ცხოვრების დიდი ინტერესი. მისი ნაშრომები საკმაოდ კარგად მეტყველებს მის უდიდეს ცოდნაზე საბჭოთა კავშირის შესახებ. მრავალფეროვანია მისი ნაშრომების ნუსხა, რომელ-თაც სახელი გაუთქვეს მას, როგორც საბჭოთა რეჟიმის ექსპერტს. ესენია: „საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის არმია“, „გორბაჩოვის ერა“, „გერმანიის გაერთიანება და ევროპის გარდაქმნა“ და სხვა მრავალი სტატია თუ პუბლიკაცია.

საბჭოთა საკითხების ღრმა ცოდნამ საფუძველი შეუქმნა მის შემდგომ კარიერას. კონდოლიზა გახდა ხელ-მძღვანელთა ერთიანი შტაბის წევრი, რამაც საბოლოოდ იგი ვაშინგტონამდე მიიყვანა. როგორც ამ შტაბის წევრი, კონდოლიზა ძირითადად მუშაობდა სტრატეგიული შეიარაღების საკითხებზე. მალე იგი გაემგზავრა ბულგარეთში ამერიკის ელჩთან ერთად, რომელიც საბჭოთა კავშირმა მიიწვია, რათა გასაუბრებოდნენ საბჭოთა დიპლომატებს იარაღის კონტროლის პოლიტიკაზე. 1989 წელს კონდოლიზა დაინიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად და როგორც მამა ბუში იგონებს, საბჭოთა კავშირის შესახებ სრულ ინფორმაციას, სწორედ, კონდოლიზასაგან ღებულობდა.

გაეროში, ერთ-ერთ ფორუმზე, მან წარადგინა თემა: „საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობა გორბაჩოვის

პერიოდში“. ეს იყო ფორუმი, რომელზედაც ერთ დროს გამოდიოდნენ თეოდორ რუზველტი, მარტინ ლუთერ კინგი, რონალ რეიგანი. ამ ფორუმზე გამოსვლამ საკმაოდ დიდი რეპუტაცია შესძინა მას. სწორედ, ასეთი მორიგი კონფერენციის დროს იგი შეხვდა ბრენდ სკოუფორდს, რომელიც აღფრთოვანებული იყო მისი ცოდნით საბჭოთა კავშირის შესახებ. სკროუფორდი, როცა აირჩიეს მამა ბუშის მრჩევლად ეროვნული უშიშროების საკითხებში, მან მაშინვე აიყვანა კონდოლიზა თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოში, სადაც ის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხებს კურირებდა.

ჯორჯ ბუშმა უმცროსმა საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე მიიწვია კონდოლიზა, რომელიც იმავდროულად არაპოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებდა. ბუშის საარჩევნო კომპანიას იგი ესაჭიროებოდა, როგორც ქალი – ქალთა ხმების მისაღებად და როგორც შავკანიანი, რათა განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებიათ უმცირესობის მნიშვნელობისათვის.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაბეჭდილი სტატიის თანახმად, ბუშის საგარეო პოლიტიკის წევრები კონდოლიზას გარეშე არ აკეთებდნენ განცხადებებს. საარჩევნო კამპანიაში მას მთავარი ადგილი ეკავა და კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო საკითხებს დიკ ჩეინის, ჯორჯ შულცისა და პოლ უოლფოვიცის გვერდით. იგი ამავე დროს იყო პროგრამის წევრი: „ქალები ქალებისათვის“, რომლის დახმარებითაც რესპუბლიკურმა პარტიამ შეძლო მიეზიდა ქალთა ხმები დემოკრატიული პარტიიდან.

თანამდებობაზე წარდგენისას ბუშმა იგი ასე დაახასიათა: „კონდი არის გამოცდილი პიროვნება, კარგი მმართველი, მე

ვენდობი მის გადაწყვეტილებებს, მოვა დრო და ამერიკა მის ნიჭიერებას აღმოაჩენს“.

კონდოლიზა რაისის წარმატება ჯერ კიდევ მამა ბუშის დროს დაიწყო, როდესაც გორბაჩოვთან შეხვედრისას აშშ-ს პრეზიდენტმა მისი დახმარებით საკმაოდ კარგად შეძლო გლობალურ მშვიდობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ასევე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, უკვე ბუში უმცროსის ადმინისტრაციაში, კონდოლიზას ვიზიტი მოსკოვში, რომელიც პუტინთან სამხედრო თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას ეხებოდა. კონდოლიზა იყო მრჩეველთა ადმინისტრაციიდან პირველი, ვინც მოსკოვში ამ მისით ჩავიდა. ეს ვიზიტი კი შეფა-სდა, როგორც უპრეცენდენტო. ჰენრი კისინჯერის შემდეგ მოსკოვს არ სწვევია მრჩეველი ასეთი მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისით. ამ შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, რომ მოსკოვს მიეღო ბუშის სამხედრო გეგმა და მიეღწიათ შეთანხმება ბირთვული არსენალის რადიკალურად შემცირების თაობაზე. კონდოლიზა ძალიან ფრთხილობდა, რათა არ გამოემუდავნებინა, რომ ინიციატივა პრეზიდენტისაგან მომდინარეობდა, ამიტომ ის ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს აზრი მომდინარეობდა მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ოფიციალური პირებისაგან, რომელთა შორის თვითონაც დიდი ადგილი ეკავა.

კონდოლიზას თავისი განათლება, ცხადია აძლევს იმის უფლებას, რომ გავლენა მოახდინოს ბუშის მსოფლ-მხედველობაზე, თუმცა იმასაც ცდილობს, ნაკლებად მოხვდეს ყურადღების ცენტრში. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მას მოუხდა მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, როგორიც არის „ეროვნული უშიშროების სტრატეგია“,

რომელსაც ფაქტიურად უნდა განესაზღვრა ამერიკის როლი
მსოფლიო პოლიტიკაში.

ზოგჯერ მისი შეხედულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა.
ერთი მხრივ, იგი როგორც კონსერვატორი რესპუბლიკელი
ამბობს, რომ ამერიკის სამხედრო შენაერთები არ უნდა
ერეოდნენ სხვა ქვეყნების კონფლიქტებში, თუმცა იმავდ-
როულად მომხრეა სამხედრო ტვირთის გაზიარებისა და კოა-
ლიციისა სხვა ქვეყნებთან, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას
მსოფლიო იყოს უფრო მეტად დემოკრატიული და
მშვიდობიანი. მისი სიტყვებით: „ეს იყო მთავარი ამერიკის
არსებობის ისტორიაში და ამ ნაბიჯით უნდა შევიდეს
ამერიკა ახალ საუკუნეში“. დღევანდელობიდან გამომდინარე
ამერიკა აძლევს თავს უფლებას გადაწყვიტოს, თუ რა არის
ცუდი მსოფლიოსათვის და იტოვებს კიდევაც ამის უფლებას.
„სამხედრო ძალა არსებობს იმისათვის, რათა განამტკიცოს
და წაეშველოს გონივრულ, გამჭვირვალე პოლიტიკურ
მიზნებს. ჩვენ ვცდილობთ არ მივიდეთ ომამდე, მაგრამ
ხანდახან იმისათვის, რომ მივაღწიოთ მშვიდობას, უნდა
ვიყოთ სერიოზულად განწყობილი იარაღის გამოყენე-
ბისათვის“.

კონდოლიზა რაისი თავისი შრომისმოყვარეობით,
პოლიტიკური გამჭრიახობით და ცოდნის წყალობით შეუც-
ვლელი გახდა არ მარტო, როგორც ბუმის „პრეზიდენტის
დღიურის“ ავტორი, არამედ ის შეუცვლელი გახდა თეთრი
სახლის სახელმწიფო პოლიტიკისათვის. დღეისათვის იგი
ყველაზე ცნობილი ქალია პოლიტიკურ ასპარეზზე, მსგავსად
მედელინ ოლბრაიტისა, რომელიც თავის წარმატებას ყველა
ქალის დიდ წარმატებად მიიჩნევდა.

ფერადკანიანთა განვითარების ეროვნულმა ასოციაციამ სცნო კონდოლიზას მიღწევები და მას პრეზიდენტის ჯილდო გადასცა. ჯილდო, რომელიც გადაეცემა იმ პიროვნებებს, რომელთა წარმატებებიც უმცირესობის ინტერესების წარმატებას ნიშნავს. როგორც პრეზიდენტ ბუშთან დაახლოებული და ნდობით აღჭურვილი პირი, კონდოლიზა ყველაზე ცნობილი ზანგი ქალია მსოფლიოში. მან შეძლო დაენგრია თეთრი სახლის მკვეთრად განსაზღვრული იერარქიული „კიბე“. კონდოლიზა არის ამერიკის მე-20-ე უშიშროების მრჩეველი, პირველი ქალი ამ თანამდებობაზე და მეორე შავკანიანი კოლინ პაუელის შემდეგ, რომელიც ჯერ კიდევ რეიგანის დროს გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

მოარული ხმები ამბობენ, რომ მალე ამერიკის პრეზიდენტი წამოაყენებს მის კანდიდატურას ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. ზოგიერთი უფრო შორს მიდის და ამბობს: რაისი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური ფიგურა გახდა და ამიტომ აქვს ყველა პირობა, რათა მომავალში გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმატებული პრეზიდენტიც.

ჰილარი კლინტონი – „ოჯახი თუ პოლიტიკა?“

„ქალები მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ, მათი 70 % სიღარიბეში იმყოფება და გაუნათლებელია. ქალთა შრომა ჯეროვნად არ ფასდება. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ არ არსებობს სპეციალური ფორმულა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართოს ქალმა თავისი ცხოვრება.“

ჩვენ უნდა დავაფასოთ ქალების არჩევანი. ყველა ქალი იმსახურებს, ჰქონდეს იმის შანსი, რომ მოახდინოს ღმერთის მიერ ბოძებული პოტენციალის რეალიზაცია“.

**ჰილარი კლინტონი
სენატორი**

პოლიტიკაში ქალის „მეორე ხარისხოვნობის“ სტერეოტიპის დამსხვრევაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პირველ ლედის ჰილარი როდემ-კლინტონს.

მან და ამერიკის შეერთებული შტატების მომავალმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 1975 წელს იქორწინეს. ჰილარი დიდხანს ყოყმანობდა, იმაზე თუ რომელი აერჩია „ოჯახი თუ პოლიტიკა?“.

მალე მიხვდა, რომ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის „აუცილებელი არ იყო საკუთარი ოფისი, ეს შეიძლებოდა ქმრის ოფისიც ყოფილიყო“.

ამ ბოლო დროს შტატებში, პირველ ადგილზე წამოიწია ქალების პროფესიონალიზმის პრობლემამ. ისე აეწყო საქმე, რომ უმრავლესობა პოლიტიკაში მოდის ტრადიციულად კაცების სფეროდან – იურისპუდენციიდან. იურიდიული განათლება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოზიტიური ფაქტორი, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო, ჰილარის გამარჯვებას.

უელსის პრესტიული კოლეჯის დამთავრების შემდეგ ის აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან ქალ-სტუდენტებს შორის, ვინც მსოფლიოში ცნობილი იელის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლა გამოიარა. უნივერსიტეტის შემდეგ ჰილარი მუშაობდა ვაშინგტონში სპეციალურ კომიტეტში, რომელიც ნიქსონის ადმინისტრაციის უოტერგეიტის საქმეს იკვლევდა. მაშინ და შემდეგაც ჰილარი უურნალისტებს ეუბნებოდა: „კომიტეტში მუშაობისას მან დიდი პროფესიული გამოცდილება შეიძინა“.

ჰილარი აღმოჩნდა პირველი ქალი, რომელმაც მუშაობა დაიწყო პრესტიულ იურიდიულ კომპანიაში „Rose Haw Firm“. იგი ორჯერ აღმოჩნდა აშშ-ს 100-ს ყველაზე გავლენიან იურისტთა შორის.

„დიდი პოლიტიკის“ თამაშის წესების დამუშავებაში და კაც ლიდერთა შორის გლობალური პრობლემატიკის გადაჭრისაკენ სწრაფვა და საკუთარი პოლიტიკურ მე-ს შექმნაში ჰილარს უპირველესად დაეხმარა ქალური ინტუიცია და შეგრძნებების უნარი, რომელსაც ცხოველმყოფელი იმპულსი მისცა ბილ კლინტონის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიაში ჩართვამ. ამ დროს ჰილარი ქმრის სრულუფლებიან პარტნიორად მოგვევლინა.

კომპანიის ლოზუნგი იყო „ორი ერთის ფასად“, ანუ შეერთებული შტატების გადასახადების გადამხდელი არჩევნებზე დახარჯული ფულით ერთის ნაცვლად ორ კვალიფიცირებულ პოლიტიკოსს იღებდა. სოციალური პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში ჰილარი ქმარზე უკეთ იყო მომზადებული და ამიტომაც გამარჯვების შემდეგ ბილმა იგი დანიშნა იმ ჯგუფის „მოხალისე“ (ანაზღაურების გარეშე) ხელმძღვანელად, რომელიც ჯანდაცვის რეფორმით იყო დაკავებული და უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებობდა.

ჰილარმა თავისი ოფისი მოაწყო თეთრი სახლის დასავლეთით, ანუ სამუშაო ნაწილში. მაშინ, როცა მისი წინამორბედი პირველი ქალბატონები, ისეთი გავლენიანე-

ბიც კი, როგორიც იყვნენ როზალინ კარტერი და ნენსი რეიგანი, „საცხოვრებელ ნაწილში“ მოღვაწეობდნენ და მნახველე-ბსაც იქ იღებდნენ. ამ მოქმედებით ჰილარმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ის არა უბრალოდ ცოლია და ქვეყნის პირველი ლედი, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკოსი.

პირველი ლედის „უჩინარი გავლენა“ ჰილარიმ ოსტატურად იმისათვის გამოიყენა, რომ პრეზიდენტი ბილ კლინტონის მოღვაწეობა მან ყველაზე ფემინისტური გა-ხადა და ერთიორად გაზარდა ქალების აქტიურობის როლი ქვეყნის პოლიტიკაში და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ქალის პოლიტიკაში „ჩართვის“ მორალურ-ფსიქოლოგიურ პირობად ჰილარმა გამოიყენა ყოველი ნაბიჯის, ყოველი სიტყვის, ყოველი ჟესტის მკაცრი გააზრებულობა და შენი-ღბულობა.

იგი სენატში ადგილისათვის ბრძოლის დროს ყოველ კვირა ნიუ-იორკის სხვადასხვა რაიონის აფრო-ამერიკულ ეკლესიაში გრძელი ქვედაკაბით დადიოდა. ამას იგი აკეთებდა არა ზანგი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო, არამედ ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის მოსაზიდად.

კარგად გააზრებული ტაქტიკა იყო ასევე ჰილარის მიერ სინაგოგებში, ებრაულ სასწავლო დაწესებულებებში სია-რული. მრავალი საუბარი სამღვდელოებასა და მორწმუ-ნეებთან, იმის გამო, რომ მოეპოვებია ამ პოლიტიკურად და ფინანსურ-ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ჯგუფის მხარ-დაჭერა.

ჰილარი კლინტონის პროგრამის ყველაზე მომგებიანი ნაწილი, მაინც სოციალური სფერო გახლდათ. ჯანმრთე-ლობის, განათლების, დასაქმების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხებზე მუშაობისას იგი არ სარგებლობდა სინაწულისა და დაპირებების ფუჭი სიტყვებით, ან ციფ-რებისა და ფაქტების აღრიცხვით. პრობლემის მოგვარე-ბისათვის იგი ყოველთვის საქმით იბრძოდა.

უაღრესად შრომისმოყვარეობით, ნათელი გონიერებით, შორსმჭვრეტელობით, ენერგიულობით, განათლებითა და ანალიტიკური გონიერებით შტატების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰილარმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა და ამიტომაც აირჩიეს 2000 წლის 7 ნოემბერს სენატორად ნიუ-იორკიდან.

მისი სენატორობის პერიოდი ნაყოფიერი კანონშემოქმედებითი მუშაობით გამოირჩეოდა. იგი მუშაობდა სენატის იმ კომიტეტში, სადაც ძირითადი განსახილველი საკი-თხები იყო: ბუნების დაცვა, ჯანმრთელობისა და სოცია-ლური უზრუნველყოფა, განათლება, შრომა და ა.შ. სენატორი კლინტონი პირველი ქალი იყო, რომელიც მუშაობდა სამხედრო კომიტეტში. 108-ე კონგრესში საქმიანობისას მან ასევე პრიორიტეტად დაისახა ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებიც.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, მისი ძალისხმევითა და აქტიური მოღვაწეობით შესაძლებელი გახდა 21,4 მილიარდი დოლარის მოზიდვა. მისი ნაწილი ტერაქტის შედეგად დანგრეული ტერიტორიების გაწმენდა-აღდგენის სამუშაოებს მოხმარდა, ხოლო ნაწილი დაზა-რალებულთა პირველადი დახმარებისათვის იქნა მიმართული.

ჰილარი კლინტონი, როგორც სენატორი, განუწყვეტლივ ზრუნავდა მომავალ თაობაზე. მისი ინიციატივით ხდებოდა სასწავლებლების შეკეთება-მოდერნიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარება, ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.

მადლიერების დღეს იგი იმყოფებოდა ავღანეთსა და ერაყში, ამერიკის სამხედრო-ძალების დისლოკაციის ადგილებში, რითაც მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადა სამშობლოდან შორს, ცხელ წერტილებში მებრძოლ თანამემამულეებს. ასევე დღესასწაულის დღეები მან მე-10-ე სამთო დივიზიის მებრძოლებთან ერთად გაატარა, რითაც დაამტკიცა, რომ მხარდაჭერას ამით არ დაასრულებდა და

ვეტერანთა საკითხების გადასაჭრელად ბრძოლას გააგრძელებდა. სენატორი გამუდმებით იბრძოდა ვეტერანთა სამედიცინო დაცვის გამო ფინანსების მოძიებისათვის, რისთვისაც ამერიკული ლეგიონების ვაშინგტონის 44-ე კონფერენციაზე 2,7 მილიონმა ამერიკული ლეგიონის წევრმა პილარი გმირად შერაცხა.

„ქალიც და მამაკაციც, რომელიც ემსახურება ჩვენს ქვეყანას ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ იყოს საუკეთესოდ დაცული. ჩვენ უნდა ვიყოთ ხელგაშლილნი, როდესაც ისინი ბრუნდებიან სახლში და უნდა განვაგრძოთ მათი თანადგომა წლების განმავლობაში. მე მჯერა, რომ მათი დახმარება ჩემი მორალური ვალია“, — განაცხადა სენატორმა კლინტონმა. ამერიკელმა ლეგიონებმა მათზე ზრუნვისათვის იგი 2004 წელს დააჯილდოვეს.

სენატორ ქალს არც ბავშვები დარჩენია ყურადღების მიღმა. 1996 წელს დაავადებათა კონტროლის ცენტრი „CDC“, რომლის პროგრამაში იყო დეფექტით დაავადებულ ბავშვთა სამედიცინო კვლევა, პილარმა თავისი ძალისხმე-ვითა და ჩარევით მოახერხა მათთვის 800 000 დოლარით დაფინანსება.

სტატისტიკის მიხედვით შეერთებულ შტატებში დაახლოებით 150 000 ბავშვი იბადება ერთი ან მეტი თან-დაყოლილი ანომალიით და უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ, ეს არის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზი. თუმცა, 6 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით 9 რეგიონალური ცენტრი მუშაობს და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

სენატორი კლინტონი ცდილობდა, რომ დაავადებათა კონტროლის „CDC“-ს მოეპოვებია შემდგომი კვლევების შესაძლებლობა, ამისათვის გასულ წელს მან თავისი კოლეგებისაგან შექმნა გარკვეული ჯგუფი, რომლებმაც 10 მილიონი დოლარით დააფინანსეს „CDC“ ცენტრი.

პილარმა დიდი ძალისხმევა მოახმარა ასევე უმცირესობათა სამედიცინო დაცვას, რომელმაც სენატის

უდიდესი მხარდაჭერა მიიღო. 2002 წელს სამედიცინო ინსტიტუტებში ჩატარებულ გამოკითხვებისას გამოაშვარავებულ პრობლემებზე მან განაცხადა:

„მჯერა, რადგან ჩემმა წინადადებამ ასეთი მხარდაჭერა მოიპოვა სენატში, ეს აიძულებს ადმინისტრაციას დაინტერესდეს უმცირესობის სამედიცინო დაცვის საკითხით. ეს არ ეხება მხოლოდ ნიუ-იორკის მოსახლეობას, არამედ ეხება ყველა ამერიკელს. და, მე, ვარ ამაყი იმით, რომ მაქვს შანსი მონაწილეობა მივიღო ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებაში მაინც“.

სენატორ ჰილარი კლინტონის პროგრამის ყველაზე მომგებიანი ნაწილი სოციალური სფერო იყო და სწორედ, ამიტომ დაიწყო მან ამ პროგრამის პოლიტიკური ნაწილის განხორციელებაც.

სენატორებმა გრეპემმა და კლინტონმა წარმოადგინეს კანონპროექტი, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა საარჩევნო ხმის დათვლას. ეს კანონი ითვალისწინებს კომპიუტერიზებულ საარჩევნო სისტემას, რომელიც ქაღალდზე ჩანაწერებსა და კომპიუტერულ გაუმართაობას უზრუნველყოფს. თან ეს საარჩევნო ბიულეტენი გამოყე-ნებული იქნება ასევე საჭიროების შემთხვევაში ხმების ხელახალი დათვლის დროს.

ეს კანონპროექტი საჭიროებდა ფონდების მოზიდვასა და იმის უზრუნველყოფასაც, რომ ყოველ შტატს მის განსახორციელებლად 150 მილიონი დოლარი მიეღო.

ერთხელ სენატორ კლინტონს ასეთი კითხვა დაუსვეს: „როდესაც ლაპარაკობთ სამოქალაქო უფლებებზე, რას ფიქრობთ გამოთქმაზე „ამერიკა-ამერიკელებისათვის?“.

1823 წლის 8 დეკემბერს პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ ჩამოაყალიბა დოქტრინა, რომელიც „მონროს დოქტრინის“ სახელთ შევიდა ისტორიაში. იგი გამოხატავს სოლიდარობის სულისკვეთებას ლათინური ამერიკის ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკებისადმი. ამ ერებმა, თავის მხრივ, სცნეს პოლიტიკური სიახლოვე შეერთებულ შტატებთან.

სწორედ, ეს სულისკვეთება გასდევს ჰილარის პასუხს, სადაც იგი აღნიშნავს: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ვერ ვექცეოდით ყოველთვის სამართლიანად ჩვენი ქვეყნის სტუმრებს. აღნიშნული გამოთქმა შეიძლება რასიზმშიც ვი გადაიზარდოს. მე ვიმუშავებ იმაზე, რომ დავიცვა სამოქალაქო და ადამიანის უფლებები არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. მე მინდა გავაკეთო ყველაფერი, რათა დარწმუნებული ვიყო, რომ პროგრამები და პოლიტიკა, რომელიც უნდა გატარდეს, სრულდება ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენ, ალბათ, ბოდიში უნდა მოვიხადოთ აფრო-ამერიკელთა წინაშე, მათი ასწლოვანი მონობის გამო“.

სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას ჰილარი მოუწოდებდა ყველას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განუხრელად დასაცავად. 1995 წელს გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე ქალთა საკითხებთან დაკავშირებით განაცხადა:

„ქალები მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს, მათი 70 % სიღარიბეში იმყოფება. ქალთა შრომა ჯეროვნად არ ფასდება. ჩვენ უნდა შევიგნოთ რომ არ არსებობს სპეციალური ფორმულა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართოს ქალმა თავის ცხოვრება. ჩვენ უნდა დავაფასოთ ქალების არჩევანი. ყველა ქალი იმსახურებს, ჰქონდეს იმის შანსი, რომ მოახდინოს ღმერთის მიერ ბოძებული პოტენციალის რეალიზება“.

სენატორი კლინტონი საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას აცხადებდა: „საჭიროა მეტი ინტერნაციონალიზმი, ვიდრე იზონაციონალიზმი“. ასევე აუცილებლად მიიჩნევს შეერთებული შტატების ლიდერობის შენარჩუნებასა და დაცვას. ამასთან, თავის პოზიციას აფიქსირებს კუბის მიმართ ემბარგოზე და კვლავ აცხადებს თავის მხარდა-ჭერას ისრაელის მიმართ.

მისი აზრით ყველაზე სტრატეგიული არჩევანი არის – მშვიდობა.

„ჩვენ ვმუშაობთ მშვიდობისათვის, ჩვენ ვაღიარებთ , რომ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში არის არა მარტო მორალური აუცილებლობა, არამედ სტრატეგიული არჩევანი, რათა დაცული იყოს ბავშვების უსაფრთხოება ისრაელში. ეს არ ნიშნავს, რომ ისრაელის თავდაცვა უნდა შესუსტდეს და არც იმას, რომ მისი მეგობრები განსაკუთრებით შეერთებული შტატები მოიხსნის პასუხისმგებლობას, დაე-ხმაროს მას შეინარჩუნოს სიძლიერე. უბრალოდ, მშვიდობასა და დემოკრატიაზე მუშაობა არასდროს დასრულდება“.

სენატორი ეხება შეერთებული შტატების საგარეო დახმარების საკითხსაც და აღნიშნავს:

„ბევრს აინტერესებს, თუ რამდენი იხარჯება ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ჩვენ მხოლოდ 1%-ს ვხარჯავთ. ბევრი კი ფიქრობს, რომ ეს არის დაახლოებით 25%. ისინი ცდებიან, რადგან 1% ინვესტიცია იხარჯება მთელ მსოფლიოში პრობლემების მოგვარებაზე. ეს 1% ასევე ეხმარება ამერიკას ჰეგემონიის შენარჩუნებაშიც. მე ის მინდა, რომ ჩვენ არ მოვწყდეთ მსოფლიოს, რადგან მსოფლიო პრობლემები ჩვენი პრობლემებია და ამით დავრჩებით ლიდერები“.

არჩევნების დროს ქალებს თავს ესხმიან პოლიტიკური მოწინააღმდეგები და პრესა, რასაც სუსტი სქესის წარმომადგენლები უფრო მტკიცნეულად აღიქვამენ, ვიდრე კაცები.

აქ, პილარი კლინტონის მაგალითი უნდა მოვიყვანოთ, ალბათ, საჭირო იყო მისეული საოცარი თავდაჭერილობა, რომ ღიმილით ეპასუხა საზოგადოებისა და ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს „მსოფლიოში ყველაზე შეურაცხყოფილი ქალის მდგომარეობაში, მონიკა ლევინსკის ისტორიის შემდეგ“...

პილარმა თავისი უდიდესი პროფესიონალიზმი გამოიყენა, რათა ეს „არასასიამოვნო“ ისტორია თავის სასარგებლოდ გამოეყენებია. ამით, მან, ზოგიერთში თანაგრძნობა გამოიწვია, ზოგიერთი კი აღაფრთოვანა იმით, თუ როგორ ეჭირა თავი“...

ყოფილი პირველი ლედისა და სენატორის ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგიერთი ფაქტის აღნიშვნა იმას მიგვანიშნებს, რომ ჰილარს აქვს უნარი თავისი თავი მომგებიანად მიაწოდოს საზოგადოებას, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს საკუთარი ბიოგრა-ფიის ყველაზე პირადული, ინტიმური ფაქტიც კი, რაც მთავარია ამერიკის მკაცრ საზოგადოებას არ დაანახოს ქალური სისუსტეები, ითამაშოს პოლიტიკაში კაცების წესით, ზოგჯერ თავისი ქალობაც დაივიწყოს, მოახდინოს არამარტო საკუთარი თავის უნარების რეალიზაცია, არამედ სხვისი უნარების რეალიზაციაც.

ამერიკული საზოგადოება და სამეცნიერო წრეები თვლიან და ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ „ქალი – ოჯახში“, „ქალი_პოლიტიკაში“ და „ქალი _საზოგადეობაში“ უნდა იყოს დატვირთული და ღირსეულად უძღვებოდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ვფიქრობთ, რომ სამივე ამ მოთხოვნას ზედმიწევნით კარგად და თანაბრად ფლობს სენატორი ჰილარი კლინტონი და მას ყველაზე მეტად აქვს შანსი გაიმარჯვოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

არჩევნებში საკუთარი კანდიდატის დასაფინანსებლად ჰილარმა მოიპოვა ათეული მილიონობით თანხა, რაც ნიშნავს, რომ ჰილარი უყვართ, ჰილარის სჯერათ და ჰილარს ამომრჩევლები ენდობიან.

თავის საპრეზიდენტო პროგრამაში ჰილარი კლინტონმა დააყენა ერაყში ომის შეწყვეტის მოთხოვნა, რაც მისი, როგორც დედისა და ქალის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გაგრძელებაა.

დემოკრატ ჰილარი კლინტონს აქვს უტყუარი შესაძლებლობა გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი ქალი და ამით მითი-ქალი პრეზიდენტი – რეალობად აქციოს!

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გამეფებულია დემოკრატიული

მმართველობის ფორმა, რაც თავის საფუძველშივე გულისხმობს კონსენსუსსა და შეთანხმებას, ამიტომ იგი თავის არსმივე ქალური ბუნების გამოხატულებაა.

ქალ პრეზიდენტს – აქვს იმის გარანტია, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ინდივიდი და საზოგადოებას მისცეს იმის საშუალება, რომ მშვიდ და ბედნიერ რითმში იფუნქციონიროს.

ის, რაც ვერ შეძლო შეერთებული შტატების 43-მა პრეზიდენტმა, ვფიქრობთ, რომ ამას შეძლებს დემოკრატი ჰილარი კლინტონი ქალური პოლიტიკითა და დიპლომატიით. ამასთან იგი გლობალიზაციის პრობლემურ საკითხებსაც უმტკიცნეულოდ გადაჭრის.

ქალი-პრეზიდენტის-არჩევით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიმსხვრევა მამაკაცის დომინანტობის არქეტიპი პოლიტიკაში.

და უტყუარი ჭეშმარიტება_ყველა თანასწორია თავისი ადამიანობით ქალი პრეზიდენტის მოსვლის შემთხვევაში ახალი პოლიტიკის წესებიც დამკვიდრდება.

ქალი პრეზიდენტი: „მითი თუ რეალობა?!”

„ადამიანებს შორის საუკეთესონი
საკუთარ პიროვნებაში აერთიანებენ,
როგორც მამაკაცურს, ასევე ქალურს“.

რაღაფერსონი

ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი

ქალებს თუ წინათ მირითადად ლეგენდებს, ლექსებს, პოემებს, სიმღერებს, სადღეგრძელოებს უძლვნიდნენ, უკანასკნელ ათწლეულებში მათ არაერთი სამეცნიერო წაშრომი მიუძღვნეს. სხვადასხვა დარგის მეცნიერ-ისტორიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, პოლიტოლოგები, იურისტები და სხვები იკვლევენ ქალის როლსა და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში, მათ წვლილს საზოგადოებრივ განვითარებაში, სქესების ფაქტობრივ თანასწორობის მიღწევის გზებსა და მეთოდებს და ა.შ.

ცხადია, აღნიშნული პრობლემებისადმი ინტერესი შემთხვევითი არ არის. დღეს, როდესაც ადამიანის შესაძლებლობები ვითარდება მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის პროგრესის პირობებში, როცა პიროვნება სოციალურად და სულიერად თავისუფლდება, მსოფლიოში მიმდინარე ამ ცვლილებებში მთელი მოსახლეობის, შესაბამისად, ქალების ჩაბმაც აქტუალური გახდა.

მართლაც, თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანია ქალის როლის, მისი წვლილის ზრდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების პროცესებში ქალების პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლება. ამას დიდად შეუწყონელი ფემინისტურმა მოძრაობამ, რომელიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აშშ-ში გაიშალა XXI საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

ბუნებრივია ისმის კითხვა, როგორ უნდა განვითარდეს ფემინისტური მოძრაობის შემდეგი საფეხურები? რას ნიშნავს ქალთა მოძრაობა დღეს, XX საუკუნის დასაწყისში, მაშინ

როდესაც ქალებს უკვე რეალურად მოპოვებული აქვთ ყველა ის უფლება, რომელიც აქვთ მამაკაცებს? რაა ის მიზნები, რომლებსაც უნდა ისახავდნენ ქალთა მოძრაობის წარმომადგენელნი, რათა მათი პრობლემატიკა დროის შესაბამისი და ისტორიული პროცესების ადექვატური იყოს?

აქ, პასუხი ორ სიბრტყეში გაიცემა – მიზნებისა და საშუალებების თვალსაზრისით. მიზნები ზოგადად ორ კატეგორიად იყოფა: მიზნები, რომლებიც მოიცავს ქალთა პრობლემატიკას, და მიზნები, რომლებიც გლობალურ საყოველთაო საკითხებისკენაა ორიენტირებული და არ ვიწროვდება სქესობრივი განპირობებულობებით.

ამ მიზნის განსახორციელებლად ჩართვა სოციალურ გარემოში შესაძლოა სამნაირი იყოს: 1) „ითამაშო კაცებთან ერთად“, 2) „გახდე კაცი“, 3) „გახდე შენი თავი, რაც ნიშნავს გახდე ქალი პოლიტიკოსი, განავითარო და ჩამოაყალიბო, შენი საკუთარი მე, ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ პოლიტიკა შესაცვლელია, აგრეთვე ამის გაბედვას“.

როგორია პოლიტიკა დღევანდელ სამყაროში და რა მოთხოვნებს უყენებს ეს სფერო, მასში მონაწილე სუბიექტებს ქალსა და კაცს?

პოლიტიკისათვის, პოლიტიკოსებისათვის რაციონალურ აზროვნების უნარზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია დროის განცდა, ინტუიცია, ურთიერთობის აგების უნარი, თანმიმდევრულობა და სიმამაცე. პოლიტიკოსი ეს ის ადამიანია, რომელიც ინტუიციურად გრძნობს თუ რა დროს რა ნაბიჯი გადადგას. სწორედ, რომ „გრძნობს“ და არ „იცის“. იგი „ხვდება“ მოწინააღმდეგის, ან თუ გინდ თანამოაზრის ემოციას, განწყობას და თავის საქციელს, სწორედ, რომ ამ განცდიდან გამომდინარე ინტუიციური ცოდნით – გარკვეული ენერგე-ტიკული ბალანსის რიტმში აგებს.

პოლიტიკოსები ნაკლებად თუ აზროვნებები ლოგიკური და რაციონალური აპარატის მოშველიებით. ისინი აზროვნებენ, მაგრამ ინტუიციური, „მიხვედრითი“ აზროვნებით.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მამაკაცური ფსიქიკისათვის უფრო დამახასიათებელია რაციონალური, ლოგიკური აზროვნება, ხოლო ქალთათვის ინტუიცია და შეგრძნების უნარი, გამოვა, რომ პოლიტიკა ერთმნი-შვნელოვნად ქალური საქმიანობაა. მაგრამ კაცის ფსიქიკაშიც მოიძებნება ის საწყისები, რომლებიც მას პოლიტიკოსად აქცევს ესაა ქვეცნობიერი გამბედაობა და წინდაუხედავობა, სიმამაცე, როგორც ექსპერიმენტისაკენ სწრაფვა და ის რაც ქალებს აკლიათ. მაგრამ, აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ სწორედ ამ თვისებებიდან გამომდინარე კაცი იქცევა აგრესიული, წინდაუხედავი და საშიში პოლიტიკის ავტორად, რომელიც მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ასობით მიღიონი მსხვერპლის რიცხვითაა გამოხა-ტული.

დღეს, ისევ გზაჯვარედინზე ვდგევართ და ჩვენს არჩევანზე შეიძლება იყოს დამოკიდებული ჩვენი ბედი. ახლა, მიღიონჯერ გამრავლებული მახვილის მომაკვდინებელი მალა, ბირთვული იარაღის მეგატონები ემუქრება კაცობრიობის მთელ კულტურას.

ამიტომ 21-ე საუკუნეში, კაცობრიობა იწყებს რეალურად აგრესიული პოლიტიკის, თუნდ ჯერ კიდევ მხოლოდ იდეოლოგიურ, მაგრამ მაინც გადაფასებას. კაცობრიობა აყალიბებს ახალ სოციალურ ფილოსოფიას, რომელსაც იდეოლოგიურ ჩარჩოში დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება ეწოდება და რომელშიც ალბათ, სწორედ, ქალები ითამაშებენ გადამწყვეტ როლს.

დემოკრატია, სწორედ ქალური საწყისის მმართველობად უნდა ჩაითვალოს, როგორც ვიცით მამრობითი სქესი შექმნილია ექსპერიმენტისა და სამყაროს მიმართ აქტიური ქმედების განსახორციელებლად. მისი მიზანი საკუთარი თავისა და გარემოს გამოცდაა. უფრო რთულ, ადამიანურ დონეზე, იგი იღწვის შორეული და რთული მიზნების მისაღწევად.

რა რაციონალური საფუძველი აქვს მთელ ამ ომებს, კონფლიქტებს, სამყაროს დაყოფასა და გადანაწილებას,

მთელ იმ „დიდ თამაშებს“, რომლებსაც ასეთი გონებრივი დახვეწილობითა და რაციონალიზმით, მაგრამ აბსოლუტურად უმიზნოდ ახორციელებს თავისი ისტორიის მანძილზე მამაკაცური ტვინი? მათ არავითარი რეალური მიზანი არა აქვთ. არსებობს გლობალური პოლიტიკური წესები, რეალური მოგებები და წაგებები, წყდება მილიონობით ადამიანის ბედი, მაგრამ რეალურად მთელი ამ ქარტე-ხილის უკან არ დგას რეალური პრობლემა. რეალური საჭიროება, რომ მილიონობით ადამიანმა შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი და გადახოცონ ერთმანეთი. ეს საჭიროება მოგონილია თამაშის წესით. მამაკაცის აზროვნება, რომე-ლიც ასეთი დახვეწილი და გამართულია კონკრეტულ ქმედებებში, უსაფუძვლოა თავის ძირითად ორიენტაციაში, მიზნის განსაზღვრის თვალსაზრისით.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მამაკაცი ჭკვიანურად, გაანგარიშებულად და გათვლილად მიდის სადღაც, მაგრამ მან არ იცის თუ რეალურად სად მიდის ის. ნაბიჯების გადადგმაში მას მისი ინტელექტი და გამჭრიახი ტვინი ეხმარება, მაგრამ მიმართულებას აბსოლიტურად ემოციური განუსაზღვრელობა ახლავს. რაციონალიზმით გადატვირთულმა მამაკაცის ფსიქიკამ ირაციონალური ქმედებანი ჩაადენინა ჰიტლერს, მუსოლინს, ლენინს.

ყველაზე ძლიერი და ჭკვიანი მბრძანებელნიც კი თავიანთ ნაღვაწს აჯამებენ ფრაზით: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო!“.

ახლა, როდესაც ასე თუ ისე შევიქმენით წარმოდგენა კაცის ფსიქოლოგიაზე და ამ კლიმით გავაანალიზეთ პოლიტიკა დღევანდელ სამყაროში, მოდით ახლა, პოლიტიკას შევხედოთ იმ მოთხოვნებით, რომელსაც აქტივობის ეს სფერო უყენებს ქალს, პოლიტიკოსსა და პრეზიდენტს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრჯერ იყო მცდელობა შეეცვალათ, ან გარდაექმნათ ქალების ცხოვრების წესი რეფორმების გზით. ჩვენ ვიცით, რომ მაგალითად, ძველ ცივილიზაციაში შექმნილი პქონდათ რამდენიმე კულტუ-

რული მოდელი. ცნობილი იყო, რომ შუმერული კანონების მიხედვით, დედა და მამა შვილთან ერთად თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ. ჰამურაბის კანონის მიხედვით, თავისუფალი ქალისა და მოა-მამაკაცის შთამომავლობა თავი-სუფალი იყო – შვილები დედას ეკუთვნოდა. წინა ბერძნული მინოსური საზოგადოება თავისი რელიგიური და სოცია-ლური სტრუქტურით „ფემინისტი“ იყო. ცნება „Pax Minoice“ (მინოსური მშვიდობა) გამორიცხავდა ომებს, სისხლისღვრებს. საერთოდ, მაღალგანვითარებული კულტურისათვის უცხო იყო ძალადობა და ომი, ვინაიდან მინოსური იდეოლოგია, რომელსაც მდედრი აკონტროლებდა, ეწინააღმდეგებოდა მამაკაცის აგრესიულ ფსიქიკასა და პოლიტიკას. რა თქმა უნდა, კულტურათა ინსტიტუტის დადგენისათვის შესაძლებელია ძველი მითოლოგიის და ისტორიის მაგალითი არ გავიზიაროთ, რადგან ზღვარი რეალობასა და მითს შორის არასდროსაა მონიშნული, იგი მხოლოდ მკითხველის წარმოსახვას, გემოვნებასა და ასოციაციას ეყრდნობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მასში რეალური წარმოსახვის მარცვალი მაინც ურევია, განსაკუთრებით, მშვიდობიანი ცხოვრებისა და თანაარსებობის წესისათვის.

ეს რეალური მარცვალი დემოკრატიაა. დემოკრატიული მმართველობა, სწორედ რომ შეთანხმების, კონსენსუსის, მაქსიმალური დაკმაყოფილებისა და აყვავების იდეოლოგიაზე აღმოცენებული საზოგადოებრივი წესრიგის ფორმაა.

დემოკრატია საყოველთაო დამშვიდების, შენარჩუნებისა და დაკმაყოფილებისაკენ მიმართული საზოგადოებრივი ფილოსოფიაა, რომელიც თავის თავს ექსპერიმენტის ნაწილად კი არ განიხილავს, არამედ სიცოცხლის მომხმარებლად იაზრებს, რომელსაც ახლა და ამ წუთში სურს თავისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. დემოკრატია არ ცდილობს გადააკეთოს ადამიანი, გახადოს იგი უკეთესი, მისი მიზანია ამჟამად მცხოვრებ ინდივიდისათვის, როგორც ის არის, უზრუნველყოს მაქსიმალური დაკმაყოფილება და იგი

კი არ შეცვალოს, არამედ შეინარჩუნოს, რაც სპეცი-ფიურად, გენეტიკურად ქალური საწყისის პრეზენტაციაა.

ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ ისიც, რომ დღევანდელი სამყაროს, სხვადასხვა სიხშირეებსა და სიმძლავრეებზე, სულ უფრო გლობალური დემოკრატიზაციის პირობებში, ქალთა მიერ წარმართული ქალური არსის მქონე პოლიტიკა გლობალურ ისტორიულ პროცესების კონტექსტში გამართლებული ფენომენია.

აი, სწორედ ამ კონტექსტში, ჩვენ გვაქვს იმედი, რომ თანამედროვე მსოფლიოს კრიზისი ეს არაა მხოლოდ კონკრეტული ეპოქის კრიზისი, არამედ პატრიარქალური პოლიტიკის კრიზისიცაა. პირველი და მეორე მსოფლიო ომები, მეოცე საუკუნის კრიზისული კულტურა, ჩვენი ყოფის უმიზნობა და ბირთვული ომის შესაძლებლობების აბსურდულობა ქმნის ღირებულებათა გადაფასების მნიშვნელოვან საფუძველს. მთელ ამ მამაკაცურ აბსურდულ ექსპერიმენტებს, ბოლოს მაინც უნდა ჰქონდეს შეჯამება და მორალი. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად ჩვენ მივიჩნევთ საზოგადოების, სოციუმის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას, რაც მნიშვნელოვანწილად შეცვლის ინდივიდის ყოფის მოდელსაც. ანუ – საზოგადოების პატრიარქალური გაგება, როდესაც სოციუმი აღიქმება მამრობით სტრუქტურად და ე.ი. ექსპერიმენტის სარბიელად, უნდა შეიცვალოს მატრიარ-ქალური გაგებით, როდესაც პირიქით, სოციუმი გახდება სტაბილურობისა და სიმშვიდის ადგილი. აღდგება ის დაკარგული ბალანსი შიდასა და გარეს შორის, რომელიც პატ-რიარქალურმა პოლიტიკამ შექმნა. მამრმა, რომელიც შიდას გარესაგან დამცველი უნდა ყოფილიყო, გარე, ექსპერიმენტი შიგნით შემოიტანა და ამით დაარღვია ბალანსი. მაგრამ თუ საზოგადოებისადმი გაჩნდება მდედრობითი დამოკიდებულება, ისეთი, როგორც ოჯახისადმი, ბალანსი ისევ დასტაბილურდება.

დღეს შტატებში მოწიფდა აზრი ქალი-პრეზიდენტის არჩევის შესაძლებლობების შესახებ.

პრეზიდენტი_აშშ-ის ძალაუფლების სტრუქტურის ცენტ-რალური ფიგურაა. რატომღაც დღემდე ამ თანამდებობაზე ქალის კანდიდატურა სერიოზულად არასოდეს განხილულა. უფრო მეტიც, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ქალის წამოყენების ყოველ წინადადებას უარყოფდნენ, როგორც დაუსაბუთებელსა და სასაცილოსაც.

ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე დადგა დრო, რომ მითი სინამდვილედ იქცეს. ქალს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად მოაწესრიგოს, უზრუნველყოს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების წესი და დონე.

XXI საუკუნის დასაწყისის იმ ძვრების მიხედვით, რომლებიც ხდება სახელმწიფოთა თანაარსებობის, კულტურათა სისტემების დაახლოების მცდელობაში, შესაძლებლობა გვემლევა გავაანალიზოთ თანამედროვე საზოგადოების კულტურათა სისტემების ის მონაპოვარი, რომელიც დაგვიტოვა კაცობრიობის ისტორიამ და რომლის მოწყობაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა ქალმა. ის ნორმატიული აქტები, კონვენციები, ხელშეკრულებები და სხვა, რომლებიც სახელმწიფოთა შორის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ემსახურება, მნიშვნელოვნად უნდა იყოს განსაზღვრული დებულებებით. სადაც უფრო მკაფიოდ განისაზღვრება „ქალი_ბუნება“, „ბუნება_ქალი“.

დღეს მსოფლიოში აღიარებულია, რომ ქალთა კვლევის საკითხში დიდი როლი ერგო შეურთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოს. ბუნებრივია, აქვე ჩნდება კითხვა რა არის ამის მიზეზი?

პირველი, იმის გამო, რომ ქალთა კვლევები, როგორც აკადემიური დისციპლინა და აქედან გამომდინარე, აკადემიური გამოცდილებებიც ამ სფეროში წარმოიშვა და გავრცელდა.

მეორე მიზეზი, რამაც განაპირობა ამ ორი ქვეყნის წამყვანი როლი ქალის კვლევის თვალსაზრისით _არის

ფილოსოფიური ტრადიცია, რითაც აღმერდილია ეს ნაშრომები.

ფილოსოფიური კონცეფცია ფემინიზმი, რომელიც როგორც სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების მიმართულება წარმომობიდან იმყოფება სხვადასხვა ფილოსოფიური, ანთროპოლოგიურ-სოციოლოგიური და პოლიტიკური თეორიების მუდმივი და წინააღმდეგობრივი გავლენის ქვეშ.

მესამე მიზეზი ამ ქვეყნებში ქალთა კვლევის არნახული განვითარების არის ზედმეტი აბსტრაქციისა და თეორიულობისაგან თავისუფალი ინგლისური ენა, რომელიც ადვილად მოერგო ქალის კვლევის უმთავრეს პოსტულატს – ეს არის გამოცდილება, როგორც ცოდნისა და თეორიული განზოგადოების უმნიშვნელოვანესი წყარო. ინგლისური ენა ყოველთვის იყო და ახლაც რჩება გლობალურ ლინგვა ფრანგულ, განსაკუთრებით, მსოფლიო გლობალური ქსელის პირობებში, სადაც ინგლისური ენა სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს.

წიგნზე მუშაობისას კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა აგრეთვე ამერიკელ ფემინისტთა თავისებურებები. რაში მდგომარეობს ისინი?

შტატებში ფემინიზმის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონემ, პარტიულმა სისტემებმა, პროფკავშირის სიძლიერემ, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების თავისებურებებმა, მოსახლეობის განათლების დონემ და სხვა ფაქტორებმაც.

ფემინიზმს ქალთა მოძრაობის განვითარება მოჰყვა. ქალთა მოძრაობამ მოახდინა ფემინიზმის პოლიტიზაცია.

ქალთა ფემინისტური მოძრაობის ამერიკული მოდე-ლი ემყარება: 1. დეცენტრალიზებულ. 2. პლურალისტურ და 3. ლია პოლიტიკურ სისტემას, სადაც სამართალი ორიენტირებულია მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე.

ამერიკაში მოქმედებს ქალთა მოძრაობის ზეწოლის ჯგუფები. ქალთა ზეწოლის ჯგუფის მოქმედების შემდეგი ფორმებია:

- ა) მიტინგების, მარშების, დემონსტრაციების მოწყობა პროფესიონალ ქალთა მიერ.
- ბ) სამოქალაქო უფლებების დასაცავად სასამართლო სფეროში მუშაობა.
- გ) ლობირება: სპეციალიზებული, საკანონმდებლო პროექტების წარდგენა, არსებული კანონმდებლობის ექსპერტიზა.
- დ) ლიდერების მომზადება და მათი განათლება (სემინარები, ლექციები, ტრეინინგები და სხვა).

რაც შეეხება ქალების საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობას შეერთებულ შტატებში დღეს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. იქ არსებობს განსხვავებული ლიბერალური და კონსერვატიული შეხედულება. კონსერვატიული დამოკიდებულებების გამომხატველია 1992 წელს ვაშინგტონში შექმნილი „დამოუკიდებელ ქალთა ფორუმი“, რომლის მიზანია აჩვენოს, ყველა ამერიკელი ქალი ერთნაირად არაა დაინტერესებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური აქტიურობით.

ბევრი სვამს კითხვას: სჭირდება კი ქალს ძალაუფლება? რად უნდა ის?

თავმოყვარეობის, ძალაუფლებისაკენ ლტოლვის დაკმაყოფილებისა თუ უფრო მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი საკითხების გადაწყვეტისათვის.

ქალმა, რომ ფაქტიურად, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური, სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში, თვით საზოგადოება უნდა იყოს მზად გაითავისოს ახალი სოციალური თუ პოლიტიკური როლი.

ქალთა სხვადასხვა განწყობილების მიუხედავად, შეერთებულ შტატებში ნელ-ნელა მწიფდება აზრი, არც ისე შორეულ მომავალში, ქალი-პრეზიდენტის არჩევის შესაძ-

ლებლობის შესახებ. ვფიქრობ, მას ხელს შეუწყობს შემდეგი გარემოებები:

1. ქალთა მოძრაობის აღმავლობა XX საუკუნის მეორე ნახევარში;
2. ამ მიმართულებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გააქტიურება;
3. ქალების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური როლის შეცვლა;
4. ასპარეზზე ცალკეული წარმატებული ქალი-პოლიტიკოსების გამოჩენა, მათი პოპულარობის ზრდა და ა.შ.

ფემინიზმს შტატებში აქვს დიდი ტრადიციები და კონკრეტული მიზნები. საინტერესოა როდის დასრულდება მისი მისია?

ფემინიზმის მისია მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც ამერიკელები გაიაზრებენ იმ დახვეწილ და სისტემურ მეთოდების არსებობას, რომლითაც მოისპობა მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული აღქმა სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში. როცა ასევე, მიღწეული იქნება პოლიტიკური ელიტის ფემინიზაცია რეალური თანასწორობის, ქალების მაღალი კვალიფიკაციის კარგი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და შესაბა-მისი უნარ-ჩვევების პირობებში.

და რაც მთავარია, ქალებს აღარ მოუხდებათ ნებისმიერი უთანასწორობის გადალახვა სქესებს შორის უთანასწორობის ჩათვლით. სამწუხაროდ, ბოლო 150 წლის განმავლობაში ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, ჯერაც არ აღმოფხვრილა ქალისა თუ კაცის მენტა-ლიტეტში, ადამიანთა ფსიქიკაში სქესისა და გენდერის შესახებ ფარულად არსებული დაშვებები.

ამ ხარვეზებისა თუ წინააღმდეგობის მიუხედავად ჩვენ მაინც გვჯერა, რომ მესამე ათასწლეულის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო წყობა დემოკრატია, სწორედ, ქალური საწყისის მმართველობა გახდება და „მითი ქალი პრეზიდენტი – რეალობად იქცევა“.

